პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

[illegible] ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო.

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—56

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—48.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „[illegible]“ და „მეცნიერება და ტექნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., შეკვეთება ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 3—48, სტამბის ტელეფონი 13—80.

სამშაბათი, 18 აგვისტო 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 187 (1342)

დღიური

- — ბერლინში პოლიციამ მუშებზე თავდასხმა მოახდინა.
- — ბელგიასა და ამერიკას შორის მოლაპარაკება ვალების შესახებ შეწყდა.
- — სირიაში ფრანგების წინააღმდეგ ახალი დიდი აჯანყება დაიწყო.
- — დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა დაამტკიცეს ვაშინგტონის ხელშეკრულება.

სოფლად ჯანმრთელობის საქმის მოწესრიგება

უცნაური მდგომარეობა იქმნება სოფლის მკურნალობის დარგში. მაშინ როდესაც ქალაქები სავსეა უმუშევარ ექიმებით, სოფლის მედიცინის საქმე ფერხდება სათანადო პერსონალის არყოლობით და პირველყოვლისა ექიმების ნაკლებობით.

ჩვენ არაფერს ვამბობთ სტაჟიან და სახელის მქონე ექიმებზე. ასეთებს ქალაქშიაც გვარიანათ ეცხოვრებათ და სოფლისკენ ისე ადვილათ ვერ გაიტყუებთ. საქმე ისაა, რომ სოფელს გაურბის ახალგაზრდა, უსაქმოთ დარჩენილი ექიმებიც.

ამის მთავარი მიზეზი, თქმა არ უნდა, ის იშვიათი მძიმე პირობებია, რომელშიაც უხდებათ ყოფნა ყველა ჩვენს სოფლის მუშაკებს და განსაკუთრებით ჯანმრთელობის დარგის პერსონალს.

მართალია ადგილობრივ ბიუჯეტში, კომუნალურ და განათლების საქმის შემდეგ მესამე ადგილი ჯანმრთელობის ხარჯებს უჭირავთ, მაგრამ ეს მდგომარეობას ბევრათ არ შველის. სოფლის ფიზიკურ გაჯანსაღების მთავარ დამაბრკოლებელ მიზეზად მაინც მატერიალურ მხარის მოუწესრიგებლობა და ნივთიერი ხელმოკლეობა რჩება.

საექიმო პერსონალის ხელფასის სიმცირე, მედიკამენტების ნაკლებობა, საავადმყოფოების მოუგვარებლობა, სატრანსპორტო საშუალების არქონება და სხვა, ჩვეულებრივად მოვლენაა დღეს ჯანმრთელობის ფრონტზე სოფლად.

არის ადგილები, სადაც ამგვარი მდგომარეობიდან ნაწილობრივ თავის დასაღწევათ ისეთ საშვალებას მიმართეს, რომელიც დაუსრულებელ გაუგებრობას ჰქმნის გლეხებსა და ექიმს შორის და რომელიც ფაქტიურათ უსასყიდლო სამკურნალო დახმარების გაუქმებას უდრის.

„ჩვენ ელაპარაკობთ ეგრედ წოდებულ „კერძო პრაქტიკის“ დაკანონებაზე. ქუთაისის მაზრაში სოფლის ექიმს განსაზღვრულ საათების შემდეგ უფლება აქვს ყოველდღიურათ კერძო პრაქტიკით ისარგებლოს. დაწესებულიც არის გასამრჯელოს მინიმუმი—ერთი მანეთი.

ცხადია ასეთ პირობებში გლეხობა, განსაკუთრებით მისი ღარიბი ნაწილი, საექიმო დახმარების გარეთ რჩება და სოფლის მკითხავების ხელში ვარდება. გარდა ამისა ფულად მომუშავე ექიმი, რომელსაც ხშირათ უკანასკნელი მანეთი გააქვს ლოგინათ ჩავარდნილ ავადმყოფის ოჯახიდან, ბუნებრივათ ვერ ისარგებლებს ისეთი ნდობით და თანაგრძნობით მოსახლეობაში, რაიც აუცილებელ პირობას წარმოადგენს სოფლის მედიცინის მუშაკისათვის.

ამ ნიადაგზე ხშირათ სამართლიან უკმაყოფილებასაც აქვს ადგილი, რაც არა ერთხელ აღუნიშნავთ ჩვენს კორესპონდენტებს ადგილებიდან.

გარდა ამისა საგრძნობლად აფერხებს სოფლის მკურნალობის საქმეს საექიმო პუნქტების ქსელის სითხელე. ცხადია ისეთ პირობებში, სადაც რამდენიმე ათასეული და ზოგჯერ ათეული ათასი მცხოვრები ერთ საექიმო პუნქტის ამარაა მიტოვებული, ზედმეტია ჯანმრთელობის საქმის ჯეროვანათ დაყენებაზე ლაპარაკი. ამნაირი შემთხვევა კი იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენს ჩვენს სოფლებში.

სპეციალურ საექიმო დახმარებაზე ხომ ოცნებაც არ შეიძლება დღევანდელ მდგომარეობაში. კბილის, თვალის და სხვა ვიწრო სპეციალობის ექიმები წამლადაც არ მოიპოება თემებში. მარწუხით მომუშავე კბილის ექიმბაშები კი დღესაც პარკებში საგანგებოთ გამოკრულ დაძრობილ კბილებით ანგარიშობენ თავის „პაციენტებს“.

არანაკლები ადგილი უჭირავს სოფლად ჯანმრთელობის საქმის მოუგვარებლობაში ადგილობრივ მუშაკთა ამ საკითხისადმი დაუდევრობას და მის მეორეხარისხოვან მნიშვნელობის ამოცანათ მიჩნევას. არის შემთხვევები, როცა სოფლის მკურნალობის საქმეს ადგილობრივ ბიუჯეტიდან არ ხმარდება სავსებით ის მცირე თანხაც, რომელიც გადადებულია ამ საჭიროებისათვის წინასწარ გამოანგარიშებით.

ამავე დროს ჩვენი სარაიონო საავადმყოფოები უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან, ზოგჯერ ერთსა და იმავე განყოფილებაში მოთავსებულია მშობიარე ქალი და სულთმობრძავი შინაგან სნეულებით შეპყრობილი ავადმყოფი. ექიმები იძულებულია მძიმე ავათმყოფთან ტალახში და ლაფებში ფეხით იაროს ხშირათ ათი თუ თხუთმეტი ვერსი.

ან და, თუ ეს მოუხერხებელი ხდება, პირისუფალს ერთი ვაი-ვაგლახით და გაჭირვებით ურმით მოჰყავს ექიმთან ავადმყოფი.

სოფლად სანიტარულ მუშაობის ან პროფილაქტიკური მედიცინის შესახებ ლაპარაკი ხომ ნაადრევია. აქ ჯერ-ჯერობით ვერ წაუყენებთ დიდ მოთხოვნილებას ჩვენს ჯანმრთელობის ორგანოებს.

მაგრამ საბჭოთა რესპუბლიკების საერთო მეურნეობრივი და ნივთიერი ზრდა იმის საუკეთესო გარანტიაა, რომ სახალხო ჯანმრთელობის საქმე, რომელიც, ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში მაინც შესამჩნევათ გაიზარდა, კიდევ უფრო ჩქარი ნაბიჯით წავა წინ.

ნივთიერი მხარის მოგვარება მთავარი მალამოა ჩვენი ჯანმრთელობის საქმის მტკივან მხარეების განსაკურნავათ, მაგრამ ამასთან ერთად არანაკლები მნიშვნელობა ეძლევა იმ ტექნიკურ და სუბიექტიურ ხასიათის შეცდომების გამოსწორებას, რომელსაც ადგილი აქვს დღეს ჩვენს სახალხო ჯანმრთელობის ფრონტზე.

პარტუჯრედები და ქვედა პროფორგანოები

ზოგიერთ წარმოებაში პარტ-უჯრედები სცდილობენ გასწიონ პროფკოლექტივის მაგიერობა. ხშირია შემთხვევა, როცა ქარხკომის მიერ მოსაგვარებელ საკითხებს სწყვეტს უჯრედის ბიურო, რომელიც ქარხკომს ზოგან უცქერის როგორც თავის საორგანიზაციო დამატებას პარტიულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გასატარებლათ. ზოგჯერ ისეთ წმინდა პროფკავშირულ საკითხებს, როგორც, მაგალითად, დამატებითი შვებულების მიცემა, სატარიფო განაკვეთის დანიშვნა და სხვა, სწყვეტს უჯრედის ბიურო. ხშირათ პარტიული დღე თავისი დღის წესრიგით შესცვლის ხოლმე მუშათა საერთო და სადელეგატო კრებებს.

საქარხნო კომიტეტების ფრაქციების არსებობა ყველგან არ არის ცნობილი სავალდებულოთ. ბოლოს, პროფკოლექტივების არჩევნითი წესი ითელება ან აშკარა ან ფარული თანხმობით წარმოებაში არსებულ პარტუჯრედების მიერ.

ცხადია, ასეთი შეუფერებელი პარტხელმძღვანელობა პროფმუშაობაში სულ ერთიან უკარგავს ქვედა პროფორგანიზაციებს სახეს და ისინიც ჰკარგავენ თავიანთ მნიშვნელობას და გავლენას მუშათა მასებში. ამის გამოისობით ზოგიერთ წარმოებაში უპარტიო მუშები სხვადასხვა „პროფესიულ საქმეების გადასაწყვეტათ მიმართავენ არა ქარხკომს, არამედ უჯრედს. იმას ხელს უმართავს ზოგიერთ ქარხკომების გადაჭარბებული ადმინისტრატიულობაც, რომელთაც ინტერესებთ მხოლოდ წარმოების საქმე და არა მუშათა საერთო მდგომარეობა და საჭიროებანი. ბოლოს ისე გამოდის, რომ უჯრედებიც და ქარხკომებიც გამოდიან როგორც [illegible] ადმინისტრატორები და არა როგორც მუშათა მასსების ორგანიზატორები და იდეური ხელმძღვანელები.

აქედან გამომდინარეობს უპარტიო მუშების არა სათანადო აქტიურობა პროფესიულ მუშაობის განხორციელებაში, რაც გამოიხატება ქარხკომების მიერ მოწვეულ კრებებზე დაუსწრებლობაში და სხვა. ამგვარათ ხდება გათიშვა პროფკავშირებსა, ამ „კომუნიზმის სკოლასა“ და მუშათა მასებ შორის. ამასთანავე აქ ხშირად უარყოფითი როლს თამაშობს უჯრედების გაზვიადებული წარმოდგენა ქარხკომიტეტებში. მათში ზოგიერთ ადგილას პარტიულები წარმოადგენენ 70—90 პროცენტს. ამგვარ შემთხვევაში განა თუ მარტო კომუჯრედისა და ქარხკომების მოვალეობანი ირევა ერთმანეთში, არამედ ბიუროსი და ქარხკომის პირადი შემადგენლობაც ირევა უპარტიო მუშების თვალში და წარმოუდგებათ როგორც ერთი მთლიანი ორგანო.

ამჟამად ჩვენ უნდა ავიღოთ გადაჭრილი კურსი პროფკავშირების გამოსაცოცხლებლად, თანახმად მეთოთხმეტე პარტკონფერენციის გადაწყვეტილებისა, ცკკას დადგენილებისა—შესახებ პარტმუშაობისა საფეიქრო წარმოებაში, და პროფკავშირთა საბჭოს სპეციალურ წერილისა პროფესიულ მუშაობის ხაზის შესახებ, რომ პროფმუშაობის ზემოაღნიშნული ნაკლულევანებანი სავსებით უნდა მოსპონ, რათაც უნდა დაგვიჯდეს.

უპირველეს ყოვლისა უნდა მივაღწიოთ იმას, რომ კომუჯრედმა ხელი არ მოკიდოს წვრილმანს, ჩარევას და მზრუნველობას პროფკოლექტივის პრაქტიკულ მუშაობაში. როგორც პარტიის ნაწილმა ქარხანაში და ფაბრიკაში, უჯრედმა პოლიტიკური ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს პროფესიონალურ მუშაობას, მაგრამ მან არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიითვისოს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის ფუნქციები. უკანასკნელი სავსებით დამოუკიდებელი უნდა იქნეს მუშაობაში. ამ მიზნით უმჯობესია ყველა ის კომისიები, რომელთაც წმინდა პარტიული ხასიათი არ აქვთ, შექმნილი იქნეს არა უჯრედთან, არამედ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტთან. მუშების წამოყენების, წარმოების გაუმჯობესების, წარმოებაში კულტურული მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენების საკითხები შეიძლება შეთანხმებული იქნეს უჯრედსა და საფაბრიკო საქარხნო კომიტეტს შორის. ყველაზე უკეთესად ამის მოგვარება შეიძლება საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ფრაქციების საშუალებით; ფრაქციების სხდომა რეგულიარულათ უნდა იქნეს მოწვეული.

ასევე რეგულიარულათ უნდა იქნეს ჩატარებული წარმოებაში პროფესიონალური დღე და მუშების სადელეგატო კრებები. ამასთანავე უნდა ვეცადოთ, რომ პროფკავშირების და საწარმოო ხასიათის საკითხების უმრავლესობა წინასწარ გადაწყვეტილი არ იქნეს კომუჯრედის სხდომაზე; ასეთი საკითხები საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ფრაქციებმა უნდა გამოიტანონ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის სხდომაზე, შემდეგ კი პირდაპირ მუშათა კრებაზე. მაშინ პარტიის წევრებიც სიამოვნებით დაესწრებიან უპარტიოთა საერთო კრებებს, უფრო ახლო მიუდგებიან მუშების საჭიროებებს. მხოლოდ ასეთი გზით იქნება აღდგენილი მუშების ნდობა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების მიმართ, და „გადამცემი აპარატი კომპარტიასა და მასებს შორის უფრო ნორმალურათ იმუშავებს.

ს. ზ.

ფურცლები ინგლისიდან

ინგლისის ახალი საზღვაო პოლიტიკა

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ლონდონი, 3 აგვისტო. მთავრობა სჩივის თავის ფინანსიურ ხელმოკლეობაზე, რის გამოც მას თითქო საშუალება არა აქვს წარადგინოს პარლამენტში მუშათა დაზღვევისა და პენსიის კანონპროექტი. ეკონომიის მოსაზრებით იგი სცდილობს, რაც შეიძლება შეამციროს უმუშევრათ დარჩენილთა დახმარება. ფინანსიური გაჭირვების გამო მთავრობა უარს ამბობს დროებით მაინც უზრუნველჰყოს მემაღაროეთა ხელფასის მინიმუმი და ამავე დროს კი მან გადასწყვიტა შეუდგეს ახალ სამხედრო საზღვაო აღმშენებლობას, რაც იწვევს სახელმწიფოს მხრით უზომო ხარჯებს.

ამის შესახებ მთავრობაში მცირეოდენ განხეთქილებასაც კი ჰქონდა ადგილი. ეს განხეთქილება სრულიადაც არ იყო პრინციპიალური; ნამდვილათ ეს წარმოადგენდა მთავრობის ზოგიერთ წევრის შიშს ამომრჩევლების წინაშე! არჩევნების დროს კონსერვატორები ჰპირდნენ განსაკუთრებულ მომჭირნეობას და ეხლა კი ამ უზომო ხარჯებმა ვაი, თუ ერთგვარი უკმაყოფილობა გამოიწვიოს ამომრჩევლებში.

ეს ახალი საზღვაო ხარჯები ნავარაუდევია 58 მილ. გირ. სტერლინგი. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ეხლაც ნამდვილი ხარჯები ბევრად გადასცდება ამ ნავარაუდევ თანხას. აღმშენებლო ვადა ნავარაუდევია 1925—1930 წლამდის. გარდა იმისა, რომ უნდა დამთავრდეს უკვე დაწყებული პროგრამა, ახლად უნდა აშენდეს, 12 კრეისერი, 23 წყალქვეშა ნავი: 1 ჯავშნოსანი და 40-ზე მეტი სხვა და სხვა საჭიროების სამხედრო გემი.

ბალდუინის მთავრობა ბევრათ უფრო შორს წავიდა, ვიდრე მაკდონალდი, რომელმაც თავის მთავრობაში მოქცევისთანავე დაამტკიცა 10 ახალი კრეისერის აშენება. ამ გადაწყვეტილებით მთავრობას აშკარათ სურს უზრუნველჰყოს იმპერიალისტებისა და [illegible] ზრახვანი შესაძლებელ მომავალ მთავრობის პაციფისტობის წინააღმდეგ.

მაკდონალდისა და ლოიდ ჯორჯის მიერ ამ პროგრამის საწინააღმდეგოთ გაწეული ოპოზიცია წარმოადგენს მხოლოდ საარჩევნო ფონდს და არა გულწრფელ აღშფოთებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მაკდონალდი შარშან მოხსნიდა ზედმეტ შეიარაღების საკითხს და არ გადასწყვეტდა 10 ახალი კრეისერის აგებას. ეს სწორედ მისი დაწყებული საქმეა ეხლა რომ ასე ფართე პროგრამით ვითარდება ბალდუინის მთავრობის მიერ.

ვის წინააღმდეგ არის მიმართული ეს შეიარაღება?

მთავრობის ორატორები ბრძანებენ, რომ ყველგან სუფევს მშვიდობიანობაო. მაკდონალდი ამბობს, რომ ეს არ არის მიმართული ევროპის რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ. მაშ ვის, ვემუქრებით? ამერიკას?—ამბობს ლოიდ ჯორჯი.

მთავრობა კი უპასუხებს—ეს მიმართულია ყოველგვარი საფრთხის წინააღმდეგ, რომელიც კი შეიძლება წარმოიშვას შემთხვევითო.

მართალია, აშკარათ ვერ ალაპარაკებენ, მაგრამ ნამდვილათ კი ეს უზომო შეიარაღება მიმართულია საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ. ეს ახალი საზღვაო პროგრამა კიდევ უფრო მეტათ ამტკიცებს საბჭოთა საწინააღმდეგო ბლოკს ევროპაში, რომლის შექმნასაც ესოდენ თავგამოდებით სცდილობს იმპერიალისტური და კაპიტალისტური ინგლისი.

გარდა ამისა ესევე შეიარაღება მიმართულია კოლონიების წინააღმდეგაც, რომლების მორჩილებაც პირდაპირ სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს იმპერიალისტურ ინგლისისათვის.

აგრეთვე მიმართულია თვით ინგლისშივე მოსალოდნელ ანტი-იმპერიალისტურ მოძრაობის წინააღმდეგ.

ყველაფერი ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ კონსერვატორული მთავრობა მხოლოდ ომიანობას უწყობს ხელს, რომელიც უქადის კაცობრიობას ახალ სისხლის-ღვრას და წარმოუდგენელ უბედურებას.

ჭ. დავით.

რევოლუცია და კონტრ-რევოლუცია ჩინეთში

მუშების დახვრეტა ტიან-ცზინში და შანდუნში

შავრაზმელი გენერლები შეიარაღებული ძალის საშვალებით მიერეკებიან გაფიცულებს სამუშაოზე

პეკინის საზოგადოებრივი ორგანიზაციები აღშფოთებული არიან შავრაზმელ გენერლების გამოსვლით ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ

შანხაის პროფსაბჭომ უარყო გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის შეთანხმება იაპონელ მრეწველებთან

მუშების დახვრეტა ტიან-ცზინში

პეკინი, 16 აგვისტო. 10 აგვისტოს დაიწყო გაფიცვა იაპონიის წარმოებაში „იუნგტა“, სადაც მუშებმა წამოაყენეს გარდა ეკონომიური მოთხოვნილებისა პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნილებებიც.

11 აგვისტოს ლი-ჩუან-ლინმა, ჩჟან-ძო-ლინის წარმომადგენელმა ტიან-ძინში, აჯანყების ადგილას გაგზავნა სამხედრო რაზმი. როდესაც ჯარისკაცები მივიდენ დანიშნულ ადგილას, მუშებმა, გადასცეს მათ მიერ დაპატიმრებული იაპონიის ადმინისტრაციის ერთ-ერთ წარმომადგენელი რომელიც მკაცრად ეპყრობდა მუშებს და განაცხადეს, რომ ჩინელმა ჯარისკაცებმა უნდა დაიცვან ჩინელი მუშები იაპონიის კაპიტალისტებისაგან. მუშებმა სთხოვეს ჯარისკაცებს იაპონიის ადმინისტრაციის დაპატიმრება და დასჯა. მაგრამ სამხედრო რაზმის სარდლობამ დაუწყო ცემა მუშებს.

ჯარისკაცებსა და მუშებს შორის დაიწყო ხელ-ჩართული ბრძოლა მივიდენ ახალი რაზმები და აუტეხეს მუშებს სროლა. მოკლულია 6 მუშა, ბევრია დაჭრილი. 20-ზე მეტი მუშა დაპატიმრებულია.

ხმები შეტაკების შესახებ გავრცელდა ყველა მეზობელ საფეიქრო წარმოებებში, სადაც მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა და წამოაყენეს მოთხოვნილება დაპატიმრებულთა განთავისუფლების და სისხლის ღვრის შეწყვეტის შესახებ.

12 აგვისტოს საფეიქრო წარმოების მუშათა პროფკავშირმა მოაწყო მასიური მიტინგი 6.000 კაცის მონაწილეობით. ლი-ჩუი-ლინმა მიტინგის ადგილას გაგზავნა 5000 ჯარისკაცი. რაზმმა ალყა შემოარტყა მთელ საფეიქრო რაიონს. ჯარისკაცებს უბრძანეს დაეშინათ თოფები მუშებისათვის.

სროლის დროს მოკლული იქნა 20 კაცი. ბევრი მუშა გადახტა არხში და დაიხრჩო. ბევრია დაჭრილი. მსხვერპლთა საერთო რაოდენობა 60 კაცს აღემატება.

სროლის გათავების შემდეგ დააპატიმრეს 500 მუშა და საფეიქრო რაიონში მცხოვრები სტუდენტები.

მუშების შესაშინებლად ჯარისკაცები ქუჩებში დაატარებდენ მოკლულ მუშების გვამებს და რამოდენიმე გვამი მიიტანეს კავშირის ბინის კარებთან. ამავე დროს ჯარისკაცებმა დაიკავეს სტუდენტთა კავშირის გაერთიანებული კომიტეტის და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების შენობები.

დელეგაცია, რომელიც გაგზავნეს ლი-ჩუან-ლინთან, აღარ დაბრუნებულა ფიქრობენ, რომ იგი დაპატიმრებული იქნა.

კანტონის მეზღვაურთა სახლი, სადაც ებინავედ გაფიცული მტვირთავი მუშები, აგრეთვე დაკავებულია სამხედრო ნაწილების მიერ. ყველას, ვინც გაფიცვის რაიონში ჩადის, დაუყოვნებლივ აპატიმრებენ.

პეკინში ჩამოვიდა ტიან-ცზინის მუშათა დელეგაცია, რათა მიიღოს დახმარება საზოგადოებრივ ორგანიზაციების მხრივ და აგრეთვე მოსთხოვოს მთავრობას ჩჟან-ძო-ლინის გენერალის გადაყენება და დასჯა.

ჩინელ მილიტარისტების ძალადობა

პეკინი, 16 აგვისტო. სამხედრო ხელისუფლებმა ტიან-ძინში აიძულა ნავთსადგურის მუშები განაახლებიათ მუშაობა.

მუშებს ჯარისკაცების თანხლებით მიიყვანენ ნავთსადგურში სადაც ძალით ამუშავებენ.

გრძელდება გაფიცვა საფეიქრო წარმოებებში.

შავრაზმელ გენერალის პროვოკაცია

პეკინი, 16 აგვისტო. ტიან-ძინიდან მიღებულ დამატებითი ცნობების თანახმად, გაფიცვის დაწყებისას იაპონიის საფეიქრო წარმოებათა მუშებმა წამოაყენეს მთელი რიგი მოთხოვნილებები, სხვათა შორის 8 საათის სამუშაო დღის შემოღებაც.

პირველათ მწარმოებლებმა მიიღეს მოთხოვნილებანი, მაგრამ შემდეგ გამოიწვიეს ჯარები და მოაწყვეს თავდასხმა მუშებზე. ჯარების ჩასვლის შემდეგ იაპონიის ადმინისტრაციის წარმომადგენლები თვითონ იღებდენ მონაწილეობას მუშების დახოცვაში. შეტაკების გათავების შემდეგ გენერალმა ლი-ჩჟინ-ლინმა მიიხმო სხვადასხვა კავშირების დელეგატები და [illegible] დააპატიმრა.

მუშების დევნა შანდუნში

პეკინი, 16 აგვისტო. გრძელდება რეპრესიები შანდუნში.

გენერალმა ჩჟან-ძუ-ჩუანმა დახვრიტა 16 მუშა და სტუდენტი კომუნიზმის იდეების გავრცელებისათვის და დააპატიმრა რამოდენიმე ათეული კაცი. შემდეგ გენერალი შეუდგა გაზეთების დევნას, რადგანაც უკანასკნელები არ ემორჩილებოდენ მის განკარგულებებს.

ცზინ-ან-ფუში დახურულია 3 გაზეთი.

გამოქვეყნებულია ახალი წესდება ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. ამ წესების თანახმად გაზეთების რედაქციებმა უნდა შეიტანონ საწინდარი 1000 დოლარი, რაც გამოიწვევს ყველა ჩინურ გაზეთების დახურვას, გარდა იაპონელების გაზეთებისა.

მდგომარეობა ტიან-ცზინში.

პეკინი, 16 აგვისტო. გრძელდება რეპრესიები ტიან-ცზინში.

ჩჟან—ძო-ლინამდე მოვიდა ხმები ტიან-ცზინში დაწყებულ მღელვარების შესახებ და მუკდენიდან გაიგზავნა ჟანდარმერიის რაზმი. აკრძალულია ყოველგვარი კრებები, ყველა „საეჭვო“ პირები დაპატიმრებული იქნენ, დახურულია ყველა კავშირები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთაც რაიმე დამოკიდებულება აქვთ ეროვნულ მოძრაობასთან.

უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში არ მოსულა ცნობები ახალ მღელვარების შესახებ.

გამოირკვა, რომ იაპონიის ფაბრიკების მუშებმა, რომელნიც აღშფოთებული იყვნენ ფაბრიკის ადმინისტრაციის პროვოკაციით და სამხედრო რაზმის გამოწვევით, დაანგრიეს ფაბრიკის სამანქანო განყოფილება ზარალი ძალიან დიდია; საჭირო იქნება 4 თვე დანგრეული შენობის აღსადგენად.

აღშფოთება პეკინში.

პეკინი, 16 აგვისტო. ტიან-ცზინის ამბებმა უდიდესი აღშფოთება გამოიწვია პეკინის რადიკალურ წრეებში. სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ინახულეს მთავრობის მეთაური დუან-ცზი-ჩუი და განუცხადეს პროტესტი მუკდენის ხელისუფლების თვითნებობის წინააღმდეგ. მათ მოითხოვეს დამნაშავე გენერლების გადაყენება და დასჯა.

სტუდენტთა კავშირი და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები შედგენ შემოწირულებათა შეკრებს დაზარალებულთა სასარგებლოდ; კითხულობენ მოხსენებებს ტიან-ცზინის ამბების შესახებ. დანიშნულია მასიური საპროტესტო მიტინგი ტიან-ცზინში მომხდარ მკვლელობათა წინააღმდეგ.

პეკინის პოლიცია იღებს ზომებს მოძრაობის ჩასაქრობად და აქვეყნებს განკარგულებას, რომელშიაც მოაგონებს, რომ საყოველთაო გაფიცვა ისჯება სისხლის სამართლის კანონების მიხედვით და აფრთხილებს, რომ პროფესორები და სტუდენტები დაპატიმრებული იქნებიან გაფიცვის წაქეზებისათვის.

ინგლისის საელჩოს ჩინელ მოსამსახურეთა გაფიცვა.

პეკინი, 16 აგვისტო. ინგლისის საელჩოს გაფიცულ მუშათა განზრახული დემონსტრაცია არ შესდგა პოლიციის წინააღმდეგობის გამო.

გაფიცულთა დელეგაციამ სცადა მიემართა გარეშე საქმეთა სამინისტროსადმი, მაგრამ უშედეგოთ.

დღეს დილით გაფიცულებმა გადასჭრეს ტელეფონის მავთულები საელჩოში.

საელჩომ მიიწვია სამსახურში 20 რუსი—თეთრგვარდიელი, რომლებიც მუშაობენ საელჩოში ჩინელების ნაცვლათ.

იაპონელი კაპიტალისტები დათმობაზე წავიდენ

პეკინი, 16 აგვისტო. „რეიტერის“ სააგენტოს ცნობით, იაპონიის ელჩსა და ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს რწმუნებულს შორის შანხაიში მიღწეულია შეთანხმება იაპონიის საფეიქრო წარმოებებში მუშაობის განახლების შესახებ.

მუშაობა განახლებული იქნება შემდეგ პირობებში: მწარმოებლები სცნობენ პროფკავშირებს, რომელნიც მოწყობილნი არიან ჩინეთის კანონის თანახმად, გაფიცვის დროს იხდიან ხელფასის ნაწილს, მოკლულ მუშების ოჯახებს მიეცემათ 10.000 დოლარი. ხელფასი მომატებული იქნება, იაპონელ ზედამხედველებს ეკრძალებათ იარაღის ტარება; მწარმოებლები უარს ამბობენ მუშების უსაფუძვლოთ დათხოვნაზე.

„ტასსის“ კორესპონდენტის ცნობით, შანხაის პროფკავშირებმა გარეშე საქმეთა სამინისტროს რწმუნებულს გაუგზავნეს დელეგაცია, რომელმაც განაცხადა, რომ პროფკავშირები არ კისრულობენ პასუხისმგებლობას იმ მოლაპარაკებისათვის, რომელშიაც მუშების წარმომადგენლები არ იღებდენ მონაწილეობას.

ხელმოსაწერად გამზადებული ხელშეკრულება გადაეცა კავშირებს გასაცნობად.

კომუნისტური პროპაგანდისათვის—დახვრეტა

პეკინი, 16 აგვისტო. ქალაქ ძი-ცან-ფუდან, (შანტუნგის პროვინცია), იუწყებიან, რომ პროვინციის მმართველმა გენერალმა ჩჟან-ცზუ-ჩუანმა დააპატიმრა 4 მუშა და 7 სტუდენტი და მისცა ისინი სამხედრო სამართალში კომუნისტურ იდეების გავრცელებისათვის.

სასამართლოს განაჩენით ყველა დაპატიმრებულები დახვრეტილი იქნენ.

მოწოდება ინგლისელ მეზღვაურებისადმი

პეკინი. 16 აგვ. ჩინეთის ახალგაზრდობის კომუნისტური ლიგა ავრცელებს შანხაიში ფურცლებს, რომელშიც მოუწოდებს ინგლისელ მეზღვაურებს მონაწილეობა არ მიიღონ ჩინეთის მუშათა მოძრაობის ჩაქრობაში.

რას მოითხოვს შანხაის პროფსაბჭო

პეკინი, 16 აგვისტო. განიხილა რა ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელსა და იაპონიის ელჩს შორის მიღწეული შეთანხმება იაპონიის საფეიქრო ფაბრიკებში მოუშაობის განახლების შესახებ, შანხაის პროფკავშირთა საბჭომ განაცხადა, რომ გაფიცვა დამთავრდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებულ პროფკავშირთა ორგანიზაციებს იცნობენ მუშათა სრულუფლებიან წარმომადგენლობათ და არ დაუცდიან ჩინეთის მთავრობის მიერ სათანადო კანონის გამოცემას, როდესაც 100.000 დოლარს მისცემენ მუშებს გაფიცვის დროს და 10.000 დოლარს—მოკლულ მუშათა ოჯახების დასახმარებლათ.

თავის მოწოდებაში შანხაის პროფკავშირთა საბჭო ხაზს უსვამს, რომ საგაფიცვო მოძრაობა შესწყდება მხოლოდ მაშინ, როდესაც გაუქმებული იქნება სამხედრო წესები უცხოელთა უბანში და ქალაქის ჩინურ ტერიტორიაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშები იძულებული იქნებიან განაგრძონ გაფიცვა მიუხედავათ ყოველგვარი მსხვერპლისა.

ყვითლები ყველგან ერთნაირი არიან

ჩინეთის სოც.-დემ. პარტიის ლიდერი ხელს უწყობდა თვითმპყრობელობის აღდგენას

პეკინი. 16 აგვ. გამოქვეყნდა საიდუმლო დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ ჩინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ჩიან-კან-ხუ ხელს უწყობდა შეთქმულებას, რომლის მიზანი იყო მანჯურიის დინასტიის რესტავრაცია. ამის გამო ჩიან-კან-ხუ იძულებულია უარი სთქვას ყველა თანამდებობაზე, რომელიც მას ეკავა რამდენიმე საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და გამოვიდეს მთავრობის ზოგიერთ კომისიების შემადგენლობიდან.

სტუდენტთა მრავალმა ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიაც ამჟღავნებენ ამ „სოციალისტ“ ლიდერის სახეს.

ჩიან-კან-ხუმ აღიარა, რომ ის შეთანხმებული იყო მანჯურიის დინასტიასთან და ამას ხსნის იმით, „რომ ის სცდილობდა დინასტიის წევრთა შორის გაევრცელებია სოციალისტური იდეები“.

ამ ჟამად—ჩიან-კან-ხუ იძულებულია დასტოვოს პეკინი.

უდიდესი „დანაშაული“

პეკინი 16 აგვ. ცან-ძინიდან მიღებულ დამატებითი ცნობების თანახმად, დაპატიმრებულ სტუდენტებს წაუყენეს ბრალდება კომუნისტურ პროპაგანდაში.

რამდენიმე სტუდენტი ნაცემია პოლიციის მიერ.

თავდასხმა მუშებზე ბერლინში

ბერლინი. 15 აგვისტო. ბერლინის პოლიციის პრეზიდენტმა, სოციალ-დემოკრატმა გრჟეზინსკიმ მოახდინა განკარგულება გაძლიერებული იქნას პოლიციის სიფხიზლე, ვინაიდან ბერლინის ქუჩებში ადგილი აქვს ფაშისტების უმსგავსო გამოსვლებს. პოლიციამ ისარგებლა კომუნისტურ დემონსტრაციით ახალ საბაჟო კანონის წინააღმდეგ, რათა სისრულეში მოეყვანა ეს განკარგულება.

18 აგვისტოს პრონეპლაცზე თავი მოიყარა 20.000-დე მუშამ დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად. დემონსტრაციის დაწყებისთანავე პოლიცია საბრძოლველათ მოემზადა და დააპატიმრა ახალგაზრდობის კავშირის რამდენიმე წევრი. შემდეგ უეცრად საიდუმლო პოლიცია თავს დაესხა დემონსტრანტებს და დაუწყო მათ ცემა თოფის კონდახებით. ხალხა დაფრთხა, ასტყდა თოფის სროლა, რომლის დროს მოკლული იქნა ერთი მუშა, მრავალი დაიჭრა. კომუნისტ-დეპუტატი შოლემი შეეცადა ჩარევოდა. პოლიციელები მიცვივდენ მასთან და დაუზოგავად სცემეს მუშებს, რომელთაც სურდათ დეპუტატის დაცვა.

ბერლინის ჩრდილოეთის უბანში მცხოვრებლებმა ქვები დაუშინეს პოლიციას. ბევრი პოლიციელი დაჭრილია. მთელი ღამე ბერლინში სამხედრო მდგომარეობის შთაბეჭდილება იყო. როგორც ნოსკეს დროს ქუჩებში დადიოდენ პოლიციელთა ხუთეულები.

მეორე შეტაკება მოხდა ლანდსბერგერპლაცზე, სადაც კომპარტიის მოწოდებით შეიკრიბა 15.000 მუშა. პოლიცია აქაც იარაღით მოქმედებდა. დაპატიმრებულია 60 კაცი.

პოლიციის ცნობა შეტაკების შესახებ ადასტურებს, რომ დემონსტრანტებმა გამოიწვიეს პოლიციელები, რომლებმაც იარაღს მიმართეს, ვითომდა უკიდურეს გაჭირვების დროს და ისიც თავდაცვის მიზნით.

ამ ამბის გამო „როტე ფანე“ სწერს, რომ პოლიციის ხელმძღვანელები ისე შეხვდენ პოლიციის პრეზიდენტის ბრძანებას, როგორც გარეგნულად ვითომ ფაშისტების წინააღმდეგ მიმართულს, ნამდვილათ კი ამ ბრძანებას სახეში ჰქონდა კომუნისტები და მუშები. გაზეთი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ დღეებში ბურჟუაზიული პრესაც კი სწერდა პოლიციაში მონარქიზმის გაძლიერების შესახებ. „როტე ფანე“ მოუწოდებს მუშებს მასიურ დემონსტრაციაზე სისხლისმღვრელ დიქტატურის წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ პოლიციამ იარაღის საშუალებით გარეკა აგრეთვე საალმშენებლო მუშათა საგაფიცვო კრება და დააპატიმრა 60 მუშა, მიუხედავათ იმისა, რომ კრებაზე სრული წესრიგი სუფევდა.

ბელგია და ამერიკა

ბელგიის პრესა უკმაყოფილოა.

პარიზი. 15 აგვისტო. ბელგიის პრესა უკმაყოფილებას გამოსთქვამს ამერიკის პრეტენზიების გამო ბელგიის სამხედრო დავალიანების ლიკვიდაციის შესახებ მოლაპარაკების დროს. პრესა აცხადებს, რომ ამერიკაში არიან ისეთი პირები, რომლებიც სცდილობენ შექმნან დოუესის გეგმა ბელგიისათვის.

„ბელგიას—სწერენ ბრიუსელის გაზეთები—დიდხანს სჯეროდა შეერთებული შტატების კეთილშობილება და თავს შეურაცყოფილად, გრძნობს როდესაც ხედავს, რომ ამერიკა მოითხოვს ბელგიისაგან იმ ფულებს, რომელიც გადახდილი უნდა იქნას გერმანიის მიერ ვილსონის დაპირების თანახმად“.

ბელგია—ამერიკის მოლაპარაკების შეწყვეტა.

ვაშინგტონი. 14 აგვისტო. მოლაპარაკება ბელგია—ამერიკის წარმომადგენლებს შორის ვალების გადახდის შესახებ, დროებით შეწყდა სანამ ბელგიის დელეგაცია არ მიიღებს ახალ ინსტრუქციებს ბრიუსელიდან.

მდგომარეობა ინგლისის ნახშირის მრეწველობაში

სამთომადნო მუშათა დეპუტაცია ბალდვინთან

ლონდონი, 15 აგვ. ბალდუინმა მიიღო სამთომადნო მუშათა დეპუტაცია, რომელმაც გადასცა მას მოთხოვნილება, რათა სამთომადნო მუშათა ფედერაციის წარმომადგენლები შეყვანილი იქნან ნახშირის მრეწველობის მდგომარეობის გამომრკვევ კომისიაში. მთავრობამ განიხილა ეს მოთხოვნილება, უარყო იგი და აღნიშნა, რომ „მისი აზრით უფრო სწორი იქნება დაინიშნოს კომისია მიუდგომელ პირებისაგან“ მუშებმა განაცხადეს, რომ ისინი მონაწილეობას მიიღებენ მომავალ გამოკვლევაში, თუმცა დარწმუნებული არიან, რომ ეს გამოკვლევა მიმართული იქნება მათ წინააღმდეგ.

მოწოდება მთლიანობისაკენ

პარიზი. 15 აგვისტო. შრომის რევოლიუციონურმა კონფედერაციამ მიმართა შრომის საყოველთაო კონფედერაციას, მოსამსახურეთა ფედერაციას და ავტონომიურ პროფკავშირებს მოწოდებით მიიღონ მონაწილეობა პროფკავშირთა ყველა ორგანიზაციების გაერთიანებულ ყრილობაში, რომელიც შესდგება პარიზში 30 აგვისტოს. დღის წესრიგშია: პროფკავშირთა გაერთიანების პრაქტიკულად განხორციელება, გაერთიანებული ფედერაციის სამოქმედო პროგრამა და ხელმძღვანელ ორგანოების არჩევა. უნიტარული კონფედერაცია აცხადებს, რომ იგი დაემორჩილება გაერთიანებული კომიტეტის ყველა გადაწყვეტილებებს და მზადაა შეუერთდეს გაერთიანებულ კონფედერაციას.

პარიზის ექსპრესის დამსხვრევა

პარიზი, 14 აგვისტო. პარიზ-კალეს ექსპრესის (ჩქარი მატარებლის) ორთქლმავალი ქალ. ამიენის სადგურში შესვლისას გადავარდა ლიანდაგიდან. ორთქლმავალთან ერთად გადავარდა 11 რონოდა, რომელთაგან 7 მთლად დამსხვრა და 3 დაიწვა. მოკლულთა რიცხვი აღწევს 11 დაჭრილთა—160-ს, რომელთაგან 11 მძიმეთაა დაჭრილი.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ნიუ-იორკის ერთმა დიდმა ბანკმა 120 მილ. მანეთის კრედიტი გაუხსნა საბჭოთა საფეიქრო სინდიკატს

ესტონეთი სავაჭრო დელეგაციას გზავნის საბჭოთა კავშირში

ჩეხო-სლოვაკიის სავაჭრო წრეები მოითხოვენ ჩეხო-სლოვაკია—საბჭოთა კავშირის შერეული სავაჭრო საზოგადოების დაარსებას

კენიგსბერგის ბაზრობაზე დიდი ზეიმით გაიხსნა საბჭოთა პავილიონი

ინგლისი

საბჭოთა საფეიქრო მრეწველობის დელეგაცია.

ლონდონი, 14 აგვისტო. საბჭოთა კავშირის საფეიქრო მრეწველობის დელეგაციამ ინახულა ძმ. პლატტების საწარმო ოლდჰემში. დელეგაციას განზრახული აქვს 10 დღის განმავლობაში დაასრულოს ყველა საწარმოთა დათვალიერება.

საბერძნეთი

დეკრეტი საბჭოთა ნახშირის შესახებ.

ათინა, 14 აგვისტო. მთავრობის დეკრეტით საბჭოთა კავშირიდან გაზიდულ ნახშირზე დაწესებულია შეღავათიანი საბაჟო ტარიფი. საბჭოთა ნახშირს შესაძლებლობა ეძლევა გაუწიოს მეტოქეობა საბერძნეთში შეზიდულ სხვა ქვეყნების ნახშირს.

ჩეხო-სლოვაკია

ჩვენთან ვაჭრობა სურთ.

პრაგა, 16 აგვისტო. ჩეხო-სლოვაკიის მრეწველთა კავშირის ორგანო „პრომისლოვი ვესტნიკი“ აღნიშნავს შერეულ საზოგადოებათა საქმიანობის წარმატებას საბჭოთა კავშირში და გამოსთქვამს სურვილს დაარსდეს ჩეხო-სლოვაკია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო საზოგადოება.

ურთიერთობა ამერიკასთან

საუბარი ამერიკელ ბანკირთან

მოსკოვი. 15 აგვ. 15 აგვისტოს ამერიკაში გაემგზავრა ნიუ-იორკის ბანკის „ჩეიზ-ნეშონელ ბენკის“ ვიცე-დირექტორი შლეი, რომელმაც ინახულა ლენინგრადი, მოსკოვი და ნიჟნი-ნოვგოროდი.

გამგზავრების წინ შლეიმ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ის ხელსაყრელათ სთვლის საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და კულტურულ პირობებს. „საბჭოთა კავშირი—სთქვა შლეიმ—განსაკუთრებით აინტერესებს ამერიკის საქმიან წრეებს, როგორც უდიდესი სამომხმარებლო ბაზარი, რომელიც ახლო მომავალში გახდება ერთ-ერთი უდიდესი მსოფლიო ფაქტორი. ჩვენ ბანკს საქმიანი ურთიერთობა აქვს სხვადასხვა საბჭოთა ბანკებთან ერთ წელიწადზე მეტია. ჩვენ განსაკუთრებით ვიყავით დაინტერესებული საფეიქრო სინდიკატის მიერ ბამბის შესყიდვით ნიუ-იორკში. ჩვენი ურთიერთობა დამყარებულია სრულ ნდობაზე მისი საქმიანობისადმი“. ყველაფერი რაც მე ვნახე საბჭოთა კავშირში, ამართლებს ჩვენს ხაზს საბჭოთა სამეურნეო ორგანოებთან საქმიანი ურთიერთობისაკენ; მე დაკმაყოფილებული ვარ საბჭოთა წარმოებების ორგანიზაციით და ხელმძღვანელ მუშაკთა გულმოდგინეობით. ამერიკაში დაბრუნების შემდეგ მე ვიმუშავებ საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის საქმიან ურთიერთობის გაფართოების სასარგებლოთ.

„ჩეიზ ნეშონელ ბენკი“—ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფინანსიური დაწესებულებაა ნიუ-იორკში. ამ ბანკმა 60 მილ. დოლარის კრედიტი გაუხსნა სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატს ამერიკაში ბამბის შესაძენად. გარდა ამისა ბანკს აქვს მჭიდრო კავშირი საბჭოთა სხვა ფირმებთან ნიუ-იორკში, მაგ. „ამტორგთან.“

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზაზე

ხარბინელი ფაშისტები

ხარბინი, 16 აგვისტო. ხარბინელი ფაშისტების რაზმი თავს დაესხა ახალგაზრდა მუშებს, პიონერებს და საბჭოთა მოქალაქეების ბავშვებს. მუშებმა საკადრისი პასუხი გასცეს ფაშისტებს.

ხარბინის მონარქისტული გაზეთები მოუწოდებენ ჩინეთის ხელისუფლებს „გაუსწორდენ“ პიონერებს.

კამპანია საბჭოთა კავშირის წარმომადგენლების წინააღმდეგ

ხარბინი, 16 აგვისტო. ხარბინის რეაქციონურმა ჩინურმა გაზეთებმა, რომელნიც არსებობენ იაპონიისა და ინგლისის ბანკების ხარჯზე, განაახლეს კამპანია საბჭოთა კავშირის წარმომადგენლების წინააღმდეგ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზებზე. საბჭოთა წარმომადგენლებს აბრალებენ კომუნისტურ პროპაგანდას.

ჩერვონეცის კურსი [illegible] მატულობს

ხარბინი, 16 აგვისტო. ჩინეთის ადმინისტრაცია ენერგიულ ზომებს ღებულობს მანჯურიაში საბჭოთა ჩერვონეცის შეჭრის წინააღმდეგ მაგრამ მიუხედავათ ამისა ჩერვონეცი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ჩინელ კომერსანტებს შორის.

ჩერვონეცის კურსი ყოველდღე იწევს.

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის შემოსავალი

ხარბინი, 16 აგვისტო. ახალ ადმინისტრაციის ხელში აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზათა მთავარ ხალარის შემოსავალი პირ ველი ექვსი თვის განმავლობაში გაიზარდა 21 მილიონ ჩინურ დოლარამდე.

პოლონელ „სოციალისტების“ პროვოკაცია

ვარშავა, 15 აგვისტო. პოლონეთის სოციალისტური პარტიის ვარშავის კომიტეტმა გამოუშვა კომპარტიის საწინააღმდეგო მოწოდება რომელშიაც თავხედურით აცხადებს, რომ პოლონეთის კომპარტია მთლიანად შესდგება „ხალხისაგან, რომელიც ავრცელებს კომუნისტურ იდეებს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის ხარჯზე“. შემდეგ მოწოდებაში ნათქვამია, რომ პოლონეთის სოციალისტური პარტია, ვითომდა, კომუნისტების მუქარის გამო, რომელიც მიიღეს მისმა წევრებმა, გადამწყვეტ ბრძოლას გამოუცხადებს „კომუნისტურ ტერორს“.

საბჭოთა ნავთი სირიაში

ადესა, 15 აგვისტო. ბათუმიდან სირიაში გაიგზავნა პირველი გემი 120.000 ფუთი ნავთით დატვირთული.

საბჭოთა პავილიონი კენიგსბერგის ბაზრობაზე

ბერლინი, 16 აგვისტო. კენიგსბერგში გაიხსნა აღმოსავლეთის მეთერთმეტე ბაზრობა.

კენიგსბერგის ქალაქის თავმა გერდელერმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელს და აგრეთვე სავაჭრო წარმომადგენლობას იმ ყურადღებისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს გამოფენაზე დასწრებით.

პრუსიის მთავრობის წარმომადგენლები ხაზს უსვამდნენ ბაზარზე საბჭოთა ექსპონატების მნიშვნელობას.

საბჭოთა განყოფილების გახსნის დროს კენიგსბერგის ქალაქის თავმა სთქვა: „საბჭოთა განყოფილების გახსნა ადასტურებს რომ საბჭოთა მთავრობა ცდილობს მისცეს აღმოსავლეთის ბაზრობას შესაფერისი მნიშვნელობა, საბჭოთა კავშირის გერმანიასთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარებით.

შემდეგ გერდელერმა აღნიშნა, რომ გერმანიას სურს საბჭოთა კავშირი გახდეს ძლიერ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

საპასუხო სიტყვაში საბჭოთა კონსულმა კენიგსბერგში აღნიშნა, რომ „საბჭოთა მთავრობა ცდილობს მჭიდრო სამეურნეო ურთიერთობა იქონიოს გერმანიასთან. კენიგსბერგმა კვლავ უნდა დაიჭიროს მნიშვნელოვანი ადგილი და დაეხმაროს გერმანიას საბჭოთა კავშირთან მეგობრულ ურთიერთობის დამყარებაში.

სიტყვების გათავების შემდეგ დამსწრეებმა ყურადღებით დაათვალიერეს საბჭოთა პავილიონი.

სავაჭრო ურთიერთობა ოსმალეთთან

ადესა, 15 აგვისტო. ნიჟეგოროდის ბაზრობაზე ჩამოსულმა ოსმალეთის ვაჭრებმა პრესის თანამშრომლებთან საუბრის დროს აღნიშნეს, რომ ოსმალეთის ბაზარზე განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა საბჭოთა სურსათ-სანოვაგეზე, კერძოთ კი თევზების კონსერვებზე. შემდეგისათვის განზრახულია ოსმალეთში კარტოფილის და საპნის დიდი პარტიის გატანა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კარტოფილი მეტოქეობას გაუწევს საფრანგეთისას.

ესტონეთის სავაჭრო დელეგაცია

რეველი, 16 აგვისტო. შესდგა სასწრაფო სხდომა რუსეთ-ესტონეთის სავაჭრო პალატისა, რომელსაც დაესწრენ ესტონეთის ფინანსთა მინისტრი და სამრეწველო წარმოებათა მეპატრონეები.

ორატორები წინადადებას აძლევდნენ მთავრობას მოსპოს ის დაბრკოლებანი, რომელნიც ხელს უშლიან საბჭოთა კავშირთან ნორმალურ სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას.

მთავრობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ყველა დაბრკოლებანი მოსპობილი იქნებიან. დასასრულ ერთხმად მიღებულია რეზოლიუცია საბჭოთა კავშირში სავაჭრო პალატის წევრებისაგან შემდგარ დელეგაციის გაგზავნის შესახებ.

პურის გატანა საზღვარ-გარეთ

ადესა, 15 აგვისტო. „პურ ექსპორტი“ შეუდგა ადესის ნავთსადგურში სიმინდის საშრობების აშენებას. ამ დღეებში ადესაში მოელიან უცხოეთიდან ყველა საჭირო მანქანებს.

ადესა, 15 აგვისტო. გენუიდან, პირეიდან და ალექსანდრიიდან შავიზღვის ნავთსადგურებში გამოვიდა ხორბლის წასაღებად ექვსი გემი. ახლო ქირაობენ მრავალ გემებს სექტემბრისათვის, როდესაც გაძლიერდება ხორბლის გატანა ადესიდან, ნიკოლაევიდან და აზოვის ზღვის ნავთსადგურებიდან.

დონის-როსტოვი, 15 აგვისტო. საექსპორტო პურის გადაზიდვა ჩრდილო-კავკასიის რკინისგზაზე თან დათან მატულობს. ამჟამად იგზავნება 850 რონოდა დღეში, ამისგამო აგვისტოში პურის გადაგზავნის გეგმა გადიდებულია 2.125 რონოდით.

მოკავშირეები და გერმანია

საფრანგეთის ბურჟუაზიული წრეები უკმაყოფილო არიან ბრიანის და ჩემბერლენის შეთანხმებით

საფრანგეთსა და გერმანიას შორის მოხდა შეთანხმება საზღვრების საკითხში

ამერიკა თანახმაა დაუბრუნოს გერმანიას ომის დროს კონფისკაციაქმნილი ქონება

ის, რაზედაც სდუმს ოფიციალური ცნობა

პარიზი, 16 აგვ. იმ დროს, როდესაც მემარცხენე ბლოკის გაზეთები კმაყოფილი არიან ბრიანის და ჩემბერლენის შეთანხმებით, მემარჯვენე გაზეთები პესიმისტურად უცქერიან ბრიანის გამარჯვებას.

პრესის ნაწილი აცხადებს, რომ ბრიანის მონაწილეობას ისეთივე შედეგი მოჰყვა, როგორიც თავის დროზე პუანკარეს სიჯიუტეს, სახელდობრ, რომ ის დათმობაზე წავიდა ყველა საკითხებში.

გაზეთი „ეკლერი“ ამის გამო სწერს, რომ საფრანგეთი უნდა იყოს ძლიერი, რათა იქონიოს თავისი თავის იმედი, სხვა ყველაფერი მოტყუებაა და სხვა არაფერი.

„სანფილის“ სააგენტო კიდევ უფრო პესიმისტურად უცქერის საქმის ვითარებას და თავის ბიულეტენში ათავსებს წერილს სათაურით: „ის, რაზედაც სდუმს ოფიციალური ცნობა“. ამ წერილში სააგენტო ააშკარავებს ინგლისის მახინაციებს და აცხადებს, რომ ინგლისი ძალიან ნაკლებად ზრუნავს საფრანგეთის უშიშროებაზე. იგი დაინტერესებულია მხოლოდ ეკონომიური აღდგენით. გარდა ამისა, სწერს გაზეთი—ინგლისი ცდილობს საბჭოთა კავშირის დამორჩილებას, ხოლო გერმანიის დაუხმარებლად ეს ცდა უშედეგოთ დამთავრდება.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამბების ზეგავლენით უფრო შორსმჭვრეტელი ბურჟუაზიული პრესის ერთი ნაწილი ამის შესახებ სწერს იმასვე, რასაც მუშათა პრესა დიდი ხანია ამტკიცებდა.

ამერიკა გავლენას ახდენს

ლონდონი, 15 აგვ. „დეილი ტელეგრაფის“ დიპლომატიურ კორ. ცნობით ბერლინში გამოყენებულ იქნება ამერიკის გავლენა, რომ გერმანია აიძულონ შევიდეს ერთა ლიგაში. ესევე იყო გამოყენებული ამერიკის გავლენა ლონდონში, რომ საგარანტიო ხელშეკრულებას მიეცეს ორივე დაინტერესებულ მხარის სასარგებლო ხასიათი.

ამერიკის პასუხი გერმანიის ნოტაზე

ვაშინგტონი, 16 აგვისტო. ამერიკის მთავრობა ამზადებს პასუხს გერმანიისნოტაზე ამერიკაში ომის დროს გერმანელთა კონფისკაციაქმნილ ქონების უკან დაბრუნების შესახებ. წინასწარი ცნობებით, პასუხი დადებითი იქნება, მხოლოდ ერთი შესწორებით, რომ კონფისკაციაქმნილ ქონების უკან დაბრუნება მოხდეს კანონის საშუალებით, რომელსაც გამოსცემს კონგრესი.

საფრანგეთ-გერმანიის საზღვრების მოწესრიგება

პარიზი, 16 აგვისტო. საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა და გერმანიის ელჩმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საფრანგეთ-გერმანიის საზღვრების მოწესრიგების შესახებ. საზღვრები რჩება ისეთივე, როგორიც იყო 1871 წლამდე, გარდა ზოგიერთ პუნქტებში ლოტარინგიასა და პფალცს შორის.

ხელშეკრულებით საფრანგეთის კითვნილებათ მტკიცდება რეინის მთელი მარცხენა ნაპირი.

საფრანგეთის მიერ ახლად მომებულ ოლქებში შემოღებული იქნება ისეთი რეჟიმი, როგორიც არსებობდა ელზას-ლოტარინგიაში გერმანელების ხელისუფლების დროს 1919 წლამდე.

ომი მაროკოში

ფრანგები და ესპანელები მთელ ფრონტზე შეტევაზე გადავიდნენ

საფრანგეთმა და ესპანეთმა გამოიმუშავეს აბდ-ელ-ქერიმთან ზავის პირობები

პარიზში გაიმართა დიდი მიტინგი მაროკოს ომის წინააღმდეგ

ფრონტზე

პარიზი, 16 აგვისტო. ჰავასის სააგენტო იუწყება ფეციდან, რომ ფრონტის დასავლეთ ნაწილში მთელ რიგ ტომებს განზრახული აქვთ დაემორჩილონ საფრანგეთს.

ლარაშის რაიონში შემჩნეულია მოწინააღმდეგის ახალი შეტევა. ჯებელ-ამერგის რაიონიდან რიფების დიდი რაზმები მიემართებიან ფრონტზე ტაზის მახლობლად.

პარიზი, 16 აგვისტო. ფეციდან მიღებულ ოფიციალურ ცნობებით, უეტცანის რაიონში ბენი მოსგალდის ტომის ნაწილებმა გამოუცხადეს ფრანგებს მორჩილება. ზულიის აღმოსავლეთ სექტორში რიფები სასწრაფოდ იხევენ ჩრდილოეთისაკენ, ეშინიათ რა ფრანგების იერიშებისა.

პარიზი, 16 აგვისტო. ჰავასის სააგენტოს ცნობით ფრონტზე სიწყნარეა.

საფრანგეთის რაზმებმა უეტცანის რაიონში დაიკავეს სიმაღლე ჯებელ-ხარხარი და გამოდევნეს მოწინააღმდეგე.

საფრანგეთის მორჩილი ტომები გორობას ჩრდილოეთით მდებარე რაიონში ბრუნდებიან უკან და იკავებენ თავიანთ სოფლებს.

პენლევე—აბდ-ელ-ქერიმთან მოლაპარაკების შესახებ

პარიზი. 16 აგვ. ჰავასის სააგენტო იუწყება:

პენლევემ საუბარში განაცხადა, რომ აბდ-ელ-ქერიმი მუდამ თვალყურს ადევნებდა საფრანგეთ-ესპანეთის მოლაპარაკებას და ზავის არსებითი პირობებიც მან კარგად უწყოდა. ეს პირობები წარმოადგენენ რიფისა და ჯებალის ადმინისტრატიულ, ეკონომიურ და პოლიტიკურ ავტონომიას სულთანისა და ხალიფის დელეგაციის სუვერენიტეტის აღიარებით.

აბდ-ელ-ქერიმის სახელით მოლაპარაკე პირები აქნობამდის სულ იმას ამტკიცებენ, რომ იგი მოითხოვს რიფების სრულ დამოუკიდებლობას, სანამ მოლაპარაკება დაიწყებოდეს. ეს პირობა სავსებით ეწინააღმდეგება საერთაშორისო ხელშეკრულებათ, რომელზედაც სხვა სახელმწიფოების ნებადაურთველად უარს ვერ იტყვიან საფრანგეთი და ისპანია: ამ პირობის მიღება სულ ახლათ ასწეწავს მთელი მაროკოს საკითხს, რასაც დიდი გართულება მოჰყვება.

საფრანგეთის სულგრძელობასაც საზღვარი აქვს, რის გარდალახვაც შემდეგში უფრო მეტ საფრთხეს გამოიწვევს, ვიდრე არსებობს ეხლა.

მოლაპარაკებს ერთი წუთითაც არ შეუშლია ხელი სამხედრო ოპერაციების სამზადისისათვის და იარაღის გადაგზავნისათვის, რომ უკუვაგდოთ რიფების იერიშები, რის მსხვერპლათაც გადიქცა საფრანგეთი. საფრანგეთმა იღონა ყველაფერი, ვიდრე მიმართავდა იარაღს. რიფებმა ეხლა საბოლოვოთ უნდა მოახდინონ არჩევანი ომსა და ზავს შორის.

ესპანეთის დირექტორიის ცნობა

პარიზი, 16 აგვისტო. „ჰავასის“ სააგენტოს ცნობით ესპანეთის დირექტორიამ გამოუშვა სპეციალური ცნობა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ საფრანგეთმა და ესპანეთმა შეიმუშავეს ზავის საფუძვლები, რომელიც შეიცავს „უკიდურეს დათმობებს“, ამასთანავე ორივე სახელმწიფო მზად არის წავიდნენ უდიდეს ეკონომიურ დათმობაზე რიფებთან შეთანხმების მიღწევის მიზნით. საფრანგეთმა და ესპანეთმა გადასწყვიტეს მიანიჭონ აჯანყებულ ოლქს ფართო ავტონომია მაროკოს სულთნის ნორმალურ სუვერენიტეტის ქვეშ, ამასთანავე ესპანეთის ზონაში იქნება ხალიფატის წარმომადგენელი.

შემდეგ ცნობაში ნათქვამია, რომ არც ერთ მთავრობას ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ თუ აბდ-ელ-ქერიმი დაჟინებით მოითხოვს რიფების ოლქის დამოუკიდებლობის დაუყონებლივ ცნობას საერთაშორისო ვალდებულებათა საწინააღმდეგო პირობებში, მასთან შეუძლებელი იქნება მოლაპარაკების წარმოება.

ცნობაში ნათქვამია, რომ „საფრანგეთი და ესპანეთი ილტვიან მშვიდობიანობისაკენ და ყოველ ღონეს ხმარობენ სისხლის ღვრის შესაწყვეტათ, მაგრამ მათ უნდა მიიღონ მტკიცე მშვიდობიანობის გარანტია, რათა თავიდან აიშორონ მომავალი თავდასხმები და საშიშროება“.

ომის წინააღმდეგ

პარიზი, 16 აგვისტო. მაროკოს ომის წინააღმდეგ გამართულ მიტინგს პარიზის ლუნა-პარკში დაესწრო რამოდენიმე ათასი მუშა.

მიტინგზე გამოვიდნენ კომპარტიის წევრები დორიო, ტრენი, სოციალისტი ლიპოცი, შრომის უნიტარულ კონფედერაციის წარმომადგენელი მონმუსო, რომელნიც მოუწოდებდნენ მუშებს ემზადონ საყოველთაო გაფიცვისათვის ომის წინააღმდეგ.

აჯანყებულები უკან იხევენ

პარიზი, 14 აგვისტო. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ უეტცანის რაიონში ბრძოლის შემდეგ ხარხარისა და ალზერიფის ტომებმა, რომელნიც მოწყვეტილი იქნენ, დაიწყეს მოლაპარაკება დამორჩილების შესახებ. საფრანგეთის ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს მტერი. აჯანყებულები განაგრძობენ უკან დახევას. ხარხარის მთაგრეხილში შეჭრილ საფრანგეთის რაზმების იერიშები აიძულებენ მტერს სასწრაფოდ დაიხიოს ჩრდილოეთის მიმართულებით. ამ რაიონის სხვა ტომები უარს ამბობენ მიაწოდონ სურსათ-სანოვაგე აბდ-ელ-ქერიმის ჯარებს.

ბაბტაცის, მაატუფის და სლებენის რაიონებში ჰაეროპლანებმა დაუშინეს ყუმბარები მტრის ბანაკს.

გენერალი დოგანი გაემგზავრა მარაკეშში (ქალაქია მაროკოში), სადაც მიიღებს სარდლობას მაროკოს მთელი სამხრეთი ნაწილის სახედრო ძალებზე.

ჰავასის სააგენტოს მიერ მელილიდან მიღებული ცნობებით, მტრის თავდასხმა ისსენ-ლასსენის ახლოს, მოგერიებულ იქნა; მტერი ძალიან დაზარალდა. ესპანელებმა დაკარგეს 13 კაცი მოკლული და 1 დაჭრილი.

სამხედრო თათბირი

პარიზი, 16 აგვისტო. ფეციდან მიღებულ ჰავასის სააგენტოს ცნობებით, გენერალი ლიოტე ეთათბირა გენერალ ნოლლენს და დე-შამბრენს ფრონტზე შექმნილ ახალი მდგომარეობის შესახებ, რომელიც გამოწვეულია საფრანგეთისადმი მტრულად განწყობილ ტომების სულიერი დაცემით.

ამ თათბირზე გარჩეულ იქნა, აგრეთვე, საკითხი მომავალი სამორი მოქმედების შესახებ.

აღმოსავლეთში

ირაქი

მოსულის საკითხის გარშემო.

ლონდონი. 14 აგვისტო. მუშათა მთავრობის ყოფილმა წევრმა, ლორდ პარმურმა, ინგლისის წარმომადგენელმა ერთა ლიგაში, წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც შეეხებოდა ერთა ლიგის კომისიის მოხსენებას მოსულის საკითხის შესახებ. პარმურმა აღნიშნა, რომ აწ განსვენებული ბრანტინგი, როგორც ერთა ლიგის საბჭოს მომხსენებელი მოსულის საკითხის შესახებ, ამ საკითხის გადაწყვეტის საუკეთესო გზათ სთვლიდა საბჭოს მიერ კომისიის დანიშვნას კომპეტენტურ პირების შემადგენლობით. ეს კომისია დანიშნულ იქნა საბჭოს თავმჯდომარე ჰიმანსის მიერ. პარმურმა განაცხადა: „არ იქნებოდა მართალი გეფიქრათ, რომ მე ვითომდა, ვახდენდი გავლენას კომისიის პერსონალურ შემადგენლობაზე. წინასწარი სადემარკაციო ხაზი მოსულში დასახული იყო მომხსენებლის მიერ მოსულის საკითხის შესახებ კომისიის მიერ წარმოდგენილ მასალებთან გაცნობის შემდეგ. ინგლისის წარმომადგენლები არ დასწრებიან ამას და, ამიტომ, წინადადება სადემარკაციო ხაზის შესახებ არაა მათ მიერ შეტანილი.

სირიაში

ახალი აჯანყება სირიაში.

პარიზი. 16 აგვისტო. „მატენი“ იუწყება ინგლისის წყაროების მიხედვით, რომ გაურანში (სირიაში) აჯანყდა დელერსორთა ტომი. მდგომარეობა მეტად სერიოზულია. როგორც სჩანს, წინააღმდეგ გაგზავნილი სენეგალიელთა რაზმებიც აჯანყდნენ. როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, საფრანგეთის მთავრობას ამის შესახებ არავითარი ცნობები არ მიუღია.

ჩეხიის სოციალ დემოკრატიის „ამოცანები“

ჩეხო-სლოვაკიის სოციალ დემოკრატების ლიდერმა მეხინ განაცხადა, რომ არჩევნების შემდეგ მთავრობ ის მთავარი მიზანი იქნება კომპარტიის ლიკვიდაცია.

ყვითლების ბანაკში

საფრანგეთის „სოც.-პარტიის“ ლიდერები იცავენ ბურჟუაზიასთან თანამშრომლობას

კოლონიების დელეგატები ყვითელი ბელადების წინააღმდეგ

გერმანიის პროფკავშირების ყვითელი გაერთიანების „ბრძოლის პროგრამა“

საფრანგეთის „სოციალისტური“ პარტიის კონგრესი

პარიზი, 16 აგვისტო. საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის კონგრესზე გრძელდება კამათი პარტიის საერთო პოლიტიკის შესახებ.

ტუნისის წარმომადგენელმა სასტიკად გააკრიტიკა მემარცხენე ბლოკის პოლიტიკა, რომელიც განაგრძობს ტუნისში ეროვნული ბლოკის ძველ პოლიტიკას.

შემდეგ დელეგატებმა განაცხადა, რომ მხოლოდ კომუნისტები იცავდნენ ტუნისის მკვიდრ მცხოვრებლებს, მაშინ როდესაც სოციალისტური პარტია პარლამენტში ხმას არ იღებდა.

მემარჯვენე ფრთის წარმომადგენელი მონბარი მხარს უჭერს სოციალისტურ პარტიის „შეჭრას“ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ყველა სოციალურ ორგანიზაციებში და აგრეთვე მთავრობაში მონაწილეობას.

პრესემანი ნაადრევად სთვლის სოციალისტების მიერ ხელისუფლების ხელში აღებას.

პოლ ფორი აცხადებს, რომ სოციალიზმი ძალიან სუსტია, რათა ხელში აიღოს ძალაუფლება. აკრიტიკებს რა ბურჟუაზიის კოლონიალურ პოლიტიკას, ფორი ამავე დროს ილაშქრებს ამ საკითხში კომუნისტების პოზიციის წინააღმდეგ და ამბობს, რომ „ისინი იცავენ ადგილობრივ ეროვნულ მოძრაობას და არა პროლეტარიატის რეალურ ინტერესებს“.

კონგრესმა დაადგინა დაბეჭდოს ფორის სიტყვა და ცალკე გამოუშვას იგი, სოციალისტი ბლიუმი აკრიტიკებს მთავრობაში მონაწილეობის ან „ძალაუფლების საცხებით ხელში ჩაგდების მომხრეთა არგუმენტებს, ბლიუმი ამბობს, რომ სახელმწიფოებრივ ძალა-უფლების ნაადრევად ხელში ჩაგდება შეუძლებლად ხდის სოციალისტებისათვის მ ძალაუფლების სათანადოთ გამოყენებას.

შემდეგ ბლიუმი აღიარებს, რომ ბურჟუაზიულ მთავრობაში მონაწილეობა მხოლოდ ამაგრებს ბურჟუაზიულ რეჟიმს, მაგრამ მაინც მხარს უჭერს მემარცხენე ბლოკისათვის ხელის შეწყობის პოლიტიკის განახლებას განსაზღვრულ პირობებში, თუ კი გარემოება მოითხოვს ამას.

ბრაკკე ილაშქრებს ბურჟუაზიულ მთავრობაში მონაწილეობის წინააღმდეგ.

მორილლი აღიარებს, რომ მემარცხენე ბლოკისათვის მხარის დაჭერის დროს, სოციალისტებს არ შეეძლოთ დეპუტატთა პალატაში დასდგომოდენ ისეთსავე რევოლიუციონურ ტაქტიკას, როგორსაც ადგენ კომუნისტები.

მემარცხენე ფრთის წარმომადგენელი გამოსთქვამს კმაყოფილებას იმით, რომ სოციალისტური პარტია „თანდათან მარცხნივ იხრება“.

ყრილობის ორივე დღეს გამოვიდენ მხოლოდ სოციალისტურ პარტიის ლიდერები, მუშების ხმა კი სრულიად არ ისმოდა.

ბევრ ორატორის სიტყვაში გამოსჭვიოდა შიში კომპარტიის ენერგიულ მოქმედების წინაშე.

პარიზი. 15 აგვისტო. პირველ სხდომაზე საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობამ გარიცხა პარტიის წევრ, დეპუტატ ვარენის საქმე, რომელიც საფრანგეთის მთავრობამ დანიშნა ინდო-ჩინეთის გუბერნატორად. 2113 ხმის უმეტესობით 331 წინააღმდეგ მიღებულია რეზოლიუცია ვარენის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ.

დილის სხდომაზე დაიწყო კამათი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

რენოდელმა, რომელიც მონაწილეობს კამათში, განაცხადა, რომ სოციალიზმს არ შეუძლია დაუშვას ძალაუფლების რეაქციონური მთავრობის ხელში გადასვლა, ამიტომ იგი არ უნდა მერყეობდეს მთავრობაში მონაწილეობის მიღების საკითხში, ვინაიდან პასუხისმგებლობის აღება სოციალიზმისათვის წარმოადგენს ბოლშევიზმთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებას.

გრუმბახმაც, აგრეთვე, განაცხადა, რომ დადგა დრო სოციალიზმის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა.

დელეგატმა ბერმა, რომელსაც რამდენიმე ხანს უცხოვრია მაროკოში, სასტიკად გააკრიტიკა ექსპლოატაციის რეჟიმი, რომელსაც საფრანგეთის ბურჟუაზია ატარებს მაროკოში.

ლეონ ბლიუმის განცხადება

პარიზი, 16 აგვისტო. ლეონ ბლიუმმა სოციალისტური პარტიის კონგრესზე განაცხადა, რომ სოციალისტები უნდა გაემიჯნონ პენლევეს დღევანდელი მთავრობისაგან. სოციალისტები უნდა ელოდნენ იმ მომენტს, როდესაც ექნებათ უმრავლესობა და შესძლებენ იმოქმედონ ისე, როგორც მათ სურთ; მაშინ ისინი, შესაძლებელია, დათანხმდენ ბურჟუაზიულ უმცირესობის თანამშრომლობაზე.

ბლიუმი ათავებს თავის სიტყვას წინადადებით არ მიიღონ ამ საკითხის შესახებ რაიმე გადაწყვეტილება, რომელსაც შეუძლია პარტიის მთლიანობის დარღვევა.

მორიგი თვალთმაქცობა

ყვითლების „ბრძოლის პროგრამა“

ბერლინი, 15 აგვისტო. სრულიად გერმანიის პროფკავშირთა ყვითელმა გაერთიანებამ გამოაქვეყნა „ბრძოლის პროგრამა“, რომელშიაც აღნიშნულია, რომ გაერთიანებამ გადასწყვიტა დაიწყოს ბრძოლა მთავრობის და მწარმოებელთა წინააღმდეგ. თავის პროგრამაში გაერთიანება აღნიშნავს, რომ მწარმოებელთა მიერ უარის თქმა საარბიტრაჟო მოლაპარაკებებისათვის ანგარიშის გაწევაზე და ახალი საბაჟო კანონი ძალიან აუარესებენ მუშათა კლასის მდგომარეობას და ამიტომ საყოველთაო გაერთიანება მოუწოდებს მუშათა კლასს შეამჭიდროონ რიგები პროფკავშირების გარშემო, რათა უზრუნველყონ თავიანთ მატერიალური კეთილდღეობა ეკონომიური ბრძოლის საშუალებით.

არ აწუხებს ბურჟუაზიას

ბელგიის სოციალისტური პარტიის ც. კ. დადგენილება

პარიზი, 16 აგვისტო. ბელგიის პრემიერის პულეს მოთხოვნის გამო, ბელგიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით კომიტეტის წევრი ვანდერველდე, რომელიც არის ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრი, არ მიიღებს მონაწილეობას მეორე ინტერნაციონალის მომავალ კონგრესში, რომელიც გაიმართება მარსელში.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ბელგია

შრომის მინისტრი ბურჟუაზიის მხარეზე

პარიზი. 16 აგვისტო. ბელგიის ლითონის სამრეწველოების მეპატრონეებს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ შრომის მინისტრთან, სოციალისტ ვოუტერსთან, რომელმაც, მათი დაჟინებითი თხოვნის გამო, გადასწყვიტა გამართოს პროფკავშირთა რეფორმისტულ ბელადების თათბირი, რომელზედაც შეიტანს წინადადებას, გაფიცულ მუშებზე გავლენის მოხდენის შესახებ გაფიცვის შესაწყვეტად.

კომუნისტები აფრთხილებენ მუშებს არ წამოეგონ ანკესზე და წინადადებას აძლევენ მუშებს ყველა ორგანიზაციებს დაიწყონ საყოველთაო გაფიცვა კონფლიქტის სასწრაფოდ მოგვარების მიზნით.

მელითონეთა გაფიცვის გამო.

პარიზი. 12 აგვისტო. ლითონის წარმოებათა მუშების გადაწყვეტილებამ განაგრძონ გაფიცვა, პროფკავშირთა შემთანხმებელ ხელმძღვანელებსა და ლითონის მწარმოებელთა წრეებში არევ-დარევა გამოიწვია.

შემთანხმებელთა მოთხოვნილებით შედგენილ იქნება პარიტეტული კომისია შექმნილ მდგომარეობის განსახილველად იმ მიზნით, რათა მწარმოებელნი დაიყოლიონ დათმობაზე. სამაგიეროთ მთავრობა მწარმოებლებს სუბსიდიას მისცემს.

საფრანგეთი

ბანკების მოსამსახურეთა გაფიცვა

პარიზი, 12 აგვისტო. ამ ჟამად საფრანგეთში გაფიცულია 30 ათასი მოსამსახურე.

პარიზში გაიმართა გაფიცვა-მიტინგი. მიტინგის დასრულების შემდეგ პოლიცია თავს დაესხა მიტინგის მონაწილეებს და გარეკა ისინი.

პროვინციაში გაფიცვა განუწყვეტლივ ფართოვდება.

გერმანია

ლოკაუტი

ბერლინი, 15 აგვისტო. საქსონიის და ტიურინგიის საფეიქრო მრეწველობის მწარმოებელთა კავშირმა დაადგინა დაითხოვოს 15 სექტემბერს ერთბაშად 200.000 მუშა.

ამის გამო „ფოსიშე ცეიტუნგი“ თავს ესხმის მთავრობას და აცხადებს, რომ მწარმოებლები განზრახ იწვევენ ბრძოლას, რაც საბაბს აძლევს კომპარტიას გააღვიოს სოციალური სიძულვილი შუა გერმანიაში.

ინგლისში

კონფლიქტის მოგვარება.

ლონდონი, 15 აგვისტო. მიღწეულია შეთანხმება საფეიქრო მრეწველობაში მუშაობის განახლების შესახებ. მუშაობა განახლებულია იმ პირობით, თუ დაცული იქნება შრომის ძველი ხელფასი ახალ შეთანხმებამდე, რომელიც დაემყარება საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

პოლონეთი

მელითონეთა გაფიცვა

ვარშავა, 16 აგვისტო. მელითონეთა მოლაპარაკებამ მწარმოებლებთან, შრომის, სამხედრო საქმეთა, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროების წარმომადგენლების მონაწილეობით, შრომის ხელფასის მინიმალურ განაკვეთების გადიდების საკითხის შესახებ ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო. მწარმოებლებმა უარი სთქვეს დააკმაყოფილონ მუშების მოთხოვნილებანი, ამიტომ სადელეგატო კრებამ ყველა ლითონის ქარხნებისა, დაადგინა 14 აგვისტოდან დაიწყონ საყოველთაო გაფიცვა.

გაფიცულ მელითონეთა მიტინგი

ვარშავა, 16 აგვ. ვარშავაში გაიმართა გაფიცულ მელითონეების მიტინგი, რომელზედაც მრავალმა მუშებმა განაცხადეს, რომ აღარ ენდობიან პროფკავშირის ხელმძღვანელებს და მოითხოვეს, რომ გაფიცვის ხელმძღვანელობა გადაეცეს ყველა დაინტერესებულ წითელ პროფკავშირების და მათთან ახლო მდგომ ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან შემდგარ გაერთიანებულ კომიტეტს.

ჯარი გაფიცულების წინააღმდეგ.

ვარშავა, 16 აგვისტო. პოლონეთის ლითონ მრეწველობაში გაფიცვების დაწყების გამო, ქარხნის პატრონებმა განკარგულება გასცეს დაუკავონ მუშებს ხელფასი.

ამის გამო კოხის სამხედრო ქარხნის აღელვებულმა მუშებმა შეამტვრიეს ქარხნის კარები.

შეშინებულმა ადმინისტრაციამ გამოიძახა ჯარი, რომლებმაც იარაღით ხელში გამორეკეს მუშები ქარხნიდან. ბევრი მუშა დაატუსაღეს.

პარიზის ბანკების მოსამსახურეთა გაფიცვა

არ მიდიან დათმობაზე

პარიზი, 15 აგვისტო. პოლიცი მიერ ბანკის გაფიცულ მოსამსახ რეთა დევნა უწყობს ხელს გაფ ცულთა რიცხვის განუწყვეტლ ზრდას. გაფიცული მუშები გაემარ ნენ კომპარტიის ორგანო „იუმანი ტეს“ ბინისაკენ და მადლობა გან ცხადეს გაზეთს იმ დახმარებისათვ რომელსაც იგი თავიდანვე უწევ მათ. მუშების ფულადი დახმარებ მატულობს. გაფიცულთა სულიერ განწყობილება მტკიცეა.

თანაგრძნობის მიტინგი ბრი სელში

პარიზი, 16 აგვისტო. საფრანგ თის ბანკის მოსამსახურეთა გაფი ვასთან დაკავშირებით, ბანკის მო სამსახურეთა პროფკავშირმა მოაწ ბრიუსელში მიტინგი, რომელზედ გამოვიდნენ შრომის საყოველთ ფედერაციის, შრომის უნიტარუ ფედერაციის და ბელგიის კომპა ტიის წარმომადგენლები.

ორატორები აღნიშნავდნენ, რ საფრანგეთში ბანკის მოსამსახურე გაფიცვა, რომელშიაც მონაწილე ბენ ყველა პოლიტიკურ მიმართულ ბის მოსამსახურენი, წარმოადგ საუკეთესო მაგალითს ერთია ფრონტის ტაქტიკის გამოყენებისა.

მიღებულ რეზოლიუციაში ბელგ ბანკის მოსამსახურეთა პროფკავშ რი ამართლებს ფრანგ ამხანაგების ადგენს გაუწიოს მატერიალური დ მარება გაფიცულებს.

მოსავალი რუსეთში

საუბარი რ. ს. ფ. ს. რ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარის მოადგილე—ამხ. ტეოდოროვიჩთან.

გუშინ თბილისში ჩამოვიდა რ. ს. ფ. ს. რ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარის მოადგილე ამხ. ტეოდოროვიჩი და ამავე კომისარიატის თანამშრომელი, პროფ. კონდრატიევი.

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. ტეოდოროვიჩმა მიმდინარე წლის მოსავლის შესახებ განაცხადა შემდეგი:

— მიმდინარე წლის მოსავალი რუსეთში განისაზღვრება 4.200.000.000 ფუთით. წრევანდელი მოსავალი შარშანდელს აღემატება 1.200.000.000 ფუთით.

ინტენსიურ ძვირფას კულტურების მოსავალი ჯერ არ არის გამორკვეული, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მათი მოსავალი მიმდინარე წელში საშუალოზე უკეთესი იქნება. კერძოთ, სელის მოსავალი განისაზღვრება 14—15.000.000 ფუთით, წელს ყველაზე უფრო მოსავლიან რაიონებს შეიძლება მივაკუთვნოთ უკრაინა, ვოლგის მხარე და რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, ნაკლებ მოსავლიანი რაიონებია ცენტრალური რუსეთი, კერძოთ პენზის და ტამბოვის გუბერნია.

შემდეგ ამხ. თეოდოროვიჩმა აღნიშნა, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რ. ს. ფ. ს. რ. ამერიკიდან შემოტანილი იყო 9.000 ტრაქტორი. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გეგმის მიხედვით მომავალ წელში განზრახულია შემოტანილი იქნეს 19.000 ტრაქტორი.

ტრაქტორების გლეხთა მეურნეობასთან დაახლოვების და ტრაქტორიზაციის იდეის პოპულიარიზაციის მიზნით მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ცალკე გლეხთა მეურნეობებთან აწყობს საცდელ სადგურებს. მუშაობის გაცხოველების მიზნით განსაზღვრულ პუნქტებში გახსნილია ტრაქტორების სარემონტო სახელოსნოები, მზადდება კვალიფიციური ტეხნიკური პერსონალი და სხვა.

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ როგორ მიმდინარეობს რ. ს. ფ. ს. რ. სამიწათმომწყობო მუშაობა, ამხ. ტეოდოროვიჩმა განაცხადა:

— წინასწარ შედგენილ პერსპექტიულ გეგმის მიხედვით, სამიწათმოწყობო მუშაობა მთელს რუსეთში უნდა დამთავრდეს 15 წლის განმავლობაში, იმ ანგარიშით, რომ თვითეული ხუთი წლის განმავლობაში მოწყობილი უნდა იქნეს 45,000,000 დესეტინა მიწა.

მაგრამ, საბჭოთა საკავშირო მესამე ყრილობის დადგენილების გამო სამიწათმოწყობო მუშაობა უნდა დამთავრდეს 10 წლის განმავლობაში. მიღებულია ყველა ზომები, რომ მუშაობა დამთავრებული იქნეს აღნიშნულ ვადის განმავლობაში.

მუშა-ესპერანტისტების საერთაშორისო კონგრესის პროტესტი

ვენა, 16 აგვისტო. ვენაში გაიხსნა მუშა-ესპერანტისტების საერთაშორისო კონგრესი. კონგრესმა მიიღო საპროტესტო რეზოლუცია ავსტრიის მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც ავსტრიაში ჩასვლის უფლება არ მისცა საბჭოთა დელეგაციას.

ერთხმათ მიღებული იქმნა წინადადება ესპერანტისტების შემდეგი ყრილობის ლენინგრადში მოწვევის შესახებ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთში

საიდუმლო არქივის აღმოჩენა

ლენინგრადი, 16 აგვ. 13 აგვისტოს მთავარ სადმირალტოს ერთერთ შენობაში აღმოჩენილ იქნა ფილერებში სიგანგებოდ ჩაქმალული საიდუმლო არქივი ყოფილ სახლვაო შტაბის უფროსისა.

ეს არქივი ეკუთვნის 1917 წელს. საქმეებზე წარწერის მიხედვით ეს არქივი ატარებს ყოვლად საიდუმლო ხასიათს.

არქივი ნაპოვნია ყოფ. სახლვაო მინისტრის გრიგოროვიჩის ბინაზე.

1917 წელში გენერალურ სახლვაო შტაბის უფროსად იმყოფებოდა ცნობილი კონტრ-რევოლუციონერი—გრაფი კაპნისტი.

ტრაქტორები

მოსკოვი, 16 აგვ. მიწ.-მოქ. კომისარიატის ცნობით ამჟამად მთელ საბჭოთა კავშირში მუშაობს 7.500 ტრაქტორი.

თვითეულ ტრაქტორზე რომ ვიანგარიშოთ წლიურად 100 დეს. დამუშავება, მაშინ ყველა ტრაქტორებით დამუშავებული მიწა წარმოადგენს 750.000 დეს. ეს ციფრი კი იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი ტრაქტორი გვჭირდება.

გლეხების მიერ ტრაქტორების მოთხოვნილება ერთობ დიდია. მიმდინარე წლის 1 მაისამდის გლეხთა კოლექტივების მიერ შემოტანილი იყო 20.000 განცხადება ტრაქტორების შესახებ. ბევრმა კოლექტივმა ფულიც კი შეიტანა წინდაწინ ტრაქტორების დასაკვეთად.

კანონპროექტი შრომის ინვალიდების პენსიების შესახებ

მოსკოვი, 16 აგვისტო. საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ მიიღო და წარადგინა საკავშირო ცაკში დასამტკიცებლათ კანონპროექტი შრომის ინვალიდებისა და მათ ოჯახის წევრების პენსიის შესახებ.

კანონპროექტი სოც. დაზღვევის წესით ინვალიდების უზრუნველყოფის უფლებას აძლევს ყველა მუშა-მოსამსახურეებს, რომელთაც კი დაკარგეს შრომის უნარი ან დასახიჩრების, ან ავადმყოფობის, ან სიბერის გამო. უკანასკნელ შემთხვევაში პენსიის უფლება ეძლევა არა ნაკლებ 50 წ. ასაკისა და რომლებიც დაქირავებულ შრომას ეწეოდენ არა ნაკლებ 8 წლისა. პენსიონერის სიკვდილის შემდეგ მისი საპენსიო უფლება გადადის მის ოჯახის წევრებზე, თუ უკანასკნელებს არ აბადიათ ცხოვრების საკმაო სახსარი.

შრომის ინვალიდის პენსია არ უნდა იყვეს ადგილობრივ საშუალო ხელფასის ნახევარზე ნაკლები.

საბჭოთა ნავთის პროდუქტები საზღვარ-გარეთ

მოსკოვი, 14 აგვისტო. ნავთის სინდიკატის ლონდონის განყოფილებამ ინგლის-რუსეთის შერეულ საზოგადოებას მიჰყიდა 310.000 ფ. ბენზინი და 590.000 ფ. ლიგროინი. ეს მხოლოდ მეორე შემთხვევაა ლიგროინის გაყიდვისა როგორც საბჭოთა წყობილების, ისე წინანდელ დროიდანაც.

ბერლინის განყოფილებამ მიჰყიდა ფირმა „დეიჩე პეტროლიუმ ვერკაუფეს“ 434.000 ფ. გაზოლი.

იტალიურ საზოგადოება „სოსიეტე ნაციონალე ოლე მინერალემ“ შეიყიდა 744.000 ფ. საექსპორტო მაზუთი.

იაპონიის საჰაერო ექსპედიცია

ტომსკი. 16 აგვისტო. მიღებულია ცნობა, რომ იაპონიის აეროპლანები დაეშვენ ანჟერკაში. ამინდი ხელს არ უწყობს ფრენას. აეროპლანების გადაფრენა ნოვო-ნიკოლაევსკში განზრახულია 15 აგვისტოს დილით.

იაპონელ მფრინავების შესახვედრად.

ნოვო-ნიკოლაევსკი. 14 აგვისტო. აჩინსკიდან გამოფრენილი იაპონიის ექსპედიციის შესახვედრად ნოვო-ნიკოლაევსკიდან გაფრინდა ორი საბჭოთა აეროპლანი. ჩვენი აეროპლანები შეხვდენ იაპონიის ერთ მფრინავს სადგ. დერიკულთან. 150 ვერსის დაშორებით სადგურ ტაიგიდან ამ სადგურთან დაეშვენ ჩვენი და იაპონიის აეროპლანები. იაპონელთა, მეორე აეროპლანი, რომელიც ანჟერკას მიმართულებით მიფრინავდა არ ჩანს და, როგორც ეტყობა, გზა აებნა.

ნოვო-ნიკოლაეველები მთელი კვირა მოელიან ექსპედიციის მოფრენას, მის მოლოდინში ყოველ დღე აურაცხელი ხალხი იყრის თავს აეროდრომზე.

იაპონიის აეროპლანები ნოვო-ნიკოლაევსკში.

ნოვო-ნიკოლაევსკი, 15 აგვისტო. 14 აგვისტოს ნოვო-ნიკოლაევსკს აეროდრომზე დაეშვენ იაპონიის აეროპლანები. ექსპედიციას აეროდრომზე შეხვდენ ციმბირის რევოლუციონურ კომიტეტის, ციმბირის რაიონულ კომიტეტის, ციმბირის ავიო-ქიმიის და პროფორგანიზაციების წარმომადგენლები. საღამოს ექსპედიციის საპატივსაცემოდ გაიმართა ბანკეტი.

თუ კარგი ამინდი დაიჭირა ექსპედიცია გაფრინდება კურგანში 15 აგვისტოს.

ბანკეტი

ნოვო-ნიკოლაევსკი. 17 აგვისტო. იაპონიის მფრინავების საპატივცემოთ გაიმართა ბანკეტი, რომელზედაც მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ საოლქო და საგუბერნიო ხელისუფლების წარმომადგენლები.

იაპონიის საჰაერო ექსპედიციის უფროსმა აბეგ საპასუხო სიტყვაში აღნიშნა, რომ იაპონელი მფრინავები გაკვირვებული არიან ასეთი მეგობრული შეხვედრით

საბჭოთა კავშირის მშრომელთა სტუმრები

უცხოეთ მასწავლებელთა და ინგლისის კოოპერატიულ პროფორგანიზაციების დელეგატები

ლენინგრადი, 16 აგვ. 14 აგვისტოს უცხოეთის მასწავლებელთა და ინგლისის კოოპერატიულ პროფორგანიზაციების დელეგატები დაესწრენ ლენინგრადის საგუბერნიო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომას.

ამხ. მოისეევის სიტყვა

სხდომის გახსნის წინ საგუბერნიო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მოისეევმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა დელეგატებს და აღნიშნა, რომ მუშებს რევიზია არ სჭირდებათ.

ჩვენში მყოფნი ყველა დელეგაციები აღიარებენ, რომ ჩვენი რევოლუციის მთავარი საქმე გაკეთებულია, შემჩნეული ნაკლი და შეცდომები—ეს მხოლოდ წვრილმანია, რაც მუშაობის პროცესში გამოსწორდება“.

„როცა ჩვენც გვეყოლება წითელი არმია“...

ინგლისის კოოპერატიულ დელეგაციის წევრმა აირესმა განაცხადა, რომ ის ლაპარაკობს არა როგორც პროფკავშირთა მოხელე, არამედ როგორც მუშა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში დგას რევოლუციონურ ფრონტზე. ის ესალმება ლენინგრადელებს ლონდონის და მანჩესტერის პროფორგანიზაციების სახელით.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა დელეგატებზე წითელი არმიის მისალმებამ.

„ჩვენ მოვახერხებთ ვუპასუხოთ ამ მისალმებაზე, ამბობს აირესი, როდესაც ჩვენც გვეყოლება წითელი არმია, ჩვენ, რასაკვირველია არ გვწამს, რომ თითქოს მუშების განთავისუფლება შეიძლება განხორციელებულ იქნას პარლამენტარულ გზით, იგი მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ, მუშები, ხელში ავიღებთ თოფებს და ავაფრიალებთ წითელ დროშას. თუმცა ჩვენი პროფკავშირები თქვენსაზე უფრო ძველია, მაგრამ ისინი ჩამორჩენილი და კონსერვატიული არიან. მოდის ახალი თაობა, ახალგაზრდობის კომკავშირი, რომელიც გამოაცოცხლებს ჩვენს ორგანიზაციებს და განახორციელებს თქვენს მეთოდებს“.

ვარდენბაველის სიტყვა

მასწავლებელთა დელეგაციის სახელით თავმჯდომარე ვარდენბაველი მადლობას უხდის ლენინგრადელებს მიღებისათვის. ის ამბობს, რომ ლენინგრადში ყოფნამ განამტკიცა დელეგატებში რწმენა, რომ პროფკავშირების ერთადერთ მიზანს უნდა წარმოადგენდეს ბრძოლა ერთიან მუშათა ფრონტისათვის და პროფმოძრაობის მთლიანობისათვის, რომლის სასარგებლოდ ისინი ენერგიულად იბრძოლებენ თავიანთ ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ. ისინი მოუთხრობენ ყველა ბავშვებს, თუ როგორ ზრუნავენ საბჭოთა კავშირში მუშათა ბავშვებზე.

სიმართლე არ დაიმალება

დელეგაციის მეორე წევრი ტერნერი ამბობს: „ბურჟუაზიას ამ ჟამად ორი ამოცანა აქვს—დაუკარგოს მუშებს ხალისი რევოლუციისადმი და მოემზადოს შეიარაღებულ ინტერვენციისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ევროპის პროლეტარიატი, რომელიც თანდათან იგებს სიმართლეს საბჭოთა კავშირის შესახებ, დაამსხვრევს ბურჟუაზიის ყველა ზრახვებს—მომავალი საბჭოთა კავშირს ეკუთვნის, სადაც ასე ზრუნავენ მოზარდ თაობაზე. მაშ, ვიბრძოლოთ საბჭოთა კავშირის ახალი ცხოვრების და კულტურის ამ სამკვიდროს შეურყევლობისათვის“. ორატორის სიტყვებს ფარავს „ინტერნაციონალის“ ხმები.

პრეზიდიუმის სხდომის შემდეგ დელეგატები გაემგზავრენ წარმოებათა და დაწესებულებათა დასათვალიერებლათ.

გერმანიის მუშათა დელეგაცია

ნიჟნი-ნოვგოროდი, 16 აგვისტო. 14 აგვისტოს გერმანიის მუშათა დელეგაციამ, რომელიც ნიჟნი-ნოვგოროდში იმყოფება, ინახულა ბაზრობა და დაათვალიერა ყველა ცენტრალური ადგილები და წარმოებანი. მალიშევმა გააცნო დელეგაციას ბაზრობის ისტორია და ხასიათი.

დელეგატები განსაკუთრებით დაკმაყოფილებული იყვენ „სახელმწიფო ვაჭრობის“ გამოფენით, სადაც გაიცნეს ჩვენი ექსპორტი და იმპორტი.

დელეგაციები მოსკოვში

მუშათა საერთაშორ. [illegible] ინგლის-საფრანგეთის დელეგაცია

მოსკოვი, 16 აგვისტო. 15 აგვისტოს ლენინგრადიდან ჩამოვიდა მ. ს. დ. ინგლის-საფრანგეთის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ვენილდი. დელეგაციას სადგურზე შეეგებენ მ. ს. დახმარების, „ცენტროსოიუზის“, პროფკავშირის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელნი. სადგურის მოედანზე გაიმართა მიტინგი როგორც დელეგაციის, ისე ამავე მატარებლით მოსულ საფრანგეთ-ბელგიის მასწავლებლების პატივსაცემათ.

მიტინგის შემდეგ დელეგაცია გაემგზავრა მოსკოვის დიდ სასტუმროში.

მასწავლებელთა დელეგაცია

მოსკოვი, 16 აგვ. მოსკოვში ჩამოვიდა საფრანგეთის, გერმანიის და ბელგიის მასწავლებელთა დელეგაცია.

დელეგაციას შეეგებენ მოსკოვის ყველა რაიონების განათლების მუშაკნი. დილიდანვე სადგურთან შეიკრიბენ სასწავლებლების, მუშფაკების, სახ. განათ. კომისარიატის დელეგაციები, დიდძალი მოსწავლეები და პიონერები, რომელთაც დროშებთან ერთად მოეტანათ მრავალი პლაკატები სხვადასხვა ენაზე წარწერილობით. საერთო ლოზუნგი იყო მთელი ქვეყნის განათლების მუშაკთა ერთიანი ფრონტის შექმნა.

დელეგაციას მიესალმა განათლების მუშაკთა კავშირის ცეკას პრეზიდიუმის წევრი ამხ. კოლეჩკო და მასწავლებელთა წარმომადგენელნი.

დელეგაციის სახელით საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა თავმჯდომარე ვანდენხეველმა.

დელეგატებმა დიდი კმაყოფილება გამოსთქვეს საბჭოთა კავშირის მშრომელთა მშვიდობიანი შრომის მოყვარეობით, ფიზკულტურულების საუცხოო შეხედულობით და გულითადი მიღებით რუს ამხანაგების მიერ.

დელეგაციის თავმჯდომარე ვანდენხეველმა დიდი აღტაცება გამოსთქვა საბ. სკოლების შესახებ, რომელიც ზრდის და აწვრთნის ახალ ცხოვრების აღმშენებელთ. „ჩვენ ლენინგრადში გავეცანით აღზრდა-განათლების საქმეს—ამბობს ვანდენხეველი—და დავრწმუნდით, რომ გაზეთები განსაცვიფრებლათ სტყუიან საბჭოთა კავშირის შესახებ; როცა დავბრუნდებით ჩვენ ქვეყანაში, უეჭველათ გავფანტავთ ამ ჭორებს. რაც ჩვენ აქ ვნახეთ, ის არსებითად ეწინააღმდეგება ჩვენში გავრცელებულ ჭორებსო“.

საკავშირო სამეცნიერო აკადემიის 200 წ. თავი

ამერიკელი პროფესორი აკადემიის შესახებ

მოსკოვი. 17 აგვისტო. ცნობილმა გამომგონებელმა, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა მიქაელ პეპინმა, სამეცნიერო ცოდნათა გავრცელების წამხალისებელ ამერიკულ ასოციაციის და ამერიკის ელექტრონულ ინსტიტუტის თავმჯდომარემ, საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში გამოსთქვა თავისი გაკვირვება სამეცნიერო აკადემიის მიღწევების გამო.

პეპინმა განაცხადა, რომ მთელი ქვეყნის მეცნიერნი დაინტერესებული არიან სამეცნიერო აკადემიის მიღწევებით. კულტურის მაღალი იდეალები, რომელთა სადარაჯოზე მუდმივ იდგა სამეცნიერო აკადემია, წარმოადგენენ თავდებს იმისას, რომ საბჭოთა კავშირის ხალხებს მუდამ ექნებათ საპატიო ადგილი მთელი ქვეყნის დაწინაურებულ ხალხთ შორის.

სიმინდის მოსავალი საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 16 აგვისტო. მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირში სიმინდით დათესილია 2,259,000 დესეტინა. აქ არ შედის უზბეკისტანი, თურქესტანი და ამიერ-კავკასია. შარშან დათესილი იყო მხოლოთ 1.457.000 დეს. მოსავალი კარგია, რომლის რაოდენობაც ნავარაუდევია 230.000.000 ფუთი.

ამ კარგ მოსავალთან დაკავშირებით მიწ.-სახ. კომისარიატი ზომებს იღებს სიმინდის საზღ. გარეთ გასატანათ და აგრეთვე ტეხნიკურათ გამოყენებისათვის თვით საბჭოთა კავშირში, „პურის ექსპორტი“ ამზადებს ორ ახალ სიმინდის საშრობს ოდესაში და ნოვოროსიისკში. ეწყობა აგრეთვე სიმინდის ახალი საწყობები. განზრახულია საბჭოთა კავშირში სიმინდი გამოყენებულ იყვეს სპირტის სახდელ და კრახმალის ქარხნებში.

ამავე დროს მიწ.-მოქ. კომისარიატი ზომებს იღებს, რომ სიმინდის მოსავლის რაიონებს მიაწოდოს სპეციალური ინვენტარი და აგრეთვე შერჩეული თესლი. აგრონომები კი გლეხთა შორის ეწევიან კამპანიას სიმინდის კარგათ შენახვისა და მის საქონლის საკვებათ გამოყენების შესახებ.

კონცესიები

მოსკოვი. 14 აგვ. მთავარმა საკონცესიო კომიტეტმა დაადგინა საბჭოთა კავშირში ვაჭრობის უფლება მისცეს ამერიკის ცნობილ ფირმას „სამკალი მანქანების საერთაშორისო კომპანია“-ს.

მოსკოვი. 14 აგვ. მთავარ საკონცესიო კომიტეტში შესდგა რუსეთის და იაპონიის დელეგაციების პირველი შეერთებული სხდომა, რომელზედაც გარჩეული იქნა საკითხი სახალინის ნავთის და ნახშირის კონცესიების შესახებ.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა იოფემ და იაპონიის დელეგაციის თავმჯდომარემ ნაკასატომ მისასალმებელ სიტყვაში ხაზი გაუსვეს კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის.

სხვა და სხვა ამბები

— **ამხ. მორენის ავადმყოფობა.** მძიმეთ ავად არის ესპანელი კომუნისტი მორენი, რომელიც 7 თვეა მონხუელის (ესპანეთი) სამხედრო ციხეში იმყოფება. ექიმები ეჭვობენ, რომ ის გადარჩეს.

— **ლატვიის თათბირი.** ესტონეთის გარეშე საქმეთა მინისტრს პუსტას რიგაში თათბირი ჰქონდა ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრ მეიეროვიცთან რეველის კონფერენციის შესახებ. მინისტრებმა გადასწყვიტეს ყოველთვიურად შეხვდენ ერთმანეთს პოლიტიკურ საკითხებზე სათათბიროთ.

— **გაფიცვა ფინეთში.** ჰელსინგფორსში დაიწყო ტრამვაელთა გაფიცვა, რადგან მწარმოებლებმა არ დააკმაყოფილეს მუშების მოთხოვნილება ხელფასის გადიდების შესახებ.

— **რადიო მიმღები აპარატები მატარებლებში.** რკინისგზის ხაზზე ჰამბურგ-ბერლინს შორის მატარებლებში დადგმულია რადიო-მიმღები აპარატები.

— **სტამბოლელ ჟურნალისტების პროცესი.** 14 აგვისტოს დაიწყო სტამბოლელ ჟურნალისტების გასამართლება. მათ ბრალათ ედებათ რესპუბლიკანური წესწყობილების წინააღმდეგ გალაშქრება. პროკურორი მოითხოვს რეაქციონური გაზეთის „ვატან“-ის დაპატიმრებას.

— **კანადა და გერმანია.** გერმანიის კონსულმა კანადაში მოსთხოვა კანადის მთავრობას ომის დროს რეკვიზიციაქმნილ ქონების დაბრუნება გერმანიისათვის.

— **საქალაქო არჩევნები ნიუ-იორკში.** ამერიკის მუშათა პარტიამ წამოაყენა კანდიდატების სრული სია მომავალი საქალაქო არჩევნებისათვის ნიუ-იორკში. პარტიის წევრს გიტლოუს ასახელებენ ნიუ-იორკის ქალაქის თავად.

— **გაზ. „ატინაკი“-ს დახურვა.** საბერძნეთის მთავრობის დადგენილებით დახურეს გაზეთი „ატინაკი“. გაზეთის რედაქტორი ელპიდისი, მიწადმოქმედების მინისტრის ამხანაგი წინანდელ მთავრობაში, პასუხისგებაში მიცემული.

— **ალბანეთი და საბერძნეთი.** ალბანეთ-საბერძნეთის საზღვარი, რომელიც აქამდე დახურული იყო, გახსნილია.

— **ვაშინგტონის კონფერენციის დადგენილების დამტკიცება.** ამერიკის ელჩმა მაკმურეიმ ოფიციალურად აცნობა ჩინეთის მთავრობას, რომ ყველა დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა დაამტკიცეს 1921 წელს მოწვეულ ვაშინგტონის კონფერენციის დადგენილებანი.

— **სამი პოლონელ კომუნისტის პროცესი.** ოფიციალურ წყაროებიდან მიღებულ ცნობებით, პრესაში გავრცელებული ცნობა გიბნერის, კნიევსკის და რუტკოვსკის პროცესის გადადების შესახებ—არ შეეფერება სიმართლეს. საქმე გაირჩევა საველე სასამართლოში 19 აგვისტოს.

— **იაპონიის კომპარტიის ორგანიზატორთა პროცესი.** მრავალ ხალხის თანადასწრებით მიმდინარეობდა პროცესი გაკუ სანოსი, ტოკიოს უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორის, პასედისა და კიდევ სამი კაცისა, რომელთაც ბრალდებათ იაპონიაში კომუნისტური პარტიის მოწყობა.

გაკუ სანოს მიმართ პროკურორი მოითხოვდა საკატორღო ციხეში ერთი წლით დაპატიმრებას.

განაჩენი გამოქვეყნდება 20 აგვისტოს.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი

თხილის დამზადება.

სოხუმი, 16 აგვისტო. აფხაზეთის კოოპ. კავშირმა დაამზადა 40.000 ფუთი თხილი მოსკოვში და ურალში გადასაგზავნით.

საკონსერვო ფაბრიკა.

სოხუმი, 1 აგვისტო. აფხაზეთის კოოპ. კავშირმა სოხუმში აამუშავა საკონსერვო ფაბრიკა ხილის კონსერვების დასამზადებლათ.

უმუშევართა რაოდენობა.

სოხუმი, 16 აგვისტო. შრომის ბირჟის უკანასკნელ ცნობების მიხედვით, სოხუმში 633 უმუშევარია, ამათგან 432 კავშირის წევრებია. მოწყობილია 7 კოლექტივი, სადაც მუშაობს 51 კაცი.

აჭარა

სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები

ბათომი, 16 აგვ. უკანასკნელ დროს ცენტ. გლეხკომის მიერ აჭარისტანის მაზრებში მოწყობილია 13 სას.-სამეურნეო კოლექტივი, რომელიც აერთებს 500-დე გლეხს.

ნაოსნობა შავ-ზღვაზე

ბათომი, 16 აგვ. მახლობელ დროში საბჭოთა სავაჭ. ფლოტთან შეთანხმებით ფრანგული სანაოს. საზ. „პაკე“ აწყობს მიმოსვლის შემდეგ ხაზზე: მარსელი—ანატოლიის ნავთსადგურები—ბათომი. ბათომი-ფოთი—ნოვოროსსისკი-ფეოდოსია.

გვამი კალათში.

ბათომი. 16 აგვისტო. ზღვის პირას ქალაქის რაიონში 11 აგვისტოს ტალღებმა გადმოაგდეს პატარა კალათი, რომელშიაც აღმოჩნდა მამაკაცის გვამი დაჭრილი რამდენიმე ადგილას, როგორც სჩანს ნაჯახით. იმავე დღეს სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ვინმე ბერეგოვსკი, რომელიც გამოტყდა, რომ მან და მისმა ამხანაგმა მოჰკლეს მეჩექმე ზიხინი, რომელთანაც ისინი სახურობდნენ. მკვლელები შეპყრობილი იქნენ.

დახმარება კოოპერაციას

ბათომი. 16 აგვისტო. აჭარის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გრძელვადიანი სესხი (50.000 მანეთი) მისცა ხულოს მაზრის საკრედიტო-კოოპერატიულ ამხანაგობას მეთამბაქოობის განსავითარებლად.

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტები.

ბათომი. 16 აგვისტო. მომავალ სამოსწავლო წელს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტების რაოდენობა გადიდებული იქნება 150-დე. გარდა ამისა გახსნილი იქნება მაღალი საფეხურის 7 სკოლა და წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო 7 სკოლა.

ქუთაისი

ყოფილ მენშევიკებისა და უპარტიოთა კრება.

მუშათა კომისიამ ჩაატარა ხონში და მის რაიონებში 8 აგვისტოდან 11-დე ყოფილ მენშევიკების და უპარტიოთა საზოგადო კრებები.

კრებები დიდის ხალისით ჩატარდა. გამოითქვა ერთსულოვანი ლტოლვა საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე დადგომისა და სრული თანამშრომლობისა.

ხონი

ელექტროფიკაცია.

სექტემბერში ხონში დამთავრდება მუშაობა ელექტრონის განათების მოსაწყობათ. ამავე დროისთვის დამთავრდება კინო-თეატრისათვის შენობის აგება.

თელავის მაზრა

დეზინტერიის ეპიდემია.

თელავი, 16 აგვისტო. სოფელ შილდაში ენისელის რაიონში მძვინვარებს დეზინტერიის ეპიდემია.

სოფელ ენისელში საექიმო პუნქტი, საავადმყოფო და აფთიაქი განიცდიან წყლის ნაკლებობას.

რაიონული სამდივნოები.

თელავი, 16 აგვისტო. სამაზრო პროფბიურომ დაათვალიერა რაიონები და დაადგინა დაარსოს რაიონული სამდივნოები წინანდალის და ნაფარეულის რაიონებში. სათანადო ხარჯთ-აღრიცხვა წარდგენილია პროფკავშირთა საბჭოში.

გლეხკომების პლენუმი.

თელავი, 16 აგვისტო. 9 აგვისტოს გაიმართა გლეხკომების პლენუმის სხდომა. ადგილების წარმომადგენელთა მოხსენებებიდან გამოირკვა გლეხკომების სუსტი მოქმედება. შემუშავებული იქნა მომავალი მუშაობის გეგმა.

ზელადონას დამზადება.

თელავი, 16 აგვისტო. სახელმწიფო უნივერსიტეტი სამაზრო გლეხკომების საშუალებით შეუდგა სამკურნალო ბალახების, უმთავრესათ, ზელადონას დამზადებას.

ერთი მილიარდი ფუთი ნავთის პროდუქტი

ბაქო, 17 აგვისტო. აზერბეიჯანის გამაბჭოებიდან საბჭოთა კავშირში ერთ მილიარდ ფუთ ნავთის პროდუქტების გატანის გამო შესდგა კასპიის ზღვის წყალზე მომუშავეთა საზეიმო სხდომა.

მისასალმებელ სიტყვაში აზერბეიჯანის პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იზმაილოვმა აღნიშნა მუშაობის მძიმე პირობები და ის უდიდესი ენერგია, რომელიც საჭირო იყო დავალების შესასრულებლათ. ეხლა მუშაობა ნორმალურ პირობებში მიმდინარეობს, მთავარი დაბრკოლებები გადალახულია.

ამხ. ამხ. ფ. მახარაძე და შ. ელიავა ახალქალაქის მაზრაში

ახალქალაქი, 17 აგვ. 14 აგვისტოს საღამოს ახალქალაქში ჩავიდა საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე, რომელსაც სადგურზე შეხვდენ ქალაქის ყველა მცხოვრებნი.

ამხ. მახარაძე მიესალმა მაზრის მშრომელ გლეხობას და მუშებს და აღნიშნა, რომ მისი მოგზაურობის მიზანია გაეცნოს ახალქალაქის სოფლის მდგომარეობას.

[illegible] მახარაძეს, როგორც საპატიო [illegible] ქალაქის [illegible] და გაჰყვენ მის ავტომობილს ცხენებით.

მეორე დღეს ამხ. მახარაძე რამდენიმე პასუხისმგებელ მუშაკის თანხლებით გაემგზავრა მუსლიმანთა სოფლების მდგომარეობის გასაცნობად.

ამხ. ელიავას სიტყვა მიტინგზე

ახალქალაქი, 16 აგვ. 15 აგვისტოს დღის 1 საათზე ახალქალაქში ჩავიდა საქართველოს სახკომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. შალვა ელიავა.

გამართულ მიტინგზე ელიავა საქ. სახკომსაბჭოს სახელით ქართულ და რუსულ ენაზე მიესალმა წითელი ჯავახეთის მცხოვრებლებს.

ამხ. ელიავამ ხაზი გაუსვა, რომ მეფის მთავრობა სრულიად არ ზრუნავდა მაზრის მცხოვრებთა ინტერესებზე და განაცხადა: საბჭოთა ხელისუფლება სულ 4 წელიწადია რაც არსებობს საქართველოში. ეს არის ჯერ ბავშვი, რომელიც ეხლა იწყებს სიარულს, დიდია ჩვენს წინაშე დასმული ამოცანები ეკონომიურ აღორძინების და კულტურულ განვითარების საქმეში, ვინაიდან ასეთ მძიმე წინანდელ წესწყობილებიდან მიღებული ნგრევის შედეგები. არ დავფარავ, რომ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას არ შეეძლო სათანადო ყურადღება მიექცია ახალქალაქის მაზრის საჭიროებისათვის. ყოველ საქმეს თავისი რიგი აქვს ცენტრში. საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ ჩვენ ეხლა გვაქვს საშუალება უდიდესი ყურადღება მივაქციოთ შორეულ მაზრებს. მე დარწმუნებული ვარ ცენტრიდან გამოგზავნილი ამხანაგები არ დაზოგავენ თავიანთ ენერგიას დაკისრებულ სამუშაოს შესასრულებლათ მაზრის სასარგებლოთ, თქვენი მაზრის ეკონომიურ აღორძინების და კულტურულ განვითარების ამოცანას ჩვენ შევასრულებთ მაგრამ ამისთვის საჭიროა თვით ახალქალაქის მაზრის მშრომელთა ძალების დაჭიმვა.

„მიწის საკითხს—განაგრძო ამხ. ელიავამ—წყლით სარგებლობას, საძოვრების და ტყის საკითხებს თქვენი მაზრისათვის აქვს უდიდესი მნიშვნელობა და პირველ რიგში მას მივაქცევთ ჩვენ მთელ ყურადღებას.

ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას აგრეთვე შემოსავლის ახალ წყაროების შექმნას მაზრის მცხოვრებთათვის და ამ მიზნით გადავსდებთ საჭირო თანხებს. არანაკლები მნიშვნელობა აქვს მაზრისათვის განათლების საკითხს.

ბოლოს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნულ ურთიერთ დამოკიდებულების საკითხს. ახალქალაქის მაზრა პატარაა, მაგრამ იგი მრავალი ერებითაა დასახლებული. აქ ცხოვრობენ ხალხები, რომლებიც არა მარტო განსხვავდებიან ეროვნულად, არამედ ისეთებიც, რომელნიც ერთნი არიან ეროვნულად, მაგრამ სხვადასხვა სარწმუნოების მხრივ. როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ხელისუფლების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რათა ახალქალაქის მაზრის მცხოვრებნი არ გრძნობდენ არავითარ განსხვავებას ეროვნებათა შორის“.

„მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული განვითარება—დაასრულა ამხ. ელიავამ—დაუმტკიცებს მთელ ქვეყანას და ყველა თქვენ მახლობელ მეზობლებს—ოსმალებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც უზრუნველჰყოფს მშრომელთა ინტერესებს“.

ამხ. ელიავას სიტყვა გადათარგმნილი იქნა სომხურ და თათრულ ენაზე. მიტინგის დამთავრების შემდეგ ამხ. ელიავამ ინახულა აღმასკომი, საავადმყოფო, ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოება და სხვა დაწესებულებანი და ორგანიზაციები ახალქალაქში.

ამ.-კავკ. გლეხკომების გამოკვლევა

(ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა მოახდინა ამიერ-კავკასიის გლეხკომების მუშაობის გამოკვლევა. ინსპექციის მასალებიდან ირკვევა შემდეგი:

საქართველო

გლეხკომების მოწყობა დაიწყო 1923 წლის 15 ივლისიდან. ამჟამად გლეხკომები მუშაობენ მთელ საქართველოში, გარდა ზემო-სვანეთისა. სულ მოწყობილია 1890 გლეხკომი.

გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტების მუშაობა ყოველგან ერთნაირად არ მიმდინარეობს. ყველაზე უფრო აქტიური მუშაობა შემჩნეულია გორის, ოზურგეთის, შორაპნის და ახალციხის მაზრებში. გლეხკომებს აქვთ 300 მეტი წვრილი წარმოება (სასადილო, წისქვილი, ტყავის და ქოთნების ქარხნები და სხვა).

გლეხკომების საურთიერთო დახმარება გამოიხატება ქვრივ-ობლების და ინვალიდების მიწების მოხვნაში, არხების გაყვანაში, ღარიბ გლეხთა დახმარებაში და სხვა.

გლეხკომებში ბევრია მოუმზადებელი ხალხი. სოფლის ინტელიგენცია და ქალები სუსტათ არიან ჩაბმული გლეხკომების მუშაობაში. ანგარიშწარმოება დამაკმაყოფილებლათ ვერ არის დაყენებული. გლეხკომებს სუსტი კავშირი აქვთ მოსახლეობასთან.

დამოკიდებულება აღმასკომებთან არანორმალურია. შრომით დახმარება სუსტათ არის განვითარებული, იურიდიული დახმარება სულ არ არის.

გლეხკომების სავაჭრო მოღვაწეობამ არა ჯანსაღი ფორმები მიიღო. ზოგიერთ გლეხკომებში ადგილი ჰქონდა ბოროტმოქმედებას.

აზერბეიჯანი

გლეხკომებს მთელი თავისი არსებობის განმავლობაში არ ჰქონიათ არც ერთი ყრილობა. სოფლის ინტელიგენცია სუსტათ არის ჩაბმული გლეხკომების მუშაობაში. ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის მოსახლეობის იძულებით დაბეგვრის სისტემა.

ზოგიერთ გლეხკომებში ადგილი ჰქონდა ფონდების არა მიზანშეწონილათ ხარჯვას.

სომხეთი

ზოგიერთა ადგილებში არა თუ მოსახლეობას, არამედ გლეხკომებსაც არა აქვთ შეგნებული გლეხთა კომიტეტების ამოცანები. სოფლის ინტელიგენცია და ქალები ჩაბმული არ არიან მუშაობაში.

შრომით დახმარება ტარდება ყოველგვარი გეგმისა და აღრიცხვის გარეშე.

საქმის წარმოება და ანგარიშების შედგენა არ არის დამაკმაყოფილებელი; გლეხკომებს არა აქვთ მუშაობის ერთიანი სისტემა. მრავალი გლეხკომი სუსტათ არიან დაკავშირებული მოსახლეობასთან.

პატარა ფელეტონი

გულს გასული „ჩიორა“

(საგულისხმოთ)

გზაზედ, სადაც რომ ეყარა ნეხვი,
რადგან გზა ესე იყო სხეტლე,
იქექებოდა საწყლად „ჩიორა“,
ჩიორა ჯღარკი, პაწია და მჭლე.

დილრონ ბაჩებსა და დროგის ცხენებს
მიმოსვლა ჰქონდათ აქ ძლიერ ხშირი
და „ჩიორასაც“ სხვა რა უნდოდა?
სულ ნეხვში ჰქონდა გასვრილი ცხვირი!..

ცხვირი რა ცხვირი, იყო ნისკარტი,
ყველა ნისკარტში გამორჩეული,
და ნეხვის ქექას, ფრჩხილებთან ერთად,
შეთვისებული და შეჩვეული.

და ერთ დღეს... ჰოი, გზისა გადაღმა
ნახა „ჩიორამ“ გლეხი ყანაში..
ლომს რომ სთესდა და მიწას სჩიჩქნიდა,
ეს ჩიტს ეგონა—იყო თამაში!..

აფრინდა გზიდან შეჯდა ღობეზე,
მიუსვ-მოუსვა ნისკარტი ღობეს,
და შემდეგ... შემდეგ, როგორც წესია,
ორიოდ სიტყვაც ჰკადრა მეზობელს:
„გლეხს გამარჯობა“!..
— მადლი „ჩიორას“!...

— „რას „იჩხრიკები“ ე მანდ, ბიძია?
დაჰკარგე რამე, თუ ისე ეძებ:
რას გამოელი, რა მიგიცია?!.“

გლეხს გაუკვირდა: როგორ? „ჩიორა“,
ვისაც სულ საქმე ნეხვთან ჰქონია,
რომ მე, გლეხს, ყანის პატრონს და მუშას,
მასხრად მიგდებდეს, მოსაწონია?!

ან ეს დრო ისე გაუკულმართდა
რომ სხვად ესახვის ბეცებს და მრუდებს,
ან და, „ჩიორებს“ დრო უმარჯვნიათ,
რომ ნიშნის გებით გვიქნევენ კუდებს!..

სთქვა ეს გლეხმა და დასწვდა მიწასა:
ქვა მოუმარჯვა ჩიტს, ენა-წვიას,
მაგრამ „ჩიორა“ ისევ ნეხვისკენ
გაუჩინარდა, ემსგავსა ტყვიას!..

ონისიმე.

პარტიული ცხოვრება

ახალგაზრდობის 11-ე საერთაშორისო დღის ჩატარების გეგმა

1. ქალაქად

1. ახალგაზრდათა მე-11 საერთაშორისო დღის ჩასატარებლად საქალაქო, საოლქო და სამაზრო ცენტრებში შესდგეს კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ალ. კ. კ. კომიტეტის მდივანი—თავმჯდომარე, კოლეგიის განყოფ. გამგე, წარმომადგენლები პარტკომიდან, ქალთა განყოფილებიდან, პროფბიუროებიდან, ჯარის ნაწილებიდან, პიონერთა ბიუროებიდან.

2. კომისია თავისი მაზრის ან ოლქის პირობებთან შეფარდებით იმუშავებს დღესასწაულის ჩატარების დაწვრილებითი გეგმას.

3. მოსამზადებელი კამპანია დაწყებული იქნეს 25 აგვისტოდან.

4. კომკავშირის კლუბებში და მუშათა კლუბის ახალგაზრდათა სექციები ამთავითვე იწყებენ შესაფერ მზადებას დღესასწაულისათვის. (ახ. მოძრაობის შემსწავლელი წრეები აღრმავებენ მუშაობას, ემზადებიან საღამო-წარმოდგენებისათვის, ამუშავებენ შესაფერ პროგრამას. ამზადებენ პლაკატებს, ლოზუნგებს და სხვადასხვას).

5. პროფკოლექტივებმა საფუძვლიანად უნდა დაამუშაონ ორი თემა: ა) ახალგაზრდათა საერთაშორისო მოძრაობის ისტორია და ბ) მე-11 საერთაშორისო დღის ამოცანები.

6. უჯრედების სხდომებზე დაისვას საკითხი ახალგაზრდათა მე-11 საერთაშორისო დღის შესახებ, მისი ლოზუნგების გაცნობის და პრაქტიკული ლონისძიებათა გადადგმის მიზნით.

7. პარტიულ კომიტეტებთან შეთანხმებით ერთიან პარტიულ დღეს უჯრედების სხდომებზე დაისვას საკითხი ახალგაზრ. საერთაშორისო დღის მნიშვნელობასა და ამოცანების შესახებ. (დასაშვებია უჯრედების გაერთიანებული კრებების მოწვევა).

8. 5 სექტემბერს საღამოთი წარმოებებში, მუშათა კლუბებში მოწყობილი იქნეს კომკავშირელების, პიონერების, მუშა-მოსამსახურეების და პარტიულების საერთო კრებები, რომელზედაც გაკეთდეს მოხსენება ახალგაზრდათა მე-11 საერთაშორისო დღის შესახებ.

9. თვით 6 სექტემბერს ეწყობა ახალგაზრდობის (კომკავშირელნი, პროფკავშირთა ახალგაზრდა წევრები, პიონერები და მოსწავლე ახალგაზრდობა შეძლების დაგვარად) დემონსტრაცია.

10. დღესასწაულისათვის სიცხოველის მისაცემათ სასურველია იქ, სადაც შესაძლებელი იქნება საღამოთი ჩირაღდნებით სვლა, ქალაქის ილუმინაცია და სხვა.

11. ამ დღეს შეფებმა უნდა გაგზავნონ თავისი წარმომადგენლები სოფლებში, ხოლო სოფლებიდან სასურველია გლეხური ახალგაზრდობიდან დელეგაციის მოწვევა.

12. ფიზკულტურის წრეები აწყობენ უფასო გამოსვლებს და აქტიურ მონაწილეობას იღებენ დღესასწაულის ჩატარებაში.

13. საღამოთი მოეწყოს სპექტაკლები მოკლე სიტყვით (კომკ. კლუბებში, მუშათა კლუბებში და ბაღებში).

2. სოფლად.

14. ახალგაზრდათა მე-11 საერთაშორისო დღის ჩატარებას სოფლად ხელმძღვანელობენ რაიკომები, თემკომები და უჯრედის ბიუროები.

15. თემის პროფკოლექტივის სხდომაზე ირჩევა საკითხი: ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე.

16. ეს მოხსენება გადატანილი უნდა იქნას უჯრედების სხდომებზე, რომლებიც გაარჩევენ მას ლოზუნგების გაცნობის და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმის თვალსაზრისით.

17. უჯრედები ჯამს უკეთებენ წ. კ. უცოდინ. ლიკვიდაციისათვის წარმოებულ მუშაობას და ისახავენ მომავალ ამოცანებს ამ დარგში.

18. ქოხ-სამკითხველოებში იწყებენ ორი კვირით ადრე მზადებას ამ დღისათვის (დრამ-წრეები, მომღერალთა წრეები, ლიტერატურის შეკრება ამ დღის შესახებ და სხვა.).

19. 6 სექტემბერს თემის ცენტრებში ეწყობა თემის მთელი ახალგაზრდობის მასიური კრება, (ესწრებიან მუშები და პიონერები) რომელზედაც კეთდება მოხსენება ახალგაზრდათა საერთაშორისო მოძრაობაზე და მე-11 საერთაშორისო დღეზე.

20. საღამოსთვის ცენტრებში (შესაძლებელია დიდ სოფლებში) მოეწყოს უფასო საღამოები, მოკლე შესავალი სიტყვით დღის მნიშვნელობაზე.

21. გამართულ უნდა იქნას ფართე გასართობები (სიმღერა, ბურთაობა, ფიზიკური ვარჯიშობა.).

⁂

22. მასიურ კრებებზე სასურველია გამოვიდენ მოსწავლეები, უპარტიო ახალგაზრდები, უპარტიო გლეხები და პიონერები.

23. კომკავშირის და საბჭოთა და პარტიულ პრესაში დაწყებული იქნება კამპანია ახალგაზრდობის მე-11 საერთაშორისო დღის ლოზუნგების გარშემო.

24. ამ დღისათვის ადგილებზე საჭიროა კედლის გაზეთის მოსამზადებლად სპეციალური ნომრის გამოშვება.

25. 6 სექტემბერს მოეწყოს პიონერთა საზეიმო გადარიცხვა კომკავშირში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ქალიშვილთა და მოჯამაგირეთა მიღებას კომკავშირში.

ამ. ა. ლ. კ. კ. ც. კ. მდივანის მაგიერ **გიურქოვი.**

ს. ა. ლ. კ. კ. ცეკა პოლიტგანის განყოფილების გამგის მაგიერ **ძიგრაშვილი.**

თვით განვითარების საკითხი კომკავშირში

კომკავშირი დღეს როგორც თვისობრივად ისე რიცხვობრივად იმყოფება სწრაფი ზრდის პერიოდში.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით ახალი ეკონომიური პოლიტიკის ხანაში.

ნეპის უარყოფით ზეგავლენას, ნეპის სტიქიას კომკავშირი უნდა შეხვდეს მომზადებულად.

ეს მომზადება კი იმაში მდგომარეობს, რომ კომკავშირის ორგანიზაციის აქტივისტს უნდა შეეძლოს თანამედროვე საზოგადოებრივი მოვლენების თეორიული ხასიათის იქნება ის, თუ პრაქტიკული, მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით გაშუქება.

თვით ლენინი ამბობდა „რევოლიუციონური თეორიის გარეშე, არ არის რევოლიუციონური პრაქტიკა“-ო: კომკავშირი, რომლის წინაშე დგას ახალი კომუნისტური საზოგადოების შექმნის ამოცანა, აღჭურვილი უნდა იყოს მარქსისტულ-რევოლიუციონური თეორიით.

მაგრამ, როგორც ვიცით, თეორიულ საკითხებში კომკავშირი მოისუსტებს, რადგანაც დღემდე ის ჩაფლული იყო პრაქტიკულ ამოცანებში და შესაფერი დრო და მოცლა თვითგანვითარებისათვის არც კი მოეპოვებოდა. დღეს კი კომკავშირის აქტივი არ უნდა დაკმაყოფილდეს ყოველდღიური საგაზეთო ფურცლებით და ბროშიურებით; ზერელე საგატაციო ცოდნის სამაგიეროთ მან ხელი უნდა მოკიდოს სქელტანიან სერიოზულ მარქსისტულ ლიტერატურას უფრო ღრმა ცოდნის მისაღებად.

ცხადია, მხოლოდ პოლიტ-წრეებში კომკავშირელი ასეთ ცოდნას ვერ მიიღებს, ამიტომ მან სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს თვითგანვითარებას, საშინაო მომზადებას.

ხოლო რა არის საჭირო პრაქტიკულად თვითგანვითარებისათვის ხელის შეწყობისათვის?

უპირველესად ყოვლისა აქ დგება აქტივის განტვირთვის საკითხი ზედმეტი სამუშაოსაგან. ჩვენი აქტივი იმდენად დატვირთულია სხვადასხვა სამუშაოებით, რომ მას დრო არ რჩება სისტემატიურად ხელი მოკიდოს თვითგანვითარებას. იმისათვის, რომ კომკავშირის აქტივმა მომავალში შეინარჩუნოს, როგორც ფიზიკური, ისე გონებრივის მხრივ ნორმალური მდგომარეობა, საჭიროა, რომ ის განიტვირთოს ზედმეტი სამუშაოსაგან, რომელიც ასე უარყოფითად მოქმედობს ახალი თაობის ორგანიზმზე.

მეორეს მხრივ აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს მარქსისტული ლიტერატურის გავრცელების საქმეს კომკავშირში. ლიტერატურის გარეშე კომკავშირის აქტივის მომზადება შეუძლებელია. ამ მხრივ ქალაქის კომკავშირელისათვის უფრო ადვილი ხელმისაწვდომია მარქსისტული ლიტერატურა, ვინემ სოფლად კომკავშირის ორგანიზაცია სოფლად მარქსისტული პოპულიარული ლიტერატურით თითქმის შიმშილს განიცდის. კომკავშირის ხელმძღვანელმა ორგანოებმა უნდა იკისრონ ამ საქმის მოგვარება.

ამასთანავე ერთად კომკავშირელმა ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ თვითგანვითარების სფეროში (წიგნების წაკითხვა თემების და მოხსენებების დამუშავება სხვადასხვა საკითხზე) მუშაობას არამც და არამც ერთდროული ხასიათი არ უნდა მიეცეს. აქტივისტი ცოდნის შეძენას უნდა ცდილობდეს ხანგრძლივი და სისტემატიური მუშაობით. დრო, რომელიც მის განკარგულებაში იმყოფება მიზანშეწონილად უნდა იქნას გამოყენებული.

„კომუნისტმა უნდა გაამდიდროს თავისი გონება ცოდნის იმ სიმდიდრით, რომელიც გამოიმუშავა კაცობრიობამ“, ამბობს ლენინი. სწორედ ასეთი ცოდნით აღჭურვილი კომკავშირელი შეიძლება გახდეს კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელი.

ქ. წალენჯიხელი.

სოფლის კომუნისტების მოვალეობა

სოფლად მუშაობის გაცხოველების, კერძოდ კი მასზედ ხელმძღვანელობის შესახებ, მე-14-ე პარტკონფერენციის შედეგებზე მოხსენების გაკეთების დროს ამხ. სტალინმა აღნიშნა, რომ „ჩვენ ეხლა გვჭირდება არა მაქსიმალური იძულება, არამედ მაქსიმალური მოქნილობა, როგორც პოლიტიკაში, ისე ორგანიზაციაში... კომუნისტებმა სოფლად ადმინისტრატიული მმართვა გამგეობის მახინჯ ფორმებზე უარი უნდა სთქვან. არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ მარტო განკარგულებებით გლეხობის მიმართ. საჭიროა შევეჩვიოთ გლეხების თანდათანობით აღზრდას, ამისათვის არ უნდა დავზოგოთ არც დრო და არც ძალღონე“.

ამას გარდა გლეხობაზე სწორ ხელმძღვანელობის გასაწევათ პარტიამ საჭიროდ მიიჩნია, რომ სოფლის კომუნისტებმა კარგად იცოდენ ისიც, თუ როგორ შეიძლება გლეხების მეურნეობის პირობების გაუმჯობესება, გლეხობისათვის სასარგებლო რჩევა-დარიგების მიცემა.

გლეხობას უნდა გაეწიოს დახმარება; აუცილებელია საბჭოების მუშაობის გაცხოველება, უპარტიოთა აქტივის შემოკრება, კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოებში უპარტიოთა ჩაბმა და სხვა.

მაგრამ რა არის საჭირო ყოველივე ამის მისაღწევად?

პირველ ყოვლისა საჭიროა ავწიოთ სოფლის კომუნისტების კულტურული და პოლიტიკური განვითარების დონე. პარტიის რიგებში არიან წ. კ. უცოდინარი ამხანაგები; მომავალ ზამთრის პერიოდში ამის ლიკვიდაცია უსათუოდ უნდა მოხდეს.

ხელმძღვანელობის ერთ უმთავრეს საშუალებათ მიჩნეულია გაზეთი, მაგრამ მისი როლი ზოგიერთს ჯერ კიდევ არა აქვს შეთვისებული. მაგალითად რუსეთში უჯრედის ერთერთ მდივანმა განაცხადა, რომ „გაზეთი არ გვინდა, უიმისოდ წყნარად ვცხოვრობთ; გლეხები თუ წაიკითხავენ, მოგვცემენ მრავალ შეკითხვებს და ჩვენ ვერ უპასუხებთ“. ჩვენშიც ცუდად სწარმოებს გაზეთების გამოყენება: სოფლად (მთიულეთში) არიან ისეთი კომუნისტები, რომლებიც ზერელედ გადაათვალიერებენ ან სულ არ კითხულობენ გაზეთს და მას იყენებენ მხოლოდ თამბაქოს ქაღალდის მაგიერად და სხვა ასეთ დანიშნულებისათვის. თვითეულ კომუნისტს უნდა შევაგნებინოთ, რომ საჭიროა ჟურნალ-გაზეთების და წიგნების დაბეჯითებითი კითხვა.

რაც შეეხება სოფლად გაზეთების მიწოდების საქმეს ის ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოგვარდეს.

თვითგანვითარებისათვის სოფლის კომუნისტმა საკმაო დრო უნდა გადასდოს. სოფლის კომუნისტი ზამთრის პერიოდში უნდა დაეწაფოს მოძრავ პოლიტ-სკოლებში და პოლიტ-წრეებში მეცადინეობას. მხოლოდ პოლიტიკურად მომზადებული კომუნისტები ღირსეულად უხელმძღვანელებენ სოფელს.

ასეთივე მნიშვნელობა აქვს აგროცოდნის შეძენას. დღეს, ძალიან ხშირად, სოფლის კომუნისტები გაურბიან ქოხ-სამკითხველოებთან არსებულ აგრო-წრეებში მეცადინეობას, აგრონომების მასსიური საუბრების მოსმენას, რადგან მათ ჰგონიათ, რომ ეს მარტო უპარტიოთა საქმეაო. ცხადია, უპარტიოთა მასსა უნდა ჩავაბათ კულტურულ საქმიანობის ფერხულში, მაგრამ კომუნისტებმაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ კერძოდ ქოხ-სამკითხველოს მუშაობაში. კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას სოფლად ესაჭიროება ხელმძღვანელობა, ათეულობრივად მომუშავე პარტამხანაგების გარეშე კი ამის გატარება შეუძლებელია.

სოფლის კომუნისტების მიერ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე გაუმჯობესებულ იარაღების კოლექტიურად შეძენას და გამოყენებას, არხების გაყვანას, საწარმოო კოოპერაციის გაძლიერებას, რითაც ჩვენ ავაყვავებთ სოფლის მეურნეობას.

სოფლის კომუნისტმა თავისი საკუთარი მეურნეობაც მუყაითად და სამაგალითოდ უნდა დაამუშაოს, რაც ასწევს მის ავტორიტეტს. სხვათაშორის, აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კომუნისტისთვის უხერხულობას არ უნდა წარმოადგენდეს თავის ოფლით მიღებულ შრომის ნაყოფის გაყიდვა (უმთავრესად კოოპერაციის საშუალებით) და მით აუცილებლად საჭირო ნივთების შეძენა. რადგან ამას საერთოდ მოითხოვს ღარიბი გლეხობის ნივთიერი გაუმჯობესების ლოზუნგი.

დასასრულ კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სოფლის კომუნისტების კულტურული და პოლიტიკური განვითარების დონის ამაღლება არის თავდები გლეხობაზე სწორი ხელმძღვანელობის გასატარებლად, რასაც დიდი ყურადღება მიაქცია მე 14-ე პარტიულ კონფერენციამ. სწორედ აქეთკენ უნდა წარმართონ თავიანთი მუშაობა ჩვენმა ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმაც.

ჟ. ფ—ლი.

წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის

ყველასათვის ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას ჩვენი ქვეყნის კულტურული და ეკონომიური წარმატებისათვის.

ცოდნა ძალაა და თუ ეს ძალა არ არის საზოგადოების ხელში, მაშინ შეუძლებელია სოციალიზმის შენება. ჩვენმა ბელადმა ლენინმა წამოაყენა ლოზუნგი—„ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე არ უნდა იქნეს არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი“. ბელადის ამ ანდერძის განხორციელებაში ყველა პატიოსანმა მშრომელმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს.

მართალია, ჩვენში არსებობენ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტები, მაგრამ თუ ამ პუნქტების ხელმძღვანელებს დროზე არ მივეცით ხელფასი, არ მივაწოდეთ სასწავლო ნივთები, არ აღმოუჩინეთ რეალური დახმარება, მაშინ უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის ბრძოლა ნაყოფს ვერ მოიტანს. სწორედ ამით არის გამოწვეული წ. კ. უცოდინარობასთან ბრძოლის სისუსტე.

ლენინი კომკავშირის სრულიად რუსეთის მესამე ყრილობაზე ამბობდა: „თქვენ იცით, რომ ჩამორჩენილი რუსეთის გადაქცევა განათლებულ ქვეყნად ერთბაშად შეუძლებელია, მაგრამ თუ ამ საქმეს ხელს მოჰკიდებს კომუნისტური ახალგაზრდობა, თუ ყოველი ახალგაზრდა იმუშავებს ყველას სასარგებლოდ, მაშინ თქვენს კავშირს ექნება უფლება იწოდოს კავშირად კომუნისტური ახალგაზრდობისა“.

ჩვენი ქვეყნის კულტურულად დაწინაურების სფეროში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯია, და ამ საქმეში ყოველმა კომკავშირელმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს. კომკავშირის ორგანიზაციამ ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოს ხელისუფლების ყოველ ნაბიჯს უცოდინარობასთან ბრძოლაში. ჩვენში არსებობს წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოება (წურკუმსი), რომლის წევრად აუცილებლად უნდა ითვლებოდეს ყოველი კომკავშირელი, როგორც საზოგადოების აქტიური წევრი.

ქ. შ—ია.

წერილები ადგილებიდან

საგლეხო კედლის გაზეთის გამოშვება

ამის წინად საგარეჯოს თემის პარტკომმა გამოსცა სასოფლო-საგლეხო კედლის გაზეთი „საგარეჯოს თემის მოამბე“-ს სახელწოდებით. ეს გაზეთი გამოდის კვირაში ერთხელ და ეგზავნება თემის ყველა სოფლებს. თემის გლეხკაცობამ ამ გაზეთის გამოშვებას დიდის აღფრთოვანებით შეხვდა, რადგან მას მიეცა შესაძლებლობა კედლის გაზეთში ფართოდ გააშუქოს ადგილობრივი ცხოვრების ყველა ის საჭირბოროტო და მტკივნეული საკითხები, რომლებიც თავის მხრივ მოითხოვენ ჯეროვან ყურადღებას. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ეს გაზეთი პირნათლად შეასრულებს თავის ამოცანებს და სავსებით გაამართლებს თავის არსებობასაც.

ამხ. ბეჟიაშვილი.

ქალთა შორის მუშაობა

უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა შორის მუშაობა კოკის თემში (ზუგდიდის მაზრა) საგრძნობლად მოისუსტებს. უმთავრესი მიზეზი ამისა კი იმაში მდგომარეობს, რომ მაზრის ქალთა განყოფილება ვერ სდგას თავისი დანიშნულების სიმაღლეზე. უკანასკნელი ვერ უწევს სათანადო ხელმძღვანელობას კოკის თემში მომუშავე ქალ-ორგანიზატორს: მუშაობის საწარმოებლად, არ უგზავნის საჭირო სახელმძღვანელოებს არ ღებულობს არავითარ ზომებს ამ მუშაობის გაღრმავებისათვის და ხელის შემშლელ პირობების აღმოსაფხვრელად და სხვ. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს სერიოზული ყურადღება.

დ. მ—ანი.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ძ. ოზურგეთი.

უკანასკნელი ციფრების მიხედვით ოზურგეთის მაზრის კომკავშირის ორგანიზაცია აერთიანებს 120 უჯრედს 3500 კომკავშირელით. პარტიული კადრი კომკავშირში ძალიან სუსტია. მთელს ორგანიზაციაში მხოლოდ 27 პარტიის წევრია. ამის გამო წია ანგარიში სამაზრო კომიტეტმა და ნება დართო ყველა უჯრედებს გადარიცხოს 200 წევრი თავისი აქტივისა პარტიის რიგებში. აქედან ნაწილი დღეს უკვე სამაზრო კომიტეტის მიერ დამტკიცებულია, ხოლო ნაწილი გადაგზავნილია ს. კ. პ. ც. კომიტეტში დასამტკიცებლად. აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში კავშირის რიგებს მოემატა 800 ახალგაზრდა. რაც შეეხება პარტხელმძღვანელობას კომკავშირის უჯრედებზედ როგორც ცენტრში, აგრეთვე რაიონებში და თემებში,—ის უმჯობესდება იმისდამიხედვით, თუ რამდენად იზრდება პარტკადრი კომკავშირში.

პარტკორი მ. წ—ძე.

მაშინდელი და ეხლანდელი დელეგაცია

(შთაბეჭდილებანი)

გერმანული ენის ცოდნამ მარგუნა შემთხვევა დამეყო ძვირფას სტუმრებთან რამოდენიმე დღე და გავცნობოდი მათ დაახლოებით.

აგრეთვე შემთხვევა მქონდა ახლობელ დამოკიდებულებაში ვყოფილიყავი მენშევიკების დროს, საქართველოში ჩამოსულ სოციალისტურ დელეგაციასთან.

მაშინ ვიყავი უფროსი საგანგებო მატარებლისა, რომლითაც დადიოდნენ დელეგატები, და მებარა დელეგაციის გამოკვების და მოვლის საქმე.

დღეს კი დავყვები მუშა დელეგატებს, როგორც თარჯიმანი.

დაუწყე შედარება პირველსა და ეხლანდელ დელეგაციებს და იმ გარემოებას, თუ როგორ დაუხვდით მაშინ დელეგატებს მენშევიკები და როგორ დაუხვდენ დღეს.

სოციალისტური დელეგაცია მენშევიკების დროს შესდგებოდა სულ 18 კაცისაგან და მათ ჩვენ დავატარებდით შვიდ-რვა დიდ ვაგონში—საგანგებო სწრაფი მატარებლით, რომელსაც ჰქონდა უპირატესობა ყველა სხვა მატარებლებზე. სპეციალური ვაგონი რესტორანი ხუთიექვსი ლაქია-მზარეულით, დელეგაციას აცილებდენ თითქმის ყველა ჩვენი მაშინდელი მინისტრები.

იმდროინდელ გაჭირვებულ ეკონომიურ პირობებში ეს მატარებელი ძვირად გვიჯდებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ არ ვერიდებოდით არავითარ ხარჯს და საჩუქრებს.

ახლა ვნახოთ როგორ მოგზაურობენ დღეს მუშა დელეგატები!

საგანგებო მატარებელზე, ვაგონრესტორანზე აქ ლაპარაკიც მეტია. თითო დელეგატს აქვს ვაგონში საწოლი ალაგი. მიდიან ჩვეულებრივი მატარებლით. დელეგატები 19 კაცია, ერთი მბეჭდავი ქალი თავისი საბეჭდავი მანქანით. და რამდენიმე თარჯიმანი.

ვაგონის გამცილებელი ზრუნავს ხანოვაგის შესახებ, რომელსაც დილობით შემოაქვს დელეგატებთან ჩაი, პური და კარაქი ანუ კვერცხი აი დელეგატების პატივისცემა მოგზაურობის დროს.

სადილათ მივდივართ წითელ სასადილოში და ვსადილობთ 35 მ. კაპეიკათ. დელეგატებს ახლავს ერთად ერთი გიორგი ყურულაშვილი პროფკავშირებიდან. ბორჯომში „წითელ სასადილოში“ სადილის დროს მოსამსახურენი ჩვენ გვვლიდენ და კერძი მესადილეთ, ცოტა არ იყოს, სადილი დაიგვიანდათ. ამისათვის ამხ. ყურულაშვილი შენიშნავს, რომ ჩვენს გამო ნუ დაიგვიანებენ კერძი პირით.

მე ვატყობ, რომ უღვინოთ სადილი არ ეჭაშნიკებათ ზოგ დელეგატებს, მაგრამ ამას ამხ. გიორგი არ აქცევს ყურადღებას.

წაღვერს, ბაკურიანსა და არაზინდოშიც ვსადილობთ ან „წითელ სასადილოში“, ან დასასვენებელ სახლში ისე, როგორც იქ მყოფი მუშები.

ამნაირად უნდა ვღიარო, რომ ვერ ვნახე ვერსად გადაპარბება. არის დახვედრა, პატივისცემა ამხანაგური.

საქმიანობა, ახმაურება, ეკონომია ეტყობა დღევანდელ დელეგაციასაც და მის დამხვდურებსაც.

ზოგ დელეგატს უნდა დაისვენოს „არაზინდოში“, მაგრამ თავმჯდომარე ამხ. ბეკი მოაგონებს დელეგატებს, რომ მაშინ ისინი ველარ ჩაუსწრებენ მოსკოვში სხვა ამხანაგ დელეგატებს.

ვინაიდან დელეგაციაში შედიოდნენ—ს. დე-ბი, კომუნისტები და უპარტიონი,—თითქმის ყველა საკითხი იწვევს შეჯახება-კამათს და მოხოლოთ კენჭის ყრით სჭრიან ამა თუ იმ საკითხს და შემდეგ შეაქვთ საქმეში.

ამნაირათ, თქვენ ხედავთ ნამდვილ მუშებს, დიდის ვაი ვაგლახის შემდეგ ჩვენში საქმისთვის, ნამდვილი ამბავის გასაგებათ, ჩამოსულებს.

რა მოგწონთ ჩვენში ყველაზე უფრო?—ეკითხება ბევრი ამხანაგი გერმანელ მუშა დელეგატებს.

„მოგვწონს საბჭოთა რესპუბლიკებში პიონერთა ორაგიზაციები, ახალგაზრდობის აღზრდა... მოგვწონს საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობა—თქვენი ელსადგურები, რკინის გზები შარა გზები და სხვა.. მოგვწონდეს თქვენი დასასვენებელი სახლები მუშებისათვის... ასეთი დასასვენებელი სახლები ევროპას თუ აქვს, იქ ბურჟუა-მდიდრები ისვენებენ.

ეს თქვენი დასასვენებელი სახლები უკვე დასაწყისია სოციალისტურათ, ძმურათ, მეგობრულათ ცხოვრებისა—ამბობს დელეგატი ამხ. ბენევიცი..

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დელეგატების მხრით „არაზინდო“. აბასთუმანის თავში, თვალწარმტაც, აუწერელ ბუნების სამეფოში, წამოუჭიმავთ მშვენიერი სრასასახლე, ყოველივე საჭირო მოწყობილობით. მოუყრიათ თავი სამასამდე ხელებდაკოჟრილ მუშებს და ისვენებენ, თამაშობენ, ნავარდობენ, ღონეს იძენენ, რათა უფრო მედგრად, უფრო მუყაითად განაგრძონ დაბრუნებისას მუშაობა და კიდევ ააგონ ასეთივე არაზინდოები. თუ ეხლა სამასი მუშა ისვენებს, შემდეგ სამი ათასმა და მეტმაც დაისვენოს.

დავათვალიერეთ მთელი შენობა. დაბოლოს შეგვიყვანეს ერთ დიდ დარბაზში, როცა იგრიალა მუსიკამ—სიმებიანმა კონცერტმა—მწყობრათ, ლამაზათ.

დარბაზი სავსე დაგვხვდა არაზინდოს საზოგადოებით. მხოლოდ დელეგატებისთვის იყო ცარიელი ალაგები დატოვებული.

„ეს სუფთად ჩაცმული საზოგადოება დავიჯერო სულ მუშებია?“!.. ჩამოჩურჩულებს დელეგატი ს.-დ-ტი მინერტი. (ეს მინერტი უკიდურესი მენშევიკია და ის მუდამ ოპოზიციაში უდგას დელეგაციას)

აქ—ამ სოციალისტურ სახლში ბურჟუები ვერ მოვლენ, ვაძლევ პასუხს. და ეს ურწმუნო მინერტიც კი გაოცებული რჩება და მისი ოპოზიციონერობა, მენშევიკებისადმი გამოჩარჩილები სუსტდება, ნელდება...

ახლოვდება გამოთხოვების დრო. „რა ძნელია ასეთი მშვენიერი ადგილის, ასეთი მონათესავე მასპინძლების დატოვება“,—ამბობენ დელეგატები, მაგრამ მეტი გზა არაა. „აქ ჩვენ კიდევ ჩამოვალთ“,—იძახიან დელეგატები, ჩამოვალთ დასასვენებლათ გერმანიის გასაბჭოების შემდეგ“. და თხოულობენ სახლის წიგნს, რათა ყველამ ხელი მოაწეროს, თავისი აქ ყოფნა აღნიშნოს.

ხ. დოლიძე.

ტყიბულის ქვანახშირი

ტყიბულის ქვა-ნახშირი თავისი ხარისხით მეტად მდარეა. ამისა მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ამოღებული ქვანახშირის მთელი რაოდენობის 45 პროცენტი შესდგება ფხვნილი ნაწილისაგან, რომელიც აქამდე ცუდი გამოსაყენებელი იყო და უმეტეს შემთხვევაში უბრალოდ იკარგებოდა, რაც ტყიბულის ქვანახშირის ექსპლოატაციას დიდათ აფერხებდა.

ტყიბულის ქვანახშირის უმთავრეს მომხმარებლათ აქამდე ითვლება მხოლოდ ამიერ-კავკასიის რკინის გზები. 1924 წლის პერიოდში კი გამონახული იქნა მსხვილი მომხმარებელი—„ნოვოროსცემენტი“-ს სახით, რომელიც ამ ფხვნილს იყენებს ცემენტის დამზადებაში, როგორც მტვერს. აქამდე ტყიბულის ნახშირი ძალიან დაბალ ფასებში იყიდებოდა; ამის მიზეზი ის იყო, რომ მისი გადაზიდვის (ფრახტი), საფუთო გადასახადის რაოდენობა და სხვა ხარჯები ორჯერ აღემატებოდენ ნახშირის თვითღირებულებას.

ამის გამო აღიძრა საკითხი სათანადო ორგანოებთან ფასების მოწესრიგების შესახებ, რასაც შედეგად მოჰყვა შემდეგი: რკინის გზამ შეამცირა ფრახტი 0,8 კაპიკით, საბჭოთა სავაჭრო ფლოტმა—საზღვაო ფრახტი—0,5 კაპ., საფუთო გადასახადი შემცირებულ იქნა 0,18 კ. და აგრეთვე შემცირდა დატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები. ამის შემდეგ 1925—26 სამეურნეო წლისათვის დაიდვა მეორე ხელშეკრულება „ნოვოროსცემენტ“-თან ერთი მილიონი ფუთი ნახშირის მიწოდებაზე.

ქვა-ნახშირის ხარისხის გაუმჯობესება.

საქართველოს სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციასთან დაკავშირებით ისმება საკითხი—რა უნდა გაკეთდეს ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობის გაუმჯობესებისათვის.

ტყიბულის ქვანახშირზე მოთხოვნილების გასადიდებლათ, მიღებულია ზომები მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის. საამისო საშუალება გამონახულია. ეს არი ქვანახშირის ბორკეტებათ ქცევა და მისგან კოქსის მიღება, ე. ი. მეორე ხარისხოვან მასალების გამოყოფა და აგრეთვე მისი მტვერის გამოყენება საწვავად. ცდები ამ მიმართულებით უკვე დაწყებულია. დონის მაღაროების ქიმიურ ლაბორატორიაში იგი აწარმოვა პროფესორმა კრიმმა. ცდებმა სასურველი შედეგები გამოიღო.

ეს ცდები ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის და იგი გაგრძელდება თბილისში და თუ ეს ცდები გაამართლებენ იმედებს, ტყიბულის ქვანახშირისათვის იშლება ბრწყინვალე მომავალი გასაღების გაფართოებისა და თვითღირებულების შემცირებისა.

საერთო მარაგი ტყიბულის ქვანახშირისა ნავარაუდევია ხუთი მილიარდი ფუთის რაოდენობით. მოკლე დროში ამოიღება 35,000,000 ფუთი ამჟამად ექსპლოატაციაში მყოფ უბნებიდან; ახლო მომავალში კი დაიწყება მუშაობა ახალი, საბურღავი მეთოდით და გაიხსნება ახალი ფენები, რომლებიდანაც მივიღებთ 177,000,090 ქვა-ნახშირს უკეთესი ხარისხისას.

გასაღება.

მომავალ წელს განზრახულია 5,400,000 ქვა-ნახშირის გასაღება წელს უკვე ამოღებულია 3,300.000 ფუთი და წლის ბოლომდე ეს რაოდენობა აყვანილი იქნება 4.500.000 ფუთამდე, რაც აღემატება ომის წინადროინდელ ამოღებას ხუთი პროცენტით.

ამ 4,500,000 ფუთი ნახშირის გასაღება სავსებით უზრუნველყოფილია, შემდეგ წლებში კი გასაღება შემდეგნაირათ გაიზრდება: 1925—26 წელს—5,100,000 ფუთი, 26—27 წ.—6,800,000 ფუთი, 27—28 წელს—7,420,000 ფუთი, 28—29 წ. 7,420,000 ფუთი.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანია

კამპანიის მიმდინარეობა თბილისის მაზრაში

თბილისის მაზრა უკვე შეუდგა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ვადაზე ადრე ჩაბარებას.—პირველ დღეს შემოვიდა 500 მანეთი.—სიების წაკითხვა და შესწორება საჯარო კრებებზე.—გლეხობის რეზოლიუცია.—გადასახადი პირველათ ჩააბარა უპარტიო გლეხმა ჩივაძემ.—კულაკების ხრიკები.

თბილისის მაზრიდან დაბრუნდა თბილისის აღმასკომის საგადასახადო ქვეგანყოფილების გამგე ამხ. თალაკვაძე, რომელმაც ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს სასოფლო - სამეურნეო გადასახადის კამპანიის მსვლელობის შესახებ თბილისის მაზრაში განაცხადა შემდეგი:

— თბილისის მაზრის მოსახლეობამ სას.-სამეურნეო გადასახადის დარგში გამოიჩინა ინიციატივის მაქსიმუმი და ის უკვე შეუდგა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ვადაზე ადრე ჩაბარებას ჩაბარების ოფიციალური ვადაა 1-ლი ნოემბერი, 1-ლი იანვარი და 1-ლი მარტი, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, სოფ. დიდი—თონეთის, დეველის, მანგლისის, ინტერნაციონალის და ლენინის გლეხობა უკვე შეუდგა გადასახადის ჩაბარებას.

მთელს რესპუბლიკაში პირველი ამ მხრივ აღმოჩნდა თბილისის მაზრა და, მიუხედავათ უქმე დღისა, (16 აგვისტო), ოთხ სოფელში შემოვიდა 500 მანეთი.

ამჟამათ ხდება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაწერა და იწერება საგადასახადო ფურცლები, მაგრამ მუშაობის დაჩქარების მიზნით თბილისის აღმასკომის საგადასახადო ქვეგანყოფილებამ, არ დაუცადა რა საგადასახადო ფურცლების საბოლოო შედგენას, ისარგებლა შემთხვევით და დამზადებული ფურცლები გადაგზავნა ადგილებზე, სადაც ხდება ფურცლების შემოწმება გლეხების საჯარო კრებებზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, გლეხთა მასის ჩაბმამ ფურცლების შემოწმების საქმეში სათანადო გავლენა მოახდინა მასებზე იმ მხრივ რომ გაძლიერდა სიმპატიები ხელისუფლების მიმართ.

ყველგან, სადაც კრებებზე წაკითხული და შემოწმებული იქნა ფურცლები, გლეხობას გამოჰქონდა რეზოლიუციები, რომელშიაც ესალმებოდა მთავრობას და წინადადებას აძლევდა დანარჩენ გლეხებს არ დაეცადოთ დაწესებულ ვადამდე და დაეწყოთ გადასახადის შეტანა.

რაც შეეხება მოსახლეობის სულიერ განწყობილებას, უნდა აღინიშნოს გადასახადის ჩამბარებელთა თბილი, ამხანაგური დამოკიდებულება ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისადმი.

მე დავესწარი რამოდენიმე სხდომას და დავრწმუნდი, რომ ადგილობრივი აღმასკომების თავმჯდომარეებმა ნამდვილათ შესძლეს ხელისუფლების დაახლოვება მოსახლეობასთან.

გადასახადის ჩაბარება პირველათ დაიწყეს ღარიბმა და საშუალო გლეხებმა. ასე, მაგ. სოფ. დიდ-თონეთში ვადასახადი პირველათ მთლიანად ჩააბარა უპარტიო გლეხმა ზეგლარ ჩივაძემ.

კულაკებმა აქაც მოინდომეს ჩვენი მოტყუება. იმავე სოფელ დიდ-თონეთში კრებაზე გამოცხადდა ჩამოფლეთილი და ფეხშიშველა გლეხი და დაიწყო ტირილი, რომ მას მეტათ დიდი გადასახადი შეაწერეს, სახელდობრ 121 მანეთი, ჩვენ გაგვაკვირვა ამ გარემოებამ და დაუყოვნებლივ მოვახდინეთ შემოწმება, ამასთანავე ვისარგებლეთ წარსული წლის სიებით, რომლებიც თან წავიღეთ ადგილებზე და აღმოჩნდა, რომ შარშან ამ გლეხს გადაუხდია 413 მანეთი.

რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ მას აქვს სახნავი და სათიბების სრული ნორმა. ყავს აგრეთვე ექვსი ცხენი, 400 ცხვარი და მუშა და მეწველი საქონლის საკმაო რაოდენობა. დამსწრეებმა ჯერ კიდევ სხდომის გათავებამდე შეარცხვინეს მომჩივანი და ბოლოს ის იძულებული იყო წასულიყო სხდომიდან დაუკმაყოფილებელი.

ეკონომიური ცხოვრება

საუტილიზაციო ქარხანა თბილისში

თბილისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილების 13 აგვისტოს სხდომაზე გაირჩა საკითხი, თბილისში საუტილიზაციო (ძვლების გადამმუშავებელი) ქარხნის გახსნის შესახებ.

საუტილიზაციო ქარხნის თბილისში გახსნის შესახებ თავდაპირველად წარდგენილი იყო საგეგმო ორგანოებში ორი სხვადასხვა პროექტი: პირველის თანახმად იგი უნდა დარსებულიყო ქალაქის სასაკლაოსთან და და მეორეს თანახმად ორთაჭალაში დაბახანასთან.

აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ ამ ორი პროექტიდან ყველაზე უფრო ადვილად განსახორციელებლად ჩასთვალა აღნიშნული ქარხნის მოწყობა სასაკლაოსთან, რადგან იქ უკვე არსებობდა ასეთი და ამ შემთხვევაში მოითხოვდა მხოლოდ გადაკეთებას; ამიტომ წინადადება მიეცა სასაკლაოს ადმინისტრაციას კეთილ-მომწყობ განყოფილებასთან ერთად გამოიმუშაოს ხარჯთ-აღრიცხვა სასაკლაოსთან ძველად არსებულ საუტილიზაციო ქარხნის გაფართოებისა და მოწყობის შესახებ.

ამხანაგობა „მთიულეთხევი“

2 აგვისტოს სოფ. სიონში მოხდა კობისა და გუდამაყრის მეცხვარეთა ყრილობა. დაარსდა მეცხვარეთა და მეჯოგეთა ამხანაგობა „მთიულეთხევი“. გამგეობაში არჩეულ იქნენ: ამხ. ვ. ბოცვაძე, ი. გიგაური და ზ. ლუდუშაური. ამ გაერთიანებულ ორგანიზაციაში შედის 260.000 ცხვრის მეპატრონე.

საბეითლო დახმარება სოფლის გლეხობას

ქ. აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებამ თბილისის მაზრაში სასოფლო-მეურნეობის გაუმჯობესებისათვის გამომუშავებულ ხარჯთაღრიცხვით ხუთი წლის პერსპექტიულისგეგმის მიხედვით, დიდი და განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული საბეითლო დახმარებას სოფლად. 1924—25 წლებში, ამ მიზნით სოფელში იხარჯება 45.000 მანეთი, ქალაქში კი—30.000 მანეთი.

1925—26 წლის საპერსპექტივო გეგმის მიხედვით მარტო საქონლის ჭირთან საბრძოლველათ განზრახულია 25,000 მანეთის გადადება.

ხუთი წლის პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებულია აგრეთვე სარწყავი არხების გაყვანის, გზატკეცილების გაკეთების, ტყეების გაშენების და მოვლის საკითხების მოწესრიგება.

ამის განსახორციელებლად ქალ. აღმასკომი აპირებს წლიურად გაიღოს 1.089.160 მანეთი. ეს თანხა ნაწილდება შემდეგნაირათ: გზების გაყვანისათვის და გაკეთებისათვის 133,352 მანეთი; არხების გაყვანისათვის—146,900 მან., ტყის გაშენებისათვის და მოვლისათვის—70,400 მანეთი.

საქართველოს ინვალიდთა დამხმარე კომიტეტის მუშაობის შედეგი

თავის საქმიან მუშაობას სრულ საინვადკომი შეუდგა 1924 წ. 21 ივლისში. პირველ ხანებში მუშაობის პირობები არა ხელსაყრელი იყო, რადგანაც მას თავის საკუთარი საქველმოქმედო ნიშნები და გამოცემანი არ ქონდა. ის მთელ თვის ძალღონეს ახმარდა სრულიად რუსეთის ომის ინვალიდთა დამხმარე კომიტეტის ნიშნების და გამოცემათა გავრცელებას. თუ როგორ თანდათან იზრდება მუშაობა, ეს სჩანს კომიტეტის წმინდა შემოსავლიდან: წარსულ წლის ივლისის თვეში შემოსულია 615 მ., აგვისტ. 1.355., სექტემბერში 1.780 მ. მაგრამ ასეთ შემოსავლით კომიტეტს არ შეეძლო დაეკმაყოფილებია მრავალრიცხოვანი ინვალიდთა მოთხოვნილება. ამისთვის კომიტეტმა აღძრა შუამდგომლობა ს. ს. ს. რ. სახკომსაბჭოს წინაშე საკუთარი მარკების და გამომცემლობის ნებართვის შესახებ. შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნა რამაც გაცილებით უკეთესი ნაყოფი გამოიღო. ყველა ხარჯების გამოკლებით კომიტეტის წმინდა შემოსავალს შეადგენს 1924 წ. ოქტომბერი და 25 წ. მაისამდე 84.035—88.

აქედან კომიტეტმა გადასცა სოციალურ უზრუნველყოფის კომის. 14.654—85, რომლებიც დახარჯულია თვის ინვალიდთა საჭიროებისათვის.

კომიტეტისაგან გაიცა ერთდროული დახმარება 91 კაცზე 1.066 მ. 80 კ.

მიეცა თბილისის სამ. განყოფ. მუდმივი პენსიის მისაცემად 828 კაცს 1.500 მ.

სულ გაცემულია კომიტეტიდან ფულად:

1. ინვალიდების სახლის შენახვაზე საექიმო დახმარების აღმოჩენაზე, ერთდროული დახმარების სახით ინვალიდების მიერ ვაჭრობის დასაწყებად და სხვა 15,841 მ.—88 კ.

2. დახმარება გაეწია სამშობლოში დასაბრუნებ. დემობილიზაციით განთავისუფლებულ წითელ არმიელებს 178 კაცს;

3. სამუშაოზე გაიგზავნა 107 კ.

მაზრებში დამხმარკომები ამჟამად არიან ორგანიზაციის პერიოდში. სამწუხაროდ მუშაობა აქაც მოიკოჭლებს. მიზეზი ამისა ის არის, რომ ზოგიერთი დაწესებულებები სათანადო დახმარებას არ უწევენ მათ.

პ. გოგიშვილი.

ვენახე-მეღვინეთა კოოპერატივების რწმუნებულთა ყრილობა

შაბათს, 15 აგვისტოს, დილის 11 საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში გაიხსნა საქართველოს მევენახე-მეღვინეთა კოოპერატივების რწმუნებულთა ყრილობა.

ყრილობა გახსნა მეღვინეობის ცენტრის საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. ლადო დუმბაძემ, რომელმაც მოკლე შესავალ სიტყვაში ყრილობას გააცნო საორგანიზაციო ბიუროს მუშაობა და ცენტრის დაარსების მიზანი.

შემდეგ ყრილობა შეუდგა პრეზიდიუმის არჩევას. საპატიო თავმჯდომარეებად არჩეული არიან ამხ. ფ. მახარაძე, მიხ. ოკუჯავა და შალ. ელიავა. საქმიან პრეზიდიუმში კი არჩეული იქნა 15 კაცი.

ამხ. ლადო დუმბაძის მოხსენება

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ საქართველოს მევენახეობის მდგომარეობისა და მნიშვნელობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ლადო დუმბაძე.

— მევენახეობას საქართველოში, —ამბობს ამხ. დუმბაძე,—ერთი უმთავრესი ადგილი უკავია და ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტში ის დიდ როლს თამაშობს. ასე მაგალითად, სოფლის მეურნეობის მთელი შემოსავლიდან დაახლოვებით 100 მილ. მანეთიდან, მევენახეობა-მეღვინეობა ჩვენ ქვეყანას აძლევდა 20 მილ. მანეთის საქონელს.

ომამდე ვენახების მთელი რაოდენობა საქართველოში 40,000 დესეტინას შეადგენდა. მაშინდელი მევენახეობა-მეღვინეობა იძლეოდა 4 მილიონ ვედრო ღვინოს და 7 მილ. გრადუს არაყს. მაგრამ საერთაშორისო ომისა და რევოლიუციის ხანებში მევენახეობაში, როგორც სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში, ნგრევის პროცესი დაიწყო, რასაც უმთავრესათ ხელი შეუწყო საქართველოს ღვინოების უმთავრესი და ბუნებრივი ბაზრები (რუსეთის) ჩამოშორებამ და საქართველოს სოფლის მეურნეობაში ძვირფასი კულტურების მაგიერ ხორბლეულობის მოყვანის გაძლიერებამ.

1914 წელში ვენახების სივრცე საქართველოში უდრიდა 40.000 დეს. 1924 წ. კი ეს სივრცე შემცირდა 30.071 დესეტინამდე.

მევენახეობა-მეღვინეობის მდგომარეობის გაუმჯობესება დაიწყო საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის გამოკეთებასთან ერთად, გაიხსნა ძველი ბაზრები, გაიზარდა მოთხოვნილება ღვინოზე, აიწია ფასებმა და ყველა ამან კი გამოიწვია ამ კულტურის აღორძინება.

მევენახეობის აღორძინებასთან ერთად დაიწყო მევენახე გლეხობის ჩაბმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში და სპეციალური სახის კოოპერატივების დაარსება.

1923 წლის 1-ლი იანვრისათვის საქართველოში ითვლებოდა სულ 3 კოოპერატივი 1.800 წევრით, 1924 წ.—9 კოოპერატივი 3 423 წევრით და 1925 წ.—12, რომლებშიაც ითვლება 3.825 წევრი.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა კოოპერატიული მშენებლობა და საქმიანობა მევენახეობა-მეღვინეობაში თანდათან ვითარდებოდა, მაგრამ უკანასკნელ ხანებში მის განვითარებას წინ გადაეღობა მთელი რიგი ხელისშემშლელი პირობები.

უმთავრეს ხელისშემშლელ პირობათ უნდა ჩაითვალოს ღვინის გასაღების შემცირება.

მევენახეთა ორგანიზაციების დღევანდელი უნუგეშო მდგომარეობის მეორე მიზეზათ თვით ამ ორგანიზაციების აპარატის სისუსტე უნდა ჩაითვალოს. მევენახეთა კოოპერატივების უმეტესი ნაწილის მმართველი ორგანოები თბილისშია მოთავსებული და მათ სუსტი კავშირი აქვთ გაბმული თავის წევრებთან.

ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ სოფლებში არ არის გამიჯნული ამხანაგობათა შორის სამოქმედო რაიონი, რის გამო ხშირათ არევდარევა და გაუგებრობა ხდება.

ყველა ზემოაღნიშნულ და აგრეთვე სხვა დამაბრკოლებელ მიზეზების გამო მევენახეთა ორგანიზაციების ფინანსიური მდგომარეობა მეტად უნუგეშო შეიქმნა. მათი საერთო დავალიანება პირველ აგვისტოსათვის უდრის 1.397.875 მანეთს; აქედან წარმოკავშირის მართებთ 394.619 მანეთი, დანარჩენი თანხები შეადგენს ბანკების სესხს, რომლის გადახდის ვადები, რასაკვირველია, გასულია. ორგანიზაციების საკუთარი თანხები კი არ აღემატება 300.000 მანეთს, ისიც უძრავ-მოძრავი ქონებით.

ყველა ეს უარყოფითი მხარეები და ორგანიზაციების უნუგეშო მდგომარეობა კარგათ ჰქონდა გათვალისწინებული წარმოკავშირის გამგეობას და ის კიდეც იღებდა ზომებს აღნიშნული ორგანიზაციების გაჯანსაღებისა და გამაგრებისათვის.

მაგრამ წარმოკავშირს, როგორც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრს, არ შეეძლო მთელი თავისი ყურადღება მევენახეობა-მეღვინეობაზე შეეჩერებია. ამიტომ მისი ინტერესების სრულათ დაკმაყოფილების მიზნით დაისვა საკითხი მევენახეთა ამხანაგობების სპეციალური კავშირის შექმნის შესახებ.

ამ საკითხის დასამუშავებლათ გამოყოფილი იქნა სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა კავშირის დაარსებასთან დაკავშირებული საკითხების დამუშავება და საჭირო ღონისძიებების შემუშავება.

აღნიშნულ ღონისძიებათა გამომუშავების შემდეგ მოწვეული იქნა მევენახეთა ამხანაგობების გამგეობათა წარმომადგენლების თათბირი, რომელმაც საჭიროდ სცნო მევენახე-მეღვინეთა ცენტრის დაარსება და მოიწონა კომისიის მიერ გამომუშავებული ღონისძიებანი.

ამ დადგენილების ძირითად ორგანიზაციებისათვის გასაცნობათ და ცხოვრებაში გასატარებლად, და აგრეთვე რწმუნებულთა ყრილობის მოსაწვევად გამოყოფილი იქნა საორგანიზაციო ბიურო, რომელმაც შეასრულა კიდეც მასზე დაკისრებული მოვალეობა.

ამხ. დუმბაძის მოხსენებით გათავდა დილის სხდომა. საღამოს სხდომაზე დაიწყო კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ქ. ჩხენკელმა, მგალობლიშვილმა, ს. ცინცაძემ, ბერეკაშვილმა, გოგნიაშვილმა, ჩიტლაძემ, მამულაშვილმა და სხვებმა.

მესამე სხდომაზე ყრილობამ მუხლობრივათ განიხილა წარმოდგენილი წესდება და თითქმის უცვლელად დაამტკიცა იგი.

ახალი ხელმძღვანელ ორგანოებს არჩევა

მეოთხე სხდომაზე კი დაიწყო არჩევნები. მევენახე-მეღვინეთა ცენტრის საბჭოში არჩეული იქნენ ვ. ბაბილაშვილი, გ. ავალიშვილი, ალ. გელაშვილი, პეტრუხაშვილი, ბრეგვაძე, ჩარბაძე, ვ. კველიშვილი ვ. მირიანაშვილი, ვ. სარსიაშვილი, გუტენლოხერი, ანდრიასოვი, მაღლაშვილი, გაბრიელაშვილი, შ. თუთბერიძე, ქ. საყვარელიძე, ნიკ. თავხელაძე, აბესალომ თავხელაძე, ერისთავი, ალ. კაპანაძე, გოგობერიძე, ლ. დუმბაძე, ქ. ჩხენკელი და კირ კაკაბაძე.

გამგეობა

გ. ელისაბედაშვილი, ს. თავდიშვილი და კრემერი; კანდიდატებათ: სიმონ ხუნდაძე და ლევან გოგნიაშვილი.

სარევიზიო კომისია

ფორაქიშვილი, ხატისკაცი და ჩიტალაძე; კანდიდატებათ—ჯანელიძე და კაშიაური

საქართველოს გზატკეცილები

საგზაო მშენებლობა აფხაზეთში

აფხაზეთის გზატკეცილების შესაკეთებლად და აღსადგენად საორგანიზაციო მუშაობა დაიწყო ა | წ. 5 ივნისიდან. ამ დროიდან შესრულებულია შემდეგი საორგანიზაციო და წინასწარ მოსამზადებელი სამუშაონი: გაცემულია ხე-ტყის მასალის დამზადებისა და მიწოდების საქმე, კოდორ-ინგურის და სოხუმ-პილენკოვოს შორის მდებარე გზატკეცილებზე ახალი ხიდების ასაშენებლად და გამოზიდვა გზატკეცილებზე ხრეშისა და ქვისა—800 კუბიკურ საჟენის დამტვრეულ ქვის დასამზადებლად. სოხუმ-ინგურის და სოხუმ-ახალი-ათონს შორის მდებარე გზატკეცილების შესაკეთებლად.

ნოვოროსისკიიდან მიღებულია 400 კასრი ცემენტი, რკინა-ბეტონის ხიდების ასაშენებლად და არსებული ხის ხიდებისა და მიღების ბეტონით შესაცვლელად. აგრეთვე გამოწერილია და ნაწილობრივ მიღებულიც როსტოვიდან და თბილისიდან მუშაობისათვის აუცილებელი საჭირო მასალები და იარაღები. დამზადებულია საკმაო რაოდენობით „ტაჩკები“ (საზიდავი) მიწის სამუშაოსათვის. ეწყობა მომარაგება გზის ხელოსნებისა გადასაყვანი საშუალებებით—ცხენებითა და ველოსიპედებით. დაწყებულია თხრილების გაყვანა გზატკეცილების გასწვრივ, მათი ნიაღვრებისაგან დასაცავად. ასეთი მუშაობა სოხუმიდან ახალ ათონამდე უკვე მთავრდება.

მუშაობაში ჩაბმულია რამოდენიმე არტელი.

სწარმოებს შეღებვა რკინის ხიდებისა სოხუმ-ახალ-ათონის შორის. შენდება ხის ახალი ხიდები გუდაუთისა და გაგრის შორის მდინარეებზე: მუხუძირხვა და შავი. ასეთივე ხიდი შენდება გალისა და ინგურის შორის მდინარე ბაბაშზე 300 საჟ. სიგრძის.

საგზატკეცილო მშენებლობის საქმეს აფხაზეთში ბევრი ობიექტიური დაბრკოლებები ეღობება წინ და მათ შორის აღსანიშნავია საჭირო მუშა ხელის სიმცირე, ადგილობრივ. რისთვისაც საჭირო ხდება მათი გამოწვევა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან.

საძოვრების საკითხი საქართველოში

საზაფხულო და საზამთრო საძოვრები.—მათი გამოყენება წინეთ და ეხლა.—საძოვრების ბოტანიკური გამოკვლევა.—მეცნიერული ცდები საძოვრების გადასახალისებლად.—

საზაფხულო და საზამთრო საძოვრები

საქართველოში გეოგრაფიული და კლიმატიური პირობების გამო საკმაოთ არის საზაფხულო და საზამთრო საძოვრები.

საზაფხულო საძოვრები ეწოდება ისეთ ადგილებს, რომლებიც მდებარეობენ ზღვის დონეზე მაღლა 6.000—12.000 ფუტამდე, ამ ადგილებში სითბო არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომწიფდეს პური, ამავე მიზეზის გამო აქ არ იზრდება ხეები; მაგრამ მოკლე საზაფხულო პერიოდში აქ იზრდება ისეთი ბალახი, რომელიც გამოსადეგია საქონლის საკვებათ.

ასეთი ადგილები ჩვეულებრივ დაშორებულია დასახლებულ რაიონებიდან და იქ გზების გაყვანა შეუძლებელია; ასეთ საძოვრებზე თივის მოთიბვა ხელსაყრელი არ არის, ამიტომ ასეთ ადგილებს იყენებენ როგორც საძოვრებს.

საზაფხულო საძოვრები საქართველოში მდებარეობენ კავკასიის მთავარი მთაგრეხილის სამხრეთ ფერდობებზე და ნაწილობრივ იმ მთებზე, რომლებიც შეადგენენ კავკასიის მცირე მთაგრეხილის ჩრდილოეთ ნაწილს.

საზამთრო საძოვრები ეწოდება იმ დიბლობებს და მცირე ამაღლებულ ადგილებს, რომელზედაც ცხელი ზაფხულის და წყალის უქონლობის გამო ვერ იზრდება ვერავითარი მცენარეულობა; ამ გარემოების და აგრეთვე საშინელი სიცხის, მწერების და ქვეწარმავალთა სიმრავლისა და მალიარიის გამო, ამ ადგილებით სარგებლობა შეუძლებელია.

ისინი გამოსადეგია მხოლოდ საზამთრო საძოვრებათ, რასაც ხელს უწყობს თბილი ზამთარი. საქართველოში ასეთი ადგილები მდებარეობენ მდინარე მტკვარის, იორის და ალაზანის ველებზე.

საძოვრები რევოლიუციამდე

ძველ დროს საძოვრები უმთავრესად ხაზინის საკუთრებას შეადგენდა; ამ საძოვრებით სარგებლობდენ ისეთი მესაქონლეები, რომლებსაც მუდმივი საცხოვრებელი ადგილები ჰქონდათ ან საზამთრო საძოვრების რაიონში,—და მაშინ ისინი საზაფხულოთ თავისი ჯოგით მიდიოდენ საზაფხულო საძოვრებზე, ანდა საზაფხულო საძოვრების რაიონში, და მაშინ საზამთროთ თავისი ჯოგით მიდიოდენ საზამთრო საძოვრებზე.

საძოვრებით სარგებლობის პროცესი თანდათან გამომუშავდა ამ საძოვრების მტკიცე განაწილება ზოგიერთი სოფლების მესაქონლეებს შორის. ამრიგათ, ეს საძოვრები თითქოს მიმაგრებული იყო ზოგიერთ შორეულ სოფლებზე, რომლებიც მესაქონლეობას ეწოდენ.

საძოვრებით სარგებლობენ სოფლის საზოგადოებანი, გლეხთა ამხანაგობანი და სრულიად უმნიშვნელო როლს თამაშობდენ ცალკე მსხვილი მესაქონლეები.

დასავლეთ საქართველოში თითქმის მხოლოდ საზაფხულო საძოვრებია. მათი უმეტესი ნაწილი ადგილობრივი მნიშვნელობისაა, რაც აიხსნება ტყიანობით და საზამთრო საძოვრების უქონლობით. ზამთარში საქონელს აძოვებენ სახნავ მიწებზე, ტყეში ან და ჭაობიან ადგილებში (ფოთის რაიონი).

საძოვრების გამოყენება

ჩვენი საზაფხულო და საზამთრო საძოვრების გამოყენება უახლოეს დროში და ყოველ შემთხვევაში უახლოესი 5 წლის განმავლობაში დარჩება ისეთი, როგორც აქამდე იყო; ამ საძოვრების სხვაგვარი გამოყენება, სახელდობრ საზამთრო საძოვრების მოხვნა სხვადასხვა კულტურებისათვის და ალპიური მეურნეობის მოწყობა საზაფხულო საძოვრებზე, ჯერჯერობით სრულიად დაუშვებელია.

ჩვენ ჯერჯერობით არ გვაქვს მეცნიერულად დამუშავებული მასალები იმისათვის, რომ ასე საფუძვლიანათ შევსცვალოთ ჩვენი მეცხვარეობა და სოფლის მეურნეობის სისტემა საქართველოს მთელ რიგ რაიონებში.

მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც მოხდება საძოვრების ბოტანიკური გამოკვლევა, როდესაც მოხდენილი იქნება ზოოტეხნიკური სადგურის ცდები და შედგენილი იქნება ჩვენი მესაქონლეობის რეორგანიზაციის გეგმა, მხოლოდ ამის შემდეგ გამოირკვევა, თუ როგორ შეიძლება რაციონალურათ შეცვლილი იქნეს ჩვენი საძოვრების გამოყენება.

ხუთწლიანი გეგმა

უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში ამ საძოვრების პატრონი, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, მიიღებს ზომებს მათ კეთილმოსაწყობათ. ამისათვის გატარებული იქნება მთელი რიგი ღონისძიებანი:

საძოვრების შესწავლა. საძოვრების საერთო რაოდენობიდან—740.000 დეს.—დღევანდლამდე შესწავლილია მხოლოდ 150.000 დეს., ამასთანავე ეს შესწავლაც არ ყოფილა სრული. რადგან არ მომხდარა მათი ბოტანიკური გამოკვლევა. მომავალში ამ შესწავლილ საძოვრებზე მოხდა დამატებითი ბოტანიკური გამოკვლევა, დანარჩენ 590.000 დესეტინაზე კი ყოველმხრივი

ამასთანავე მოხდენილი იქნება აგრეთვე საძოვრების შემოფარგვლა, დაცვა და გადახალისება.

ამას გარდა, თვითეულ რაიონში გამოყოფილი იქნება ტიპიური ნაკვეთი 10 დეს. სივრცით.

ამ საძოვრებზე მოხდება ცდები საძოვრების გადასახალისებლათ. ორი წლის შემდეგ შემოწმებული ხერხები გადატანილი იქნება საძოვრებზე და გატარებული იქნება, როგორც მასიური ღონისძიებანი.

აღნიშნული სამუშაო განაწილებულია შემდეგნაირათ:

1925—26 წ. მოხდება ორ-ორი ნაკვეთის გამოყოფა საზაფხულო და საზამთრო საძოვრებზე; 1926—27 წ. ჩატარებული იქნება ცდები სრული პროგრამით არსებულ ნაკვეთებზე და მოხდება სამ-სამი ნაკვეთის გამოყოფა საზაფხულო და საზამთრო საძოვრებზე; 1927—28 წ.—მოხდება 5.000 დეს. საზამთრო საძოვრების გადახალისება; 1928—29 წ.—5.000 დეს. საზამთრო საძოვრების გადახალისება; 1929—30 წ.—იგივე.

ჯანმრთელობის დაცვის საქმე პროვინციაში

ბორჩალოს მაზრა

ჯანსახკომის მიერ ბორჩალოს მაზრის გამოსაკვლევათ გაგზავნილი იყო საექიმო განყოფილების გამგე ამხ. გოცირიძე, რომელმაც უკვე დაამთავრა გამოკვლევა.

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. გოცირიძემ ჯანმრთელობის დაცვის საქმის მდგომარეობის შესახებ ბორჩალოს მაზრაში განაცხადა შემდეგი:

— უნდა აღინიშნოს, რომ მართალია საექიმო საქმე მაზრაში ვერ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული, მაგრამ მაინც გვაქვს დიდი მიღწევები იმ მდგომარეობასთან შედარებით, რომელიც იყო ორი-სამი წლის წინათ.

მაგრამ დიდ მიღწევებთან ერთად შემჩნეულია დიდი ჩამორჩენილობაც. ამას თავი ვერ დააღწია ვერც ლიუქსემბურგმა. აქ ცხოვრობენ გერმანელები, რომლებიც უფრო კულტურული ხალხია; ისინი, საცხოვრებელი ბინების მოწყობის დროს, ცდილობენ დაიცვან ჰიგიენა, მაგრამ ამ მხრივაც ყველაფერი ვერ არის რიგზე. კაპიტალური შენობების აგების დროს ისინი აკეთებენ პატარა ფანჯრებს, რომლებშიაც სრულიად ვერ გადის მზის სხივები. არ არის კეთილმოწყობილი ფეხსადგილები და სხვა. მტვერს და ნაგავს შეხვდებით ყველგან.

ასეთივე ანტისანიტარულ მდგომარეობაშია მაზრაც, რომელშიაც ძლიერ გავრცელებულია კანის სნეულებანი. ჯანსახკომმა მიიღო რა მხედველობაში მაზრის ასეთი მდგომარეობა, გახსნა იქ აბანო ტანისამოსის დეზინფექციით, მაგრამ, სამწუხაროთ, ეს აბანო სათანადოთ ვერ მუშაობს. ჯანსახკომმა დაკარგა კავშირი ამ საქმესთან და აბანო ამჟამად რაიონის ხელშია.

ჯანსახკომის მეორე მიღწევათ უნდა ჩაითვალოს სანიტარულ-განმანათლებელი ქოხის მოწყობა. მაზრაში არის ვენერიული ამბულატორიაც, რომელსაც ინახავს ჯანსახკომი და რომელიც სამსახურს უწევს მოსახლეობას უფასოთ.

რაც შეეხება საექიმო ქსელს, უნდა ითქვას, რომ მაზრაში არის 11 საექიმო პუნქტი (მეფის მთავრობის დროს იყო ერთი), ერთი სამაზრო საავადმყოფო, ორი კბილის საექიმო კაბინეთი, ორი ნორმალური და 9 საპუნქტო აფთიაქი. ამასთანავე მაზრაში არის 15 ექიმი და სამი ბებია.

სამაზრო საავადმყოფო შეკეთებულია და თუმცა მისი შენობა სავსებით გამოსადეგი არ არის საავადმყოფოსათვის, მაგრამ ის მაინც აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებებს. საექიმო პუნქტების შენობა უვარგისია.

ჯანსახკომის მიერ ბორჩალოს მაზრისათვის შესყიდულია ინსტრუმენტები და შეძენილია ბახის ლამფა [illegible] საექიმოთ, მაგრამ საჭირო დაჭიმვის ნაკადის უქონლობის გამო ლამფა არ მუშაობს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აღმასკომის კარგი დამოკიდებულება ჯანმრთელობის დაცვის საქმისადმი. ფართო საექიმო დახმარებით სარგებლობს სოფლის მოსახლეობაც. აღმასკომი ყველაზე მეტ ყურადღებას აქცევს ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას და ხარჯთ-აღრიცხვის შესრულება აღწევს 80 პროცენტს, იმ დროს, როდესაც სახალხო განათლების დარგში ხარჯთ-აღრიცხვა სრულდება მხოლოდ 50 პროცენტით.

წალკის რაიონული საავადმყოფოს გახსნა

წალკა ერთი უდიდესი რაიონთაგანია თბილისის მაზრაში, იქ შედის რამოდენიმე სოფელი და ითვლება სულ 42.000 მცხოვრები.

ამ რაიონში არსებობდა მხოლოდ ორი საექიმო პუნქტი: ერთი ზემო და მეორე ქვემო წალკაში. ეს ორი პუნქტი მცხოვრებთა სამკურნალო მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა, რის გამოც ავადმყოფები მოჰყავდათ თბილისში ან მანგლისში საექიმოდ.

წალკაში საავადმყოფოს გახსნის საჭიროებას მხურვალედ გამოეხმაურა თბილისის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ლ. სუხიშვილი და მისი უდიდესი დახმარებით გადაწყდა და აშენდა საავადმყოფო აღნიშნულ რაიონში.

საავადმყოფო აშენებულია სოფ. გუნია-კალაში, ძველი სკოლის შენობაში, რომლის გადაკეთებას დასჭირდა 10.000 მანეთი. საავადმყოფო შეიცავს 22 ოთახს და შიგ მოთავსებულია 17 საწოლი: 5 ქალთა და 5 კაცთა საერთო განყოფილებებში, 5 სამშობიარო განყოფილებაში და 2 საიზოლიაციოში. საავადმყოფოში გახსნილია კაბინეტები: ტერაპევტიული, სავანო-გინეკოლოგიური, ვენერიული და კბილის საექიმო. იქვეა ექვსი ოთახი საექიმო პერსონალისათვის საცხოვრებლად. შენობა ქვისაა, სავსებით აკმაყოფილებს საავადმყოფო მოთხოვნილებებს. მომავალში განზრახულია მისი კიდევ უფრო გაფართოება და ქირურგიული განყოფილების გახსნა.

საავადმყოფოს საზეიმო გახსნა მოხდა 9 აგვისტოს. გახსნას დაესწრენ ცენტრიდან: ამხ. ლ. სუხიშვილი, სიხარულიძე, კამატოვი, სოსიაშვილი, დევიძე—თბ. მაზრის ჯანმრთ. ინსპექტორი, ქალთა განყოფილების გამგე—კიდაიში და ყველა ადგილობრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მისალმებელი სიტყვებით გამოვიდენ, როგორც ცენტრიდან ჩამოსული ამხანაგები, ისე ადგილობრივი მუშაკებიც, რომელთაც აღნიშნეს უდიდესი მნიშვნელობა საავადმყოფოსი წალკის რაიონისათვის.

ზეიმს აუარებელი ხალხი დაესწრო ვინაიდან უმთავრესი ინიციატორი საავადმყოფოს დაარსებისა არის ამხ. ლ. სუხიშვილი, ამისათვის ყველა დამსწრეებმა გამოსთქვეს სურვილი, გლეხებმა ოფიციალური მოთხოვნილებაც კი წაუყენეს, რომ საავადმყოფოსთვის ეწოდებიათ ლ. სუხიშვილის სახელი, რაც დაკმაყოფილებული იქნა.

ასეთივე საავადმყოფოს გახსნა თბილისის აღმასკომს განზრახული აქვს ერწო—თიანეთის რაიონში.

ექიმბაშობა და მასთან ბრძოლა

რა არის ექიმბაშობა და რა ზარალი მოაქვს მას.—აშკარა და ფარული ზარალი.—ძველი მედიცინის და საბჭოთა მედიცინის დამოკიდებულება ექიმბაშობისადმი—ექიმბაშობასთან ბრძოლის ზომები.—რა კეთდება საქართველოში ექიმბაშობასთან ბრძოლის სფეროში.

ჩვენს თანამშრომელს ჯანსახკომის სამკურნალო განყოფილების გამგემ—ექიმმა გოცირიძემ მკითხაობის მდგომარეობისა და მასთან ბრძოლის შესახებ აცნობა შემდეგი:

— მკითხაობა არის ნაშთი წინაისტორიული ხანისა, როდესაც არ იყო მეცნიერული მედიცინა და როდესაც ექიმობას ჩემულობდა ყველა. შემდეგ თანდათან გაჩნდნენ სპეციალისტები, რომლებიც სპეციალურათ ეწეოდენ ექიმობის საქმეს; ასეთი იყვნენ მაგ. დალაქები, რომლებიც ყველგან ქირურგიის დარგში მუშაობდენ.

ამ ჟამად მეცნიერული მედიცინის გაჩენის შემდეგ, რომელმაც მიიღო მემკვიდრეობათ ყველაფერი ის, რაც კი ძვირფასი იყო სახალხო მედიცინაში, დალაქების საჭიროება უარყოფილია.

ფიქრობენ, რომ თუ მოწყობილი იქნება საკმარისათ უფასო საექიმო დახმარება, ამით სასიკვდილო ლახვარი ჩაეცემა ექიმბაშობას, რომელიც უმეტეს შემთხვევებში, ხმარობს რა ცუდათ მომქმედ საშუალებებს, ზიანს აყენებს ავადმყოფთა ორგანიზმს.

ექიმბაშობას ორგვარი ზარალი მოაქვს:—პირდაპირი და ფარული. პირდაპირ ზიანს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც „ექიმობის“ შემდეგ ავადმყოფის მდგომარეობა გაუარესდება. ამას გარდა არის სიკვდილის შემთხვევებიც, როდესაც ავადმყოფს აძლევენ წამალს დიდი დოზით.

აქვე უნდა აღინიშნოს სულით ავადმყოფთა „ექიმობის“ ბარბაროსული საშუალებანი. ექიმბაშები ამ შემთხვევაში უმეტესათ მიმართავენ შეშინებას და ამისათვის სულით ავადმყოფებს აგდებენ თხრილებში, გადაკიდებენ ხოლმე უფსკრულზე, უეცრად გადააგდებენ ცივ წყალში და სხვა.

ფარული ზიანი მდგომარეობს იმაში, რომ ავადმყოფს და ექიმს შორის გაჩნდება ექიმბაში, რომელსაც ან არავითარი სარგებლობა არ მოაქვს ავადმყოფისათვის ანდა ამძიმებს [illegible] მის მდგომარეობას, რომ ამის შემდეგ ექიმს აღარაფერი რჩება გასაკეთებელი.

რაც შეეხება მედიცინის დამოკიდებულებას ექიმბაშობისადმი უნდა ითქვას, რომ ძველ დროს ყველას შეეძლო დახმარების გაწევა ავადმყოფისათვის, მხოლოდ საჭირო იყო, რომ წამლად ნახმარი არ ყოფილიყო საწამლავი. შეიძლებოდა ექიმობა „წმინდა წყლით“, რომელსაც, რასაკვირველია, არავითარი ზიანი არ მოჰქონდა, მაგრამ არც ეხმარებოდა ავადმყოფს.

საბჭოთა მედიცინის დამოკიდებულება სულ სხვაგვარია. საბჭოთა მედიცინა არა მარტო მკურნალობს ავადმყოფობას, არამედ ცდილობს მოსპოს ავადმყოფობის საფუძველი, გააჯანსაღოს საზოგადოება, ყოფა-ცხოვრება და შრომა; ეს კი შესაძლებელია მხოლოდ თვით მშრომელთა აქტიური მუშაობით.

ექიმბაშობასთან ბრძოლის ძირითადი ღონისძიებებია: ფართო საექიმო ქსელის მოწყობა ისე, რომ საექიმო დახმარება დაუახლოვდეს მოსახლეობას. ამავე დროს საჭიროა სანიტარულ-განმანათლებელი მუშაობის წარმოება მოსახლეობის შორის.

სამწუხაროდ, კანონში ჯერ არ არის პირდაპირი მუხლი, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდეს დასჯა უკანონო ექიმობისათვის, მაგრამ ჯანსახკომი იმუშავებს იუსტიციის კომისარიატთან შეთანხმებით პროექტს ცირკულარისას კოდექსის მუხლების გამოყენების შესახებ უკანონო მკურნალობისა და მკითხველობისათვის

რაც შეეხება საქართველოს, აქ ექიმბაშობას საკმაოთ მტკიცე ნიადაგი აქვს. ამრიგად ყველაფერი დამოკიდებულია ხელისუფლების ორგანოების ენერგიაზე და ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულ მომზადებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ მაზრებში ჯანსახკომის ადგილობრივი ორგანოების მუშაობის წყალობით ექიმბაშობა თითქმის მოისპო. საქართველოს ჯანსახკომი მომავალშიაც ენერგიულათ იბრძოლებს ექიმბაშობის წინააღმდეგ და უნდა ვიფიქროთ, რომ ახლო მომავალში ექიმბაშობა საქართველოში მოსპობილი იქნება.

მუშათა ცხოვრება

რაც გვეკუთვნის, ჩვენც მოგვეცით.

(შინაგან საქ. სახკომატის საყურადღებოთ).

ჩვენ ვმსახურობთ დუშეთის საპატიმრო სახლის ზედამხედველებათ რიცხვით ექვსი კაცი და ვღებულობთ ჯამაგირს—უფროსი 21 მ. 70 კ., უნცროსი 19 მ. 60 კ. იმ დროს, როდესაც სამაზრო მილიციონერები ღებულობენ გაცილებით მეტს. 1925 წ. 1 მარტამდე ჩვენ ვღებულობდით ერთნაირათ, მაგრამ, როდესაც მილიციონერებს 1 მარტიდან მოუმატეს, ჩვენ მომატებაზე უარი გვითხრეს და გვაძლევენ დღესაც ძველ ჯამაგირს. 1924 წლის ნოემბერში სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ იყო დადგენილი, რათა ჯამაგირები ჩვენი და მილიციონერების ყოფილიყო გათანასწორებული და კიდევაც 1-ლ მარტამდე 1925 წლამდე გვაძლევდენ ერთნაირათ, ამასთანავე არის ბრძანება და მოწერილობა შინაგან საქმე სახალხო კომისარის ამხ. მათიკაშვილის, 1 ივლისიდან 1925 წ. № 10913, რათა ჩვენი ჯამაგირი გათანასწორებულიყო 1 მარტიდან 1925 წ. ჩვენ მივმართეთ სამაზრო აღმასკომს და მილიციას, რათა დავეკმაყოფილებინეთ ამ მხრივ პირველ მარტიდან,—მაგრამ ორივესგან უარი მივიღეთ...

რაშია საქმე?!

ამხანაგების მინდობილობით უფრ. ზედამხედველი ბ. კაზალიშვილი.

აქაც სპეკულიაციამ თავი იჩინა

(სანიტარულ კომისიის საყურადღებოდ)

ამ საშინელ სიცხე-პაპანაქებით სარგებლობენ, ათას ჯურის სპეკულიანტები დააქვთ ლიტრებით წყალი ქუჩებზე. ლიტრები ძალიან უსუფთაოდ გამოიყურებიან. ყველგან ბუდკებშიც მიჰყვეს ხელი ვაჭრებმა წყლით ვაჭრობას. წყლის სისუფთავეზე არავინ ზრუნავს.

მუშები და ღარიბი მოსახლეობა ძალიან ეტანებიან იაფ-ფასიან წყლებს და მოსალოდნელია რაიმე ავადმყოფობის გავრცელება.

სანიტკომო, საჭიროა ფხიზელი თვალი.

მუშკორი—გაზელი.

ბევრია და ცუდია

(საქ. პროფკავშირთა საბჭოს საყურადღებოდ)

სანატორია არაზინდოს ორი ნაკლი აქვს: პირველი რომ სამეურნეო ნაწილის გამგე თავის ადგილას არ არის, ვინაიდან ის კარგად ვერ იცნობს მხარეს, ბაზარს და სანოვაგის ღირსებას, როგორც ეს შეეფერება ისეთ დიდ სანატორიას, როგორიც არის არაზინდო. ამის გამო სანატორიაში ხშირად ისეთ სანოვაგეს ნახავთ, რომ ავადმყოფნი ვერ სჭამენ და ხალხის ამაგი სანაგვეში იყრება. ხშირად ყველი გამოფიტულ ყურუთს (დო) მოგაგონებს.

ხორცზე ხომ ლაპარაკიც მეტია; იშვიათი შემთხვევაა, რომ მსუქანი ხორცი მოიტანოს, რის გამო ექიმებსა და გამგეს შორის მუდამ დავა არის.

მზარეულებისაგან ხომ ღმერთმა შეგინახოთ. თვით სანოვაგე ვერ არის კარგი ღირსებისა და მზარეულნიც ისე ამზადებენ მას, რომ ავადმყოფებს მადას უკარგავს; ვერა სჭამენ ხშირად უგემურად მომზადებულ საჭმელებს და საძაღლ-ღორე ხდება, რომლის მნახველს გული მტკივა, რომ სახალხო ქონება ასე ილუპება.

გვიკვირს, რომ სანატორიებში და დასასვენებელ სახლებშიც ყოფილა ასეთი დაუნდობლობა სახალხო კაპეიკებისა.

მუშა—შავთვალა.

გამოგზავნილი წერილებიდან

ლოთობს და ჩხუბობს

(მიწათ-მოქმედების სახ-კომატის საყურადღებოდ)

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ბოტანიკურ ბაღში უბრალო მუშად დაინიშნა ვინმე ლადო დავითაშვილი. პირველად დავითაშვილი კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას, ამ ბოლო ხანებში კი ის სრულიად შეიცვალა: დაიწყო ლოთობა, ჩხუბობს ბაღში მომუშავეებთან და უზნეო ცხოვრებასაც ეწევა.

ყური აუწიეთ.

მუშკორი—თავთავი.

ამ უწესრიგობას ბოლო უნდა მოეღოს.

(რკ. გზის სამმართველოს და ხაუზკავშირის საყურადღებოდ)

პირდაპირ საშინელ მდგომარეობას განიცდის მგზავრი კახეთის გზაზე. კახეთის მატარებელს ყოველთვის და განსაკუთრებით კვირა—უქმე დღეებში აწყდები აუარებელი მუშა და გლეხი. ბილეთები იყიდება ყველაზე უთავბოლოდ, მიუხედავად მატარებლის ტევადობისა; ამიტომ მგზავრი არა თუ დასაჯდომ—დასადგომ ადგილსაც ვერ პოულობს; კონტროლიორებსაც ვერ გაუვლიათ ვაგონებში. ამ გზაზე მგზავრობა პირდაპირ აუტანელია.

მიიღეთ გადამჭრელი ზომები.

მუშა—მგზავრი.

მადლობა ასეთ მუშა-მასწავლებელთ.

ა. | კ. რკ. გზის საკავშირო და საელექტრო-ტეხნიკურ დარგში დაარსდა კუთხე, სადაც კვირაში ორჯერ მეცადინეობენ პოლიტიკურ საგნებზე ჩვენი მუშები ქართულ და რუსულ ენებზე. პოლიტსწავლა-განათლების საქმეს აქ ხელმძღვანელობენ ამხ. ცატუროვი და მარშანია. მათი საქმისადმი სიყვარულით მსმენელთადმი მოპყრობით და საგნების მდაბიო ახსნა-განმარტებით ჩვენი მუშები მეტად კმაყოფილი არიან.

მადლობა ასეთ მუშაკებს.

მუშკორი—შუშა.

რკინის გზებში

— **საბინაო კოოპერატივი.** სამტრედიაში დაარსდა რკინის გზის საბინაო კოოპერატივი (შრომა). აგვისტოს პირველ რიცხვებში მოწვეულ წევრთა საერთო კრებაზე მოხდა გამგეობის გადარჩევა რომელშიაც შედის სამი კაცი.

— **სპეც-ტანისამოსების ნორმა** ა | კ. საგზაო-კომიტეტმა გაუგზავნა ყველა საუბნო პროფკავშირებს სპეცტანისამოსების ნორმა დამტკიცებული 1925-26 წლ.

1.000 მან. ა | კ. საგზაო კომიტეტმა გაიღო 1000 მანეთი ვაგონ ბიბლიოთეკებისათვის ლიტერატურის შესაძენათ.

ექსპედიცია იალბუზზე

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ექსპედიციის უფროსისაგან ინჟ. გიორგი ნიკოლაძისგან მივიღეთ ურუსბიევიდან შემდეგი ცნობები:

ურუსბიევი, 5 აგვისტო, საღამო. ეს არის მოვედით აქ ფეხით კისლოვოდსკიდან, 4 დღეში 130 ვერსი გავიარეთ, ასვლის დაწყებამდე კიდევ 30 ვერსი დაგვრჩა აზაუმდე. ღამეს ველში ვათევდით, თან წამოღებულ კარვებში მორიგეები თოფებით გვიდარაჯებდენ. ცეცხლი გვენთო. ვიკვებებით კონსერვებით, ზოგჯერ წვენს ვხარშავთ მინდორში დანთებულ ცეცხლზე.

აქ ძალიან კარგად დაგვხვდენ, ოთახები მოგვცეს. აღმასკომის თავჯდომარე აზაუში მოგვყვება იალბუზზე გამყოლების დასაქირავებლად.

გამოვლილი ბაქსანის ხეობით სილამაზით და მეცნიერული ინტერესით აღტაცებული ვართ. ურუსბიევში რამდენიმე სვანის ოჯახი დაგვხვდა; ამ ზაფხულში კიდევ 8 ოსი და 12 რაჭველი ჩამოსულა. მოსახლეობამ ძალიან კარგად მიგვიღო და დაინტერესებულია ჩვენი ასვლით. ასვლის სვლიგეზი (მარშრუტი) ასეთი გვაქვს დასახული თუ ავდარმა არ შეგვაცვლევინა (დღეს ძალიან გაწვიმდა): აზაუში ხვალ მივალთ და შევისვენებთ. იქიდან ავალთ „კრუგოზორზე“. კრუგოზორიდან ნახევარ დღეში ავალთ „თერთმეტის ნაბინარზე“. იქაც შევისვენებთ საღამომდე და ღამის 2 საათზე დავიწყებთ მწვერვალზე ასვლას, საიდანაც საღამოს უნდა „კრუგოზორზე“ დავბრუნდეთ, იქიდან კი მეორე დღეს ქვეით ჩამოვალთ, თუ ავდარმა ხელი არ შეგვიშალა. თუ არა და სადმე აზაუს ზევით მოგვიხდება ცდა. ყველანი კარგად ვართ:

ამ ცნობის მიღების შემდეგ, რედაქციამ მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა ექსპედიციის ხელმძღვანელისაგან:

„კარგათ ვართ, ამით უცდით თერთმეტის ნაბინარზე“.

საბჭოთა სასამართლო

იშვიათი ბოროტმოქმედება

ათასობით მოზღვავებულ ხალხს ველარ იტევს სურამის საზაფხულო თეატრი. აღმოსავლეთ-საქართველოს ოლქის სასამართლოს სხდომა თითქმის დღე და ღამე გრძელდება. ირჩევა იშვიათი ბოროტ-მოქმედების ხასიათის საქმე.

იულია ჩაგროვისას, რომელიც არა ერთხელ ყოფილა შემჩნეული თავის გარყვნილობით და უზნეო ყოფაქცევით, ბრალად სდებენ თავისი ქმრის, ალექსანდრე ჩაგროვის მოკვლას და იქვე მახლობელ ფეხსადგილში ჩაგდებას. ამ ქალბატონს წინათაც მრავალი „შინაური“ კაცები ყოლია. ამ ბოლო ხანებში, 1924 წლის ზაფხულში, მას აუჩენია ახალი მეგობარი კირილე ხუნწარია, სამხედრო პირი, მე-2 ლეგ. უმცროსი მეთაური.

იულია ჩაგროვისას ადრინდელ შინაკაცებთან ჰქონია ლაპარაკი, რომ მას განზრახვა აქვს მოკლას თავისი ქმარი. მაგრამ ეს ვერ მოხერხებულა.

ჩვეულებისამებრ ასეთივე წინადადებით მიუმართავს მას ახალ „სატრფოს“ ხუნწარიასთვისაც. მასთან ერთად ეს განზრახვა სისრულეში მოუყვანიათ აღდგომა ღამეს, 1925 წ. 19 აპრილს.

ამ დღისათვის იულია ჩაგროვის ქმარი შვებულებით ჩამოსულა სახლში ცოლშვილის სანახავად.

გამხეცებულ ჩაგროვას და ხუნწარიას არ უკმარებიათ ადამიანისათვის სიკვდილით დასჯა. მეორე ღამეს (მთელი დღე მიცვალებული სახლში ჰყოლიათ) გაუხვევიათ ფარდაგში და ჩაუგდიათ იქვე 20—25 ნაბიჯის მოშორებით ფსიქიატრულ ახალშენის უზარმაზარ ფეხსადგილში.

გამომძიებლის წინადადებით ეს ფეხსადგილი დაცლილი იქნა (ვინაიდან ხმები იყო რომ იქ იყო ჩაგდებულია მიცვალებული) და სიბინძურეში აღმოაჩინეს ალექსანდრე ჩაგროვის გვამი.

სასამართლომ იულია ჩაგროვისას და კირილე ხუნწარიას ბრალდება დამტკიცებულად ჩასთვალა, რისთვისაც მიუსაჯა 10 წლით გამასწორებელ სახლში ჯდომა, სასტიკი იზოლიაციით და 5 წლით მოქალაქეობრივი უფლების აღკვეთა.

ხალხი ძალიან კმაყოფილი დარჩა საბჭოთა სასამართლოს ასეთი განაჩენით.

ი. გაგოშიძე.

ქრონიკა

— **სავეტერინარო-ბაქტერიოლოგიურ სადგურის** მომავალ წელში შესანახად და მუშაობის გასაფართოებლად, მიწად-მოქ. სახ. კომისარიატმა მთავრობისაგან გამოითხოვა 63 ათასი მანეთი.

— **მეფუტკრეობის გასაფართოებლად.** სასოფლო-სამეურნეო ბანკმა თელავის მაზრის მეფუტკრეებს შორის სესხის სახით გაანაწილა 6 ათასი მანეთი.

— **თამბაქოს გასაღება.** ა.-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარ-გარეთ გასატანად დაამზადა 46 ათასი ფუთი თამბაქო.

— **სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა რიცხვი** აჭარაში ამ ჟამად აღწევს 26-მდე, რომლებშიაც გაერთიანებულია 4 ათასი გლეხი.

— **შემნახველი სალაროები.** ამ ჟამად ამ.-კავკასიაში ითვლება 223 შემნახველი სალარო 6019 წევრით. აქედან მარტო საქართველოშია 127 შემნახველი სალარო.

— **გლეხთა ცენტრალური სახლი** თავის განყოფილებებს ხსნის საბურთალოში, კახეთის მოედანზე და ჩერქეზიშვილის ქუჩაზე.

— **ქალაქის გამშვენიერება.** ქ. კეთილ-მოწყობის განყოფილებამ მიმდინარე საანგარიშო წელში ქალაქის გასამშვენიერებლად და ქუჩების შესაკეთებლად დახარჯა 800,000 მანეთამდე.

— **სანიტარულ-ტეხნიკურ** განყოფილებას ამ ჟამად მადათოვის კუნძულზე გაყავს თხრილი მტკვარის შანების მიმდინარეობის მისაცემად.

— **ქ. სასაკლაოზე.** ივლისში მორეკილი იქნა 13,900 სული საქონელი, დაიკლა 11,908 სული.

— **ავჭალის წყალსადენმა** ივლისში ქალაქს მიაწოდა 40,445,740 ვედრო წყალი, 2,000,000 ვედროთი მეტი ივნისთან შედარებით.

— **ტრამვაის დირექცია** ამ დღეებში შეუდგება რუსთაველის პროსპექტზე ტრამვაის ახალი ლიანდაგის დაგებას.

— **წყალსაზომების შესაძენად** წყალსადენი მთავარი ინჟინერი დიასამიძე გაემგზავრა მოსკოვს.

— **მგზავრების გადაყვანა.** ივლისის განმავლობაში თბ. ტრამვაიმ გადაიყვან-გადმოიყვანა 2,971,444 მგზავრი.

— **ნაძალადევში** ქ. კეთილ-მოწყობის განყოფილებამ მოკირწყლა 12 ქუჩა სიგრძით 12,000 კუბიკური საჟენი.

— **რევოლიუციის მებრძოლთა დასახმარებლად** საქ. რემედასის ცენტ. კომიტეტმა გაუგზავნა რემედასის აღმასკომს 5 ათასი მანეთი.

— **შეფობის მიღება საბერძნეთის ციხეზე.** საქ. რემედასის ცენტრ. კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა რემედასის აღმასკომის წინაშე, საბერძნეთის რომელიმე ციხეზე შეფობის მიღების შესახებ პოლიტიკურ პატიმართათვის დახმარების გაწევის მიზნით.

— **დასახიჩრების გამო დროებით** უნარდაკარგულებს თბ. დამზღვევ კასამ ივლისში მისცა 1672 მან.

— **თბ. დამზღვევ კასამ დაზღვეულებზე** რძისა და დასამარხ ფულად გასცა 27, 599 მან.

— **[illegible] მუშების ჯანმრთელობის გამოკვლევა.** სამეცნიერო ექსპედიცია, რომელიც იკვლევდა ტყიბულის მაღაროებს მუშების ჯანმრთელობას, ამავე მიზნით გადავიდა ჭიათურაში.

— **საქ. ცაკის დადგენილების** თანახმად, მიწად-მოქ. სახ. კომისარიატი ამ ჟამად იმუშავებს დებულებას ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების გამოყოფისა და გლეხებისათვის გადაცემის შესახებ.

— **მუზეუმში.** რაჭის მაზრის ხე-ტყის დამამზადებელმა განყოფილებამ სახელმწიფო უნივერსიტეტს სატყეო მუზეუმისათვის გადმოუგზავნა უზარმაზარი სოჭის ხის მორები, სისქით 35 გოჯი, ხნოვანებით 350 წლის.

— **საავადმყოფოს შეკეთება.** ჭიათურის შავი ქვის სამმართველო შეუდგა მაღაროს მუშათა საავადმყოფოს საფუძვლიან შეკეთებას.

შემთხვევები

— **დახრჩობა.** 15 აგვისტოს მტკვარში ბანაობის დროს დაიხრჩო ვასილ გლონდიშვილი

— **შეპყრობა.** 15 აგვისტოს საღამოს შეიპყრეს ჯიბგირი აბას ალი აბასოვი.

— **იმავე დღეს** ეჭვით შეიპყრეს მოქ. თომა მაჭავარიანი, რომელსაც ბრალდება უნივერსიტეტის ქუჩაზე მცხოვრებ ალ. კიკნაძის და ალ. ქინქაძის ბინის გაქურდვა.

— **ძარცვა.** 16 აგვისტოს ღამით პლეხანოვის პრ. № 941 მოქ. ანნა აგაჯანოვი უცნობმა ორმა სტუმარმა დანით დასჭრეს და გაიტაცეს საფულე.

— **ქურდობა.** 15 აგვისტოს [illegible] ქ. № 44 [illegible] ლაკიანის ბინიდან მოიპარეს 300 მან.

— 14 აგვისტოს ასიტროპის ქ. № 20 სახლში არყოფნის დროს გაქურდეს კირილე ჯოჯუას ბინა. წაიღეს 97 მანეთის ნივთები

სოფლად

პირველი კონფერენცია

(წერილი ა. სენაკიდან)

სახელმწიფო სტატისტიკის მთავარ ბიუროს მაზრის სხვა და სხვა კუთხეებში გაფანტული მოხალისე კორესპონდენტები წარმოადგენენ. ისინი სისტემატიურად აწვდიან ცნობებს ცენტრ. სტატ. სამმართველოს ადგილობრივ ორგანოებს—სტატბიურებს.

სენაკის სტატბიუროს კარგა ხანია განზრახვა ჰქონდა მოხალისე კორესპონდენტები შეეკრიბა და მათ მუშაობისათვის უფრო გეგმაშეწონილი და შეთანხმებული ხასიათი მიეცა.

ამ მიზნით 9 აგვისტოს შეიკრიბა მოხალისე კორესპონდენტთა პირველი სამაზრო კონფერენცია, რომელზედაც გამოცხადდა მოწვეულთა 80 პროც. რიცხვით 32 კაცი. შემადგენლობა ასეთი იყო: ქალი 1, მამაკაცი 31. მასწავლებელი 18, მოსამსახურე 5 და მეურნე 9.

მომხსენებელმა სტატისტიკის მნიშვნელობის და ამოცანების შესახებ ამხ. შენგელაიამ განმარტა, რომ სას. სამეურნეო დარგის შესაფერ დონეზე დასაყენებლად დიდი როლი უნდა ითამაშონ მოხ. კორესპონდენტებმა და საექსპერტო კომისიებმა.

კამათის დროს მოხალისე კორესპონდენტები მოითხოვდნენ, წიგნების ბროშიურების, დღიურების ჩასაწერ რვეულების და ფანქრების დარიგებას. მაგრამ რაც უფრო მნიშვნელოვანია კორესპონდენტებმა აღნიშნეს მთავარ პუნქტში მეტეოროლოგიური სადგურების გახსნის საჭიროება და მეტეოროლოგიური იარაღების დარიგების აუცილებლობა მოხკორებისათვის.

დასასრულ დარიგდა სხვა და სხვა სამეურნეო ბროშიურები და კონფერენცია დაიხურა იმავე დღის საღამოს 5 საათზე.

ბ. უჩანეიშვილი.

რაჭის სოფლებში

ზეთიანი კუთხე

რაჭის მაზრაში არის ერთი სოფელი—ტოლა. ისე წელიწადი არ გასულა, რომ აქ ე. წ. „ტოლის დუქნებზე", მკვლელობა არ მოხდეს.

მაგალითი: 6 აგვისტოს ქუთაისიდან ამოიარეს იმერელმა მეურმეებმა, რომელთაც საქონელი მიჰქონდათ ონის კოოპერატივისათვის და კურორტ შოვზე. მეურმეები გაჩერდნენ ერთ-ერთ დუქანში, დაისვენეს და შეუდგნენ სადილის ჭამას. გადაჰკრეს „კურთხეულიც" და შეეჯიბრნენ ერთმანეთს ბოთლების მოყუდებით გამოცლაში. შემდეგ მოუვიდათ ჩხუბი.

მთვრალი მეურმეები ველარ არჩევდნენ თუ ვის სცემდნენ და ვის ეხმარებოდნენ. ადგილობრივ ალმასკომის თავმჯდომარემ მოინდომა მათი გაზავება, მაგრამ კინაღამ იმასაც მიაყოლეს. აქ მან თოფი მოიშველია და ლატაკი გლეხი მეურმე, გვარად ხუციშვილი ტყვიით განგმირა.

ხუციშვილს, როგორც ამბობენ სახლში ყოლია შესანახი 8 სული. წამოსვლის წინ მას მეზობლისაგან უსესხებია 5 მანეთი და დაუტოვებია სახლში სიმინდის სასყიდლათ... ნასროლი ტყვიით დაიჭრა აგრეთვე სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდა მოწაფე შიშინაშვილი.

ამ საქმის გამო უკვე სწარმოებს გამოძიება. საჭიროა მკაცრათ დაისაჯონ დამნაშავენი და აიკრძალოს დუქნებში სათრობათ ღვინის გაყიდვა და არღნების ჭყრიალი.

გლეხებს სურთ ეკლესია გახსნან... მაგრამ გამოჩენილა ერთი საეჭვო ყოფა-ქცევის ვაჟბატონი, რომელსაც უნდა ნდობა დაიმსახუროს, რომ მიიღონ კომპარტიაში და გლეხებს ემუქრება ვინც ეკლესიას მოინდომებთ, იმას შემოგაწერთ ბევრ გადასახადს. ერთი სიტყვით „ცაც, თორემ დედას გიტირებთო". ამბობენ ამ ვაჟბატონმა მართლაც ბევრს აუტირა დედაო. სადაა სამაზრო ალმასკომი, რატომ არ ამოსდებს ამნაირ ელემენტებს ლაგამს?

ჭრებალოში

იშვიათი მდებარეობა აქვს ამ დაბას. იგი გაშენებულია ანკარასავით მოჩუხჩუხე მდ. ასკის და რიონის შესართავთან, რაჭა-ლეჩხუმის საზღვარზე. გეოგრაფიულათ და ეკონომიურათ, ეს დაბა უფრო რაჭას ეკუთვნის, მაგრამ რატომღაც იგი ადმინისტრატიულათ ლეჩხუმის მაზრაში შედის.

ჭრებალოსა და ქუთაისს შუა სწარმოებს ყოველდღიური მიმოსვლა ეტლებით... მაგრამ კიჰ, რა ეტლებია ეს ეტლები! დაიმტვრევი, დაიჩგრევი... ავადმყოფისათვის ამ ეტლებით მგზავრობა ხომ აუტანელია. ფული კი ბევრი მიაქვთ. იშვიათად შეხვდებით ისეთ ცუდლუტ მეეტლეებს, როგორც აქ, თუ გაიგეს რომ უსათუოდ უნდა წახვიდე, გაგტყავებენ სულით და ხორცით. ადგილობრივი ხელისუფლება კი ყურსაც არ იბერტყავს, რომ მადა შეუმციროს თავგასულ მეეტლეებს.

საჭიროა ლეჩხუმის ალმასკომმა თვალყური ადევნოს თუ რა ხდება ჭრებალოში. მაგალითად სამკითხველოს, როცა მის გამგეს მოისურვებს მაშინ აღებენ და კეტავენ, საავადმყოფოში ერთი ფერშლის მეტი არავინაა და სხვა.

ლ.

დედისფერულის ჩივილი

(ჯალაღალოს თემი, თელავის მაზრა)

სოფ. დედისფერული 30 კომლისგან შესდგება. მე მინდა მოვახსენოთ, თუ როგორი სისხლის პურის ჭამა აქვს იქაურ გლეხობას. აღმოსავლეთით, ზედ კარებზე დედისფერულს ქისტების სოფლები აკრავს, რომლებიც ფეხათ არ ატარებენ თავიანთ მამულებში, არც კაცს, და არც საქონელს.

დასავლეთით აქვს ატეხილი ტყიანი გორა, ფერდო ხრიოკებით, სადაც ზაფხულზე და შემოდგომით მტრის შიშით ვერც საქონელი და ვერც ადამიანი თავს ვერ შეჰყოფს; და თუ შევიდა, თავის ტკბილს ოჯახს კვლავ ველარ დაუბრუნდება.

წარსულ წლებში იყო ასეთი შემთხვევა: ამ ტყეში დაიჭირეს პირიქით ქისტებმა ორი ჩვენებური ბიჭები: ნიკო გორილაშვილი და ხთისო გახუაშვილი. დაჭერილი ბიჭები გარეკეს ტყვეთ, რომელთა პატრონებმაც დიდი წვალების შემდეგ ძლივს ცოცხლები დაიხსნეს, და მოიყვანეს სახლში. გარდა ამისა დედისფერულის სახნავი მიწები მარტო კლდიანი ფერდოებია, სადაც კაცითაც კი ძვირა მუშაობენ ადიან თოხებით სწვალობენ და სჩიჩქნიან, სადაც კი თოხის პირი მოეკიდება. ამავე დროს ამ ხეობაში მოიპოვება საკმარისი მიწა. სწორეთ დაიწყო აქ მიწის რეფორმის ჩატარება, ძალიან კარგი იქნებოდა, რომ სამაზ. მიწ. მოქ. განყოფილებამ და მაზ. ალმასკომმაც მიაქციონ სათანადო ყურადღება ამ გაჭირვებულ სოფელს. ან გადმოასახლონ, ანდა დასამუშავებელი მიწის ნორმა მიუზომონ ამავე ხეობაზე, სადაც ამაზე უკეთესი ალაგია.

გ. ქიშიკაშვილი.

წერილებიდან

მექრთამე თავმჯდომარე. ს. ორბვში (ლეჩხ. მ.) გლეხკომის თავმჯდომარეთ არის ვინმე გაბიძაშვილი. მასთან მივიდა გლეხი ქვარიანი სიღარიბის მოწმობის სათხოვნელად. თავმჯდომარემ მთხოვნელს მაგარი საყვედურით კუდგამოსკვნილი მათრახი უჩვენა. ეუბნებოდა, მე შენ გთხოვე მოგეცა შენი ტყიდან რამდენიმე ყავრის დასამაგრებელი და შენ მაშინ როგორ გაბედე უარის თქმაო.

ა. ორხველიძე.

სოფელი უხიდოთ. ს. სვირი უხიდობის გამო ეს ერთი ხანია დიდ განსაცდელშია. იყო შემთხვევა, როცა ღელარიც მოვარდნილმა წყალმა გაიტაცა მდ. ყვირილაზე ურმით გადამავალი გლეხი ჯულელი თავისი რძლით და ბავშვით. სოფელი სულ დასჩერებია წყალს და არჩევს მოხერხებულ დროს, როდესაც შესძლებს გაღმა გასვლას. ნეტავი როდის ეშველება ამ ხალხს და მოიფიქრებენ საერთო ძალით ხიდის აგებას?

გ. მიროტაძე.

კეთილსინდისიერი მუშაკი. თელავის მაზრის მივარდნილ პანკისის თემს ეწვია სახალხო მოსამართლე მიხ. ქურციკიძე. რვა დღის განმავლობაში მან უმდივნოდ მოახერხა 63 საქმის გარჩევა. მიუხედავად საქმეების სიმრავლისა ამხ. ქურციკიძემ ზოგიერთ გაჭირვებულ ქვრივ-ობლების საქმეები აქვე შეადგინა და გაარჩია. გარდა ამისა ის თავისუფალ დროს, რომელიც კი რჩებოდა საქმის გარჩევიდან, ანდომებდა გლეხებთან საუბარს და იურიდიულ ხასიათის ახსნა-განმარტებას. პანკისელები მეტად კმაყოფილი დარჩნენ ამხ. მ. ქურციკიძის მუშაობით.

გ. ქიშ—ლი.

რას უცდის გზის კომისია? სოფელ ბოსლევის (შორ. მ.) თემსაბჭოს ჰყავს საგზაო კომისია. გზები იმდენად დაზიანებულია ჩვენში, რომ მათ ამბავს ნუ იკითხავთ, ეხლა გლეხები შედარებით მოცლით არიან. თუ შემოდგომამდე არ შეკეთდა გზა, მერე ამას ხელს შეუშლის ამინდიც და უცაცობა. რას ელოდება ჩვენი კომისია?

თ—ა.

უვარგისი სასადილო. როხნწყედდის გლეხკომს აქვს სასადილო. მაგრამ ასეთ ქონებას არქონება ბევრათ აჯობებდა. მიუხედავად იმისა, რომ სასადილო ყოველივე გადასახადისაგან თავისუფალია, ის კერძო პირებზე უფრო შეღავათიან ფასებში არ გვკვებავს. გარდა ამისა სასადილოში არის საშინელი სიბინძურე. ბუზები პირში ლუკმის ჩადებას არ გაცდიან. პური, რომელსაც კერძოთ ერთად მოგიტანენ, იწონის ექვს მისხალს და ღირს 6 კაპიკი.

რას იზამ.

სოფლის ქრონიკა

სოფ. ქვემო-ნიჩბისის ნიაღვრისაგან დაზარალებულმა გლეხებმა აღძრეს შუამდგომლობა გორის ალმასკომის წინაშე, რათა ისინი გადასახლებული იქნან უშიშარ ადგილას.

— ტყის დაცვის მიზნით წაღვერის თემალმასკომმა აკრძალა მოაგარაკეთ ახალგაზრდა ნაძვებისა და სხვა მცენარეების მოჭრა ჯოხებათ.

— ახალი ხიდი. სოფ. ნაკიეთის (რაჭა) თემალმასკომი შეუდგა ადგილობრივ ხიდის აგებას. სამაზრო ალმასკომმა სატყეო მასალა გასცა უფასოთ.

— წყალსადენი წაღვერში. წაღვერის თემალმასკომმა გადასწყვიტა გაიყვანოს წყალსადენი გლეხებისათვის.

იურიდიული რჩევა-დახმარება

შრომის ხელფასს არ მაძლევენ, როგორ მოვიქცე?

კითხვა

წარსულ 1924 წელს 15 მაისს ნიგოითის (გურიაში) ადგილობრივმა ხელისუფლებამ დამიქირავა ნიგოითშივე არსებულ ფ.-ტ. დაწესებულებისთვის და ალმასკომისთვის, დარაჯ-დამტარებლათ თვეში 15 მანეთად; ვიმსახურე 4 ნახ. თვე (ე. ი. 15 მაისიდან 1 ოქტომბრამდე). ამ ხნის განმავლობაში ხელფასათ მივიღე 10 მან. პირველ ოქტომბერს პარტორგანიზაციამ, გამგზავნა.—ქართულ სამხედრო სკოლაში და როდესაც წამოვედი, დანარჩენი ჯამაგირი დამრჩა აუღებელი და აღნიშნული ორგანიზაცია დამპირდა სკოლაში გამოგზავნითო.

10 მანეთიც აქ გამოგიგზავნეს, მაგრამ დანარჩენის გადახდაზე სრულებით აღარ ფიქრობენ. სამაზრო ალმასკომსაც მივმართე, მაგრამ არც იმან მომაქცია ყურადღება.

გთხოვთ გვიპასუხოთ არის თუ არა ვალდებული აღნიშნული ხელისუფლება, რათა დამაკმაყოფილოს კუთვნილი ჯამაგირით (შერგება 47 მანეთი) და გთხოვთ მიგვითითოთ ვის უნდა მივმართო უსამართლობისათვის.

ჯაფ—ძე.

პასუხი

შრომის ხელფასი უნდა მოგეცეთ სწორად და თუ დამქირავებელი დაწესებულებები მას არ იხდიან, თქვენ მიმართეთ სათანადო განცხადებით შრომის სასამართლოს თქვენი ბინადრობის მიხედვით.

სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესახებ

კითხვა

ჩვენ ვმსახურობთ ერთ-ერთ კოოპერატიულ დაწესებულების მაღაზიაში მოანგარიშის თანამდებობაზე, მაღაზიაში, თანახმად ჩვენამდე არსებულ პირობებისა, ჩვენ გვიხდება მუშაობა თანაბრად ფიზიკურ-მომუშავეებისა რვა (8) საათის განმავლობაში ყოველდღიურად.

გთხოვთ აგვიხსნათ, რა ხანგრძლივობის უნდა იყვეს ჩვენი სამუშაო დღე—და ვრცელდება თუ არა ჩვენზე გონებრივად მომუშავეების სამუშაო დღის ნორმა.

საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებათა პროფ-კავშირის წევრები, (საწევრო წიგნაკებს №№ 10158 და 10262 №№ 2226).

პასუხი

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 95-ისა სამუშაო დღის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ფიზიკურ მომუშავეთათვის რვა საათს მოზარდთა (16 წ. 18 წ. ჰასაკამდე) და გონებრივ და კანტორის მოხელეთათვის ექვს საათს, თუ ამ უკანასკნელთა მუშაობა უშუალოდ არ არის დაკავშირებული წარმოებასთან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გონებრივი მომუშავენი და კანტორის მოხელენი ეწევიან სამუშაოს იგივე ხანგრძლივობით, როგორც საწარმოო (ფიზიკური) მომუშავენი (ე. ი. რვა საათს) და შრომის გასამრჯელოს მიიღებენ საწარმოო ტარიფის მიხედვით.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

მე ვმსახურობ 1-ლ ქ. მ. ლეგიონში მასახლისის თანამდებობაზე და ვღებულობ ჯამაგირს თვეში მე-6-ე ხარისხით; ჩემს კმაყოფაზე იმყოფებიან ჩემი მოხუცი დედ-მამა, რომლებიც ცხოვრობენ ნაქირავებ ბინაზე.

საკუთრება არაფერი გაგვაჩნია, როგორც მე ისე, ჩემს დედ-მამას.

აღნიშნულ ბინაზედ ცხოვრობენ გ. წ. მარტის თვიდან და გადახდილი მაქვს სულ 25 მან.

გთხოვთ განმიმარტოთ როგორც წითელ-ჯარში მოსამსახურეს რამდენი მეკუთნის კვადრატიულ არშინზე გადასახდელი. და გადახდილი 25 მან.—უნდა გამოუქვითოთ წარსულის ქირაში თუ არა? ბინის წინ ჩვენ ვგვით ქუჩას, და ვასუფთავებთ თხრილს. ამის უნდა გადიხადოს თუ არა?

1-ლ ქ. მ. ლ. მ. გ. გიგიეჭკორი.

პასუხი

წითელარმიელთა ოჯახები, რომელნიც წითელარმიელის სამხედრო სამსახურში გაწვევამდე მის მზრუნველობაზე იმყოფებოდნენ და რომელთაც არ მოეპოვებათ საკუთარი საარსებო წყარო, საცხოვრებელ სივრცის ყოველ არშინზე იხდიან ერთ კაპეიკს შეიძლიათ თქვენმიერ სახლის პატრონზე ერთდროულად ბინის ქირის ანგარიშში გაცემული 25 მანეთი, დაუქვითოთ მას ქირის გაცემის დროს. ქუჩების და ეზოს გასუფთავება ევალება სახლის პატრონს.

კითხვა

მე ვცხოვრობ კიროჩნის ქუჩ. სახლი №: 35-ში, მიკავია ერთი ოთახი სივრცით 25 კვადრატ. არშინი სახლის გამგე მთხოვს 5 მანეთს. ეს გადასახადი ჩემთვის აუტანელია ვინიდან მე ვარ ღარიბი სტუდენტი და მასთან ვარ უმუშევარი პროფ. კავშირის წევრი (წიგნაკის № 783). ამიტომ გთხოვთ მომცეთ ცნობა, თუ რამდენი მეკუთნის გადავიხადო ოთახის ქირა თვეში.

მ. ჩუთლაშვილი.

პასუხი

როგორც უმუშევარი და პროფკავშირის წევრი, ბინის ქირად თვიურად იხდით თითოეულ კვადრატიულ არშინზე ერთ კაპეიკს, მთელ ბინისას კი ხუთ შაურს.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 38

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

ფიზიკური კულტურის სფეროში მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წ. ივნისის 23-ს თარიღით და 41 №-ით გამოცემული დეკრეტის დამატებად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აუცილებლად იქნეს ცნობილი, რომ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ხარჯთაღრიცხვისა და ადგილობრივი ორგანოების 1925—1926 საბიუჯეტო წლის ხარჯთაღრიცხვების შედგენის დროს გამოყოფილ უნდა იქნეს ცალკე ყველა ხარჯი, რაც საჭიროა ფიზიკური კულტურის საბჭოების შესანახად.

2. მიეცეს წინადადება ავტონომიურ რესპუბლიკების ც. ა. კ.—ებს, აგრეთვე სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს—მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება ფიზ. კულტ. საბჭოების მუშაობას და უზრუნველყონ ისინი საჭირო სახსარით 1925 | 26 საბიუჯეტო წლის ხარჯთაღრიცხვით.

3. მიეცეს წინადადება ავტ. რესპუბლიკათა ც. ა. კ.—ებს, აგრეთვე სამაზრო აღმ. კომიტეტებს შეავსონ ის ფიზიკური კულტურის საბჭოები თავისი მუდმივი პასუხისმგებელი წარმომადგენლებით, სადაც ეს წარმომადგენლები ჯერ-ჯერობით არ ირიცხებიან.

4. მიეცეს წინადადება ყველა იმ უწყებას, რომელსაც აქვს რაიმე ურთიერთობა ფიზიკურ კულტურასთან (როგორიცაა: განათლების სახალხო კომისარიატი, ჯანმრთ. სახ. კომისარიატი, შრომის სახ. კომის., სამხ. და საზღვაო სახ. კომის.). მჭიდროდ დაუკავშიროს თავისი მუშაობა ფიზიკური კულტურის საბჭოების მუშაობას და მიიღოს ხოლმე ყველა განკარგულება ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს ორგანოებისა, როგორც სავალდებულო დადგენილება ფიზიკური კულტურის სფეროში.

5. ნება მიეცეს ფიზიკური კულტურის ორგანოებს შექმნან რესპუბლიკაწური და სამაზრო ფონდები ფიზიკური კულტურის ორგანიზაციების მიერ მოწყობილ სანახაობათა წმინდა მოგების ანარიცხის გადადებით. პროცენტული ანარიცხის რაოდენობას განსაზღვრავს ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო.

შენიშვნა. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაევალება საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს ინსტრუქცია აღნიშნული ანარიცხის გადახდევინების წესის შესახებ, იმ პირობით კი, რომ გადახდევინება არ შეეხოს პროფესიონალური ორგანიზაციების ფიზიკური კულტურის წრეებს.

6. წინადადება მიეცეს განათლების სახ. კომისარიატს, ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოსთან ერთად, შეიმუშაოს წესი ისეთი ლიტერატურის გამოცემისა, რომელიც შეესაბამება საბჭოთა ფიზიკური კულტურის რაციონალურად და მეცნიერულად დაყენების საქმეს.

7. დაევალოს ყველა სახელმწიფო ორგანოს—იმ მუშასა და მოსამსახურეს, რომელსაც ფიზიკური კულტურის უმაღლესი და ადგილობრივი საბჭო წარავლენს რესპუბლიკაწურ და ადგილობრივ ფიზიკური კულტურის ამა თუ იმ დღესასწაულსა თუ გამოსვლაზე, შეუნარჩუნოს მთლად წარგლინების დროის განმავლობაში მისი თანამდებობა.

შენიშვნა. წარგლინების ვადა ადგილობრივ დღესასწაულზე და გამოსვლაზე განისაზღვრება ორი კვირით (საშუალოდ). იმის მიხედვით, თუ რა მანძილზე მოუხდება წასვლა წარგლინებულს, ხოლო სარესპუბლიკათაშორისო დღესასწაულსა და გამოსვლაზე—ერთი თვით (საშუალოდ), ისე კი, რომ ამა თუ იმ პირის წარგლინება წელიწადში ერთჯერზე მეტად არ უნდა მოხდეს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე:

ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე:

შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი:

ს. თოდრია.

1925 წ. ივლისის 20.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ოთხშაბათს, 19 აგვისტოს, დილის 9 საათზე, თბილისის კომიტეტის ბინაზე მოწვეულია.

თ. ქ. საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.

დასწრება სავალდებულოა კოლეგიის ყველა წევრებისათვის.

განყ. გამგის მაგიერ—კომახიძე.

— არსრაიკომი იუწყება სამშაბათს, 18 აგვისტოს, საღამოს 6 ს. კომკავშირელების კლუბში (ანდრეევისა და მილიუტინის კუთხე) შესდგება არსრაიონის კომპარტიის და კომკავშირის უჯრედების მდივანთა თათბირი.

დასწრება სავალდებულოა უჯრედების ყველა მდივნებისათვის, აგრეთვე კომკავშირელებ შორის მომუშავე კომისიის წევრებისათვის და კომპარტიის უჯრედებიდან—კომკავშირის უჯრედებზე მიმაგრებულთათვის.

მდივანი—მელაძე.

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იუწყება, რომ დღეს 18 აგვისტოს, დილის 4 საათზე, არსენალის რაიკომის შენობაში გაიმართება რაიონულ საშეფო ბიუროს სხდომა არსენალის რაიონის საშეფო კომისიების თავმჯდომარეების და მდივანთა თანდასწრებით:

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის:

1. სალარაძე, 2. ტოლონიძე, 3. ედიგაროვი, 4. კანდელაკი, 5. ორჯონიკიძე, 6. ფერაძე, 7. ოთიაშვილი.

მდივანი მელაძე.

განცხადებანი

გულდათუთქულნი მშობლები ვალოდია და მარუსია, ბაბუა სეფე, ბებია ნატაშა, ბიძანები: კოტე, ვალერიან (ჭუნა), ალექსი (ჯუჯა), ამიდები გოგუცა და შუტუ, ძმა პეტრე (კიკო-ლიკო) ბურჭულაძეები ვაცნობებთ ნათესავებს და ნაცნობთ გარდაცვალებას ჩვენთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

პავლიკოსი (ნიკოლიკო)

რომლის დასაფლავება მოხდა თბილისში ამ წლის 16 აგვისტოს

2297 1—1

„ჟირსინდიკატ"
(ЖИРСИНДИКАТ)
საწვრიმალო მაღაზია
თავისუფლების მოედანი № 1 (ყოფ. ერივან. მოედ.)
უმაღლეს
ხარისხის
პარფიუმერია,
კოსმეტიკა
პირსაბანი საპონი და სანთლები
ტეჟე (ТЭЖЭ)
ყოფ. ბროკარი და რალლე
მიღებულია სრულიად ახალი პარტია
ნ. 1618 5—2

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
9205 25—13

სააღმშენებლო-სამრეწველო აქციონერი საზ-ბა
„სამშენ"-მა
თანახმად დამტკიცებულ დებულებისა, დაიწყო თავისი მოქმედება.
საზოგადოების მიზანია
ყოველგვარი სააღმშენებლო მუშაობა და აგრეთვე სამრეწველო წარმოებათა განხორციელება და ექსპლოატაცია. ქალაქისა და სოფლის აღმშენებლობა, როგორიც არის: აშენება საცხოვრებელ სახლებისა და სხვა ყოველგვარი შენობათა და ნაგებობათა; აშენება და მოწყობა ქარხნებისა, ფაბრიკებისა, წყალსადენის, კანალიზაციის, ცენტრალურ გათბობის, ჰიდრო-ელექტრონულ და სხვა ძალის სადგურების, გაყვანა რკინის და სხვა გზების, აგება ხიდების, სანავთსადგურო ნაგებობათა, არხების და წარმოება სამელიორაციო სამუშაოთა, დამზადება და მიწოდება ყოველგვარი სააღმშენებლო მასალებისა და მოწყობილებათა და სხვა.
საზოგადოების დროებითი მისამართი: პუშკინის ქუჩა № 8. კომუნალური ბანკი ტელეფონი № 7—78.
ნის. 1614—3—2
გამგეობა.

შრომის სასამართ. აღმასრულებ. ქ. ოდიშარია
აცხადებს, რომ ის 21 აგვისტოს 1925 წ., საათის 12, პლეხანოვის პროსპ. ბაღ „არტოში" საჯარო ვაჭრობით გაყიდის დიმიტრი ბოჩაროვის მოძრავ ქონებას თეატრ „არტოსი" დეკორაციას მთელი თავისი შემადგენლობით, შეფასებულს 350 მან. დასაკმაყოფილებლად ე. მაჩაბლისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან.
სასამართლოს აღმასრულებელი
ვ. ოდიშარია.
2298 1—1

ვამზადებ შემოდგომის გამოცდებისათვის
უმაღლეს და საშუალო
სასწავლებლებში შესასვლელად და
ვიძლევი
მათემატიკის
გაკვეთილებს: (არით., ალგ., გეომეტრ. და ტრიგონ.) და ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებს. პლეხანოვის ქ. № 25 (შესავალი ალექსის ქ. № 5)

[illegible] ექიმი
ვ. ი. რაჭინა [illegible]
ქალის და [illegible] ავადმყოფობათა [illegible]
მიღება 12—4 საათამდე და 5—8 [illegible]
[illegible] ქუჩა № 18 [illegible]
25—20

ექიმი გ. ა. [illegible]
[illegible], კანის და ვენერიული
ავადმყოფობანი
[illegible]
25—4

პროფესორი გ. მ. მუხაძე
საზაფხულოთ გაემგზავრა
ბორჯომში.
1960 25—11

ექიმი გ. გ. მეგრაბიანცი
ავადმყოფობა ფილტვების, გულის და ტუბერკულიოზის, სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.
მიღება ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.
25—14

ექიმი
ალ. გ. მაღალაშვილი
ბავშვთა სნეულებანი.
იღებს 2—4 ს. 5—7 ს. საღამ. ყორღანოვის ქ. № 12. 25—3 2153

ექიმი ვ. ჩ. მაგაკიანი
შინაგანი და [illegible] სნეულებანი
[illegible]
მიღება [illegible] 7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38.
25—21

ექიმი [illegible]
[illegible]
25—16

ექიმმა შუხმანმა
განაახლა მიღება ვენერიულ
სნეულებაში
საღამოს 6—8 საათამდე; ქალების დღის 2—8 საათამდე. ელისაბედის ქ. № 89 (ქსენიევის ქუჩის პირდაპირ).
21—3

ექ. ა. ე. უჰლანერ
ვენერიულ, კანის და შინაგანი ავადმყოფობანი. ლორის-მელიქოვის ქ. 4 ბინ. 1. პუშკინის ბაღის პირდაპირ. მიღება: დილის 8—9 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე.
25—8

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანისა და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606"—„914")
ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—8 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ).
25—2

ექიმი დ. ა. [illegible]
შინაგანი, კანის, ვენერიული
[illegible]
მიღება დილის 11-მდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.
ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე [illegible] № 77, [illegible]
25—15

მანგლისი
ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან და ქალთა ავადმყოფობაში იღებს დილის 9—12 საათამდე და საღამოს 6— საათამდე. 25—9
ბალცევის აგარაკი ბაღის მახლობლად

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისის და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.
ქალებისთვის 12—1 საათ.
სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი №8.
25—22

წაღვერი
მედიცინის დოქტორი ა. ა. მონიე
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგან ორგანოების და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობაში იღებს დილის 10—1 საათამდე ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით. საპუწოვის აგარაკს № 5 (კოოპერატივის მახლობლად).
25—16 1795

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
[illegible]
25—19

ბორჯომი
ექ. ი. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფებს მიიღებს მისამართი:
როზა ლიუქსემბურგის ქუჩა № 17
ზოსინის აგარაკი.
15 თიბათვიდან 15 ენკენისთვემდეა
25—3

ექიმი ა. დ. ქექელია
სიფილისის, ვენერიული და კანის
ავადმყოფობა
[illegible]
25—17

ექიმი ნ. დ. თოფურიძე
[illegible] ქუჩა ([illegible]) № 31.
[illegible]
25—20

ექიმი გ. გოლდშტეინი
იღებს თვალით ავადმყოფებს საღამოს 6—8 საათამდე. ნიკოლოზის ქ. 32. სათვალეების არჩევა და თვალებზე მორგება უფასოთ საქ. სახელმწიფო მეღვინეობის განყოფილებაში, თავისუფლების მოედანი № 7, დღის 2—4 საათამდე. 25—13

20 ივლისს 1924 წელს დაიკარგა ბავშვი 13 წლის შოთა დუგაშვილი, შემდეგი ნიშნების: საშუალო ტანის, შავგვრემანი. ვთხოვ, ვინც რაიმე იცის ბავშვის შესახებ, მაცნობოს შემდეგი მისამართით: ავლაბრის შესახვევი № 16 9 რაიონი. ილია დუგაშვილი.
2303 1—1

დაკარგე პირადობის უვადო წიგნაკი № 1261 სოლომონ დიმიტრის ძე ხიზანაშვილის სახელზე. ჩ. გ.
2290 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა № 302. არჩილა ინჯგიას სახელზე ჩ. გ. 2289 1—1

დაკარგე პირადობის და სიღარიბის მოწმობა გაბო ძოძიშვილის სახელზე. ჩ. გ.
2291 1—1

დაკარგე პასპორტი გალაკტიონ კაციას ძე გელოვანის სახელზე ჩ. გ. 2292 1—1

დაკარგე კომკავშირის საწევრო მოწმობა № 184, ვასო იაგორისძე კალანდაძის სახელზე. ჩ. გ.
2293 1—1

დაკარგე მეტრიკული ამონაწერი ვახტანგ დავითის ძე გრატიაშვილის სახელზე ჩ. გ.
22295 1—1—

დაკარგე პირადობის მოწმობა და სხვა ქაღალდები პავლე ჯაფარიძეს სახელზე. ჩ. გ.
2295 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა მოშე ებიატორის ძე იოსებაშვილის სახელზე. ჩ. გ.
2294 1—1

დაკარგე მეტრიკული ამონაწერი № 5554 თამარ უშვერიძის სახელზე ჩ. გ. 2296 1—1

დაკარგე მეტრიკული ამონაწერი № 6582-პავლე ქუქუნაშვილის სახელზე. ჩ. გ.
2301 1—1

დაკსრგე მედსანშრომის პროფკავშირის წიგნაკი № 3255 შუშანა მირზოევის სახელზე. ჩ. გ.
2300 1—1

დაკარგე მეტრიკული ამონაწერი № 7208 გიგი ციციშვილის სახელზე. ჩ. გ. 2298 1—1

დაკარგე ატესტატი № 116 იაკობ კონსტანტინეს ძე სიხარულიძის ძის სახელზე ჩ. გ.
2299 1—1

ტირაჟი—20.742

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, სამა წულუკიძის ქ. № 4